ეროვნული ბიბლიოთეკა

**კანონმდებლები**

## გაიმართა პარლამენტის ბიუროს სხდომა



საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირში“ გამოკლებული წევრის, ანტონ ინგოროყვას ადგილმონაცვლედ თემურ ბერიძე შემოდის. ეს ითქვა პარლამენტის ბიუროს სხდომაზე, რომელიც 23 ოქტომბერს გაიმართა და რომელზეც მიმდინარე სასესიო კვირის პლენარული სხდომების დღის წესრიგი დაამტკიცეს. ანტონ ინგოროყვა ბიზნესში წავიდა და პარლამენტარის უფლებამოსილება მოიხსნა. ვინაიდან იგი მოქალაქეთა კავშირის პარტიული სიით მოხვდა პარლამენტში, მისი ადგილმონაცვლეც ამ სიის წევრია.

პარლამენტი ამავე სესიაზე ცნობს აგრეთვე არსენ მგელაძის სადეპუტატო უფლებამოსილებას, რომელიც ამა წლის 8 ოქტომბერს ქედის მაჟორიტარ დეპუტატად იქნა არჩეული.

24-27 ოქტომბრის პლენარული სხდომების დღის წესრიგით გათვალისწინებულია კანონპროექტების და სარატიფიკაციო დოკუმენტების განხილვა. ამავე სხდომაზე პარლამენტი უკრაინასა და მოლდოვას რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დანიშვნაზეც იმსჯელებს. დაგეგმილია აგრეთვე გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის ვიტალი ხაზარაძის მოხსენება „ნავთობპროდუქტების იმპორტის შესახებ“.

პარლამენტის პლენარული სხდომა დღეს 11 საათზე დაიწყებს მუშაობას.

**საქინფორმი.**

**კავკასია**

## დააკავეს საზღვრის დამრღვევთა 25-კაციანი ჯგუფი

როგორც ვიუწყებოდით, 20 ოქტომბერს რუსეთ-საქართველოს საზღვარი გადმოლახა რამდენიმე ათეულმა შეიარაღებულმა პირმა. განხორციელებული ღონისძიების შედეგად შეიარაღებული რაზმი მთლიანად ბლოკირებულია. მათ წაუყენეს ულტიმატუმი განიარაღების შესახებ.

საქართველოს თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და სასაზღვრო ძალების დანაყოფებმა ბლოკირებული ტერიტორიის ფილტრაციის დროს დააკავეს საზღვრის დამრღვევთა 25-კაციანი ჯგუფი, რომლებიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებდნენ. ისინი ევაკუირებული არიან აუცილებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

როგორც შემთხვევის ადგილიდან ოპერაციის ხელმძღვანელმა ჯონი ფირცხალაიშვილმა გვაცნობა, ხორციელდება შეიარაღებული რაზმის დანარჩენი წევრების ძებნის ღონისძიება.

საქართველოს ტერიტორიიდან შეიარაღებული რაზმის წევრების გაყვანის ოპერაცია შედარებით უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. რაც მთავარია, შეიარაღებული დაპირისპირება და სისხლისღვრა თავიდან იქნა აცილებული.

სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.**



### ჯგუფი რუსლან გელაევს ექვემდება

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა დაახლოებით 60-კაციანი ჯგუფი, რომელიც ასას ხეობაში ქართველ სამართალდამცავებს ბლოკირებული ჰყავთ, ჩეჩენ საველე მეთაურს რუსლან გელაევს ექვემდებარება, აცნობა პრაიმ-ნიუსს საქართველოს მთავრობასთან დაახლოებულმა წყარომ.

წყაროს თქმით, ჩვენი მესაზღვრეების მიერ აღმოჩენილ ჯგუფში გელაევი არ არის.

**პრაიმ-ნიუსი.**

**ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:**
http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

**გასული სამშაბათიდან ჩვენს გაზეთს ინტერნეტით გაეცნო 9312 მკითხველი. მათ შორის, 58% აშშ-დან, 31% – საქართველოდან.**

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

· გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №282 (3683) სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2000 წელი. ფასი 50 თეთრი.

## „ევროპის საბჭომ არაერთგზის განაცხადა, რომ აღიარებს და ცნობს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესს“

**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 23 ოქტომბრის რადიოინტერვიუ**

– გასული კვირის მოვლენებზე საუბარს დავიწყებ საქართველოს მწერალთა კავშირის საერთო-ეროვნული ყრილობით. ამ მოვლენას ჩვენი საზოგადოება დიდხანს ელოდა. რას ეტყოდით ყრილობის მონაწილეებს? – ჟურნალისტის ნატო ონიანის ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის ტრადიციულ ორშაბათის რადიოინტერვიუში განაცხადა:

იხ. მე-2 გვ.



**ხელისუფლება და პრესა**

## „საქართველოში თუ რაიმე პრიორიტეტი არსებობს, ერთ-ერთი სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხია“

**საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 23 ოქტომბრის ბრიფინგი**

23 ოქტომბერს გამართულ ბრიფინგზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ქვეყანაში შემოღწეულ ჩეჩენთა შეიარაღებული ჯგუფის წევრთა უმრავლესობამ დაყარა იარაღი და ჩაბარდა საქართველოს ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლებს. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ მათი განიარაღება შესაძლებელი გახდა „მოლაპარაკების გზით, სისხლისღვრისა და შეტაკების გარეშე“.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ასას ხეობაში „ჯერ კიდევ დარჩენილია ამ შეიარაღებული ჯგუფის წევრთა მცირე ნაწილი და მათთან ამჟამად მიმდინარეობს მოლაპარაკება“. პრეზიდენტის აზრით, ინციდენტი უახლოეს დღეებში ამოიწურება.

ედუარდ შევარდნაძემ თქვა, რომ ამ ჯგუფის დაახლოებით 25 წევრი „მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, როგორც ჩანს, ისინი დიდი ხნის განმავლობაში მოდიოდნენ ფეხით, მრავალი დღე შიმშილობდნენ და ახლა მათ უმკურნალებენ“.

– ქვეყნის ტერიტორიაზე დაკავებულ ტერორისტებს და ჩეჩენთა შეიარაღებული დაჯგუფების იმ წევრებს, რომლებსაც ამჟამად მკურნალობენ, ბუნებრივია, დაჰკითხავენ. დაკითხვისა და მათი ჩვენებების შედარების შემდეგ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ გადმოკვეთეს მათ საზღვარი, როგორ მოხდა ყოველივე ეს, – თქვა პრეზიდენტმა. ედუარდ შევარდნაძე ჯერჯერობით თავს იკავებს კომენტარისაგან იმის თაობაზე, თუ საიდან მოდიოდნენ ზემოაღნიშნული შეიარაღებული ჯგუფის წევრები.

იხ. მე-2 გვ.



**დაჯილდოება**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 20 ოქტომბერი ქ. თბილისი

**გ. ბერიკაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, თეატრსა და კინოში მაღალმხატვრული სახეების შექმნისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სახალხო არტისტი **გივი ბერიკაშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 20 ოქტომბერი ქ. თბილისი

**ო. მენგელიას ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, დედაქალაქის საბინაო ფონდებისა და საგზაო მეურნეობის რეგისტრაცია-პასპორტიზაციაში აქტიური მონაწილეობისათვის, ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის მერიის ტექნიკური აღრიცხვის სამსახურის უფროსი **ოთარ მენგელია** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ე. შევარდნაძე.**

**ღირსეულნი**

## სიკეთისათვის მოწოდებული

ამა თუ იმ ღირსეული პიროვნების დაჯილდოების ამბავს, ვიდრე იგი გაზეთში გამოქვეყნდება, ბუნებრივია, ჯერ რედაქციის თანამშრომლები ვიგებთ ხოლმე. როცა გივი ბერიკაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების განკარგულება მივიღეთ, უნებურად ჩვენს ოთახში, კულტურის რედაქციის კარადაში გამოფენილ ფოტოს გავხედეთ, რომლიდანაც ბატონი გივი იმგვარი სახით იცქირება, არ შეიძლება კაცს, არ გაეღიმოს.

პოდა, ვიფიქრეთ, როგორც ყველასათვის საყვარელ და პოპულარულ მსახიობს, მოდი შინ შევეხმიანებით, მოვიკითხავთ, მივულოცავთ და თანაც ცოტასაც წავესაუბრებით ბოლოდროინდელ შემოქმედებით ამბებზე, თუნდაც მის ახალ კინოროლზე, რეჟისორ გოდერძი ჩოხელის მიერ გადაღებულ ფილმში „მიჯაჭვულ რაინდებში“ სანჩო პანსა რომ ითამაშა, ან კიდევ ესტრადაზე, სადაც ასე დამკვიდრდა. ერთი სიტყვით, შინ დავურეკე, მაგრამ... გრიპს დაერია ხელი და მაღალი სიცხით საწოლში აღმოჩნდა.

ჩვენი რედაქცია გულითადად ულოცავს მსახიობს ამ ჯილდოს და მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.

იხ. მე-3 გვ.

**უიკენდი**

## დევიდ ოუენს ოცნება საქართველოში აუხდა

წვიმა წვიმს კახეთში მცირე პაუზებით რეკლამისათვის – „ლორთქო ბალახი შემოდგომაზე“.

ამბობენ, შირაქში ამ ზაფხულის გვალვისგან გადამწვარ ყანებში ისეთი ჯეჯილი ამოიწვერა, გაგეხარდებაო.

აქ კი – გორაკების პასტელის ფერები მინდვრების მწვანე ფონზე საჩივლელად გამოფენილა.

და – ნისლი, ჯანღი, ჯანყი: ნინოწმინდის ჰორიზონტები ბურუსით ისეა დაფარული, როგორც დილეტანტის წარმოდგენა ნავთობისა და გაზის წიაღისეული მარაგის შესახებ.

გავფანტოთ ბურუსი ესე და ვესაუბროთ ნიკო თევზაძეს, კომპანია „კანარგოს“ ნინოწმინდის ნავთობის კომპანიის ხელმძღვანელს, მით უფრო, რომ საამისოდ იდეალური ვითარება ჩამოყალიბდა: მის მანქანაში ესხედვართ საგარეჯოს გამგებელთან თენგიზ ოქროცვარიძესთან ერთად და ემეგზურობთ ორიოდ „ჯიპს“.

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ გასულ კვირა დღეს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი არსენიშვილმა ეკონომიკური ბლოკის გუნდის ხელმძღვანელებთან ვანო ჩხარტიშვილთან, ზურაბ ნოღაიდელთან, თემურ ბასილიასთან და მირიან გოგიაშვილთან ერთად ნინოწმინდის ნავთობსაბადოზე მიიწვია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს მისიის ხელმძღვანელი დევიდ ოუენი და ამ ფონდის მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში კრისტოფერ ლეინი.



ვესაუბროთ-მეთქი ნიკო თევზაძეს, პირველწყაროს, რომლისგანაც სულ რამდენიმე წუთში საბადოს შესახებ სრულ ინფორმაციას მიიღებს დევიდ ოუენი, საბურღ დაზგასთან რომ ავაღწევთ, მაშინ.

– ქართულ-ბრიტანულ ნავთობკომპანიად 1993 წელს ჩამოვყალიბდით. 96-ში კი პატარძეულის მახლობლად, ნინოწმინდის საბადოზე დავიწყეთ მუშაობა; 98-ში – გავაგრძელეთ ნაზერევის ბლოკზე, წლეულს კი – ნორიოს სანახებში.

იხ. მე-3 გვ.

**გიხაროდენ!**

## სერგო პაპას სიხარული



ძვირფასო რედაქციავ, ამ წერილს უზომოდ გახარებული გწერთ. როგორ არ უნდა ვეწიო ცას სიხარულით, როცა ჩემმა 20 წლის ქალიშვილმა ელზამ ერთდროულად ორი შვილიშვილი – ტყუპი ქალ-ვაჟი გვაჩუქა მიჩიტაშვილებისა და ყარალაშვილების ოჯახს. ჯარიდან დაბრუნებული ჩემი სიძე – ხვიჩა ყარალაშვილი პირველებმა ახალშობილმა ტყუპებმა გაახარეს, და აივსო ოჯახი ბედნიერებით... რომელშიც უდიდესი წვლილი თბილისის წმინდა იოკამესა და ანას სახელობის №3 სამშობიარო სახლის მედპერსონალს მიუძღვის: განსაკუთრებით განყოფილების გამგეს რაულ მანგალაძეს, მადლობა მათი უზადო პროფესიონალიზმისა და გულისხმიერებისათვის. მომიტევეთ, ძვირფასო რედაქცია, მაგრამ განა შეგვეძლო მე და ჩემს მეუღლეს – ესოდენი სიხარული გულში დაგვეტია და თქვენისთანა კეთილისმსურველთათვის არ გაგვეზიარებინა და გაგიზიარეთ კიდეც, რადგან გვჯერა, წინსვლა და სიმრავლე თქვენც გიხარიათ.

პატივისცემით,

**ნანა და სერგო მიჩიტაშვილები.**

**ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.**

**მუსიკა**

## ჭეშმარიტი ჰარმონია

მახსოვს, 1999 წლის 13 მაისს როგორი ინტერესით შეიკრიბნენ ქართველი მსმენელები კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც ცოცხლად პირველად უნდა მოესმინათ ფრანგული კვარტეტის „იზაის“ შემსრულებლობა. კოლექტივისა, რომლის მაგიანე დღეს უკვე თექვსმეტი წლის ისტორიას მოითვლის. ინტერესს აღვივებდა „იზაის“ შთამბეჭდავი შემოქმედებითი ბიოგრაფიაც, რომელიც გვამცნობდა, რომ ლაარსების მეოთხე წლისთავზე კვარტეტი ევიანის პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის გრან-პრის დაეუფლა და, შესაბამისად, საერთაშორისო აღიარებაც ჰპოვა – „იზაი“ იქცა პარიზის, ვენის, ბერლინის, მადრიდის, ლონდონის, ნიუ-იორკის („კარნეგი ჰოლი“), ტოკიოს („სუნტორი ჰოლი“) და მსოფლიოს სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მუსიკალური ცენტრის სასურველ და ხშირ შემოქმედებით სტუმრად.



იხ. მე-3 გვ.

**ინფორმაცია**

### საინვესტიციო ფონდის პროგრამით

ზურიის მხარეში საქართველოს საინვესტიციო ფონდის კურატორის ბადრი ჩიბურდანიძის ინფორმაციით, ამ ფონდის პროგრამით ლანჩხუთის რაიონში წლის დამლევამდე რამდენიმე პროექტი განხორციელდება, კერძოდ, ამ დღეებში სოფელ მამათში დაიწყება ხიდის მშენებლობა, გარემონტდება გრიგოლეთის დაწყებითი, ეწერისა და შუხუთის საშუალო სკოლების შენობები. მისივე განცხადებით, დასრულებულია ლანჩხუთის წყალსადენის სათავე ნაგებობის რეკონსტრუქცია.

### „ელმავალმშენებელი“ მუშაობს

ორი ახალი ელმავალი აიწყო თბილისის „ელმავალმშენებელში“ სვერდლოვსკის რკინიგზისათვის.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საწარმოს მთავარმა ინჟინერმა ჯემალ ლოლაშვილმა, „შეკვეთის ღირებულება კომერციული საიდუმლოებაა“.

მისი თქმით, 2000 წლის 9 თვეში „ელმავალმშენებელმა“ 5 მილიონი ლარის სამუშაოები აწარმოა, რაც ორჯერ მეტია შარშანდელ მონაცემებზე.

### საგანგებო ლეგიონის იმედი აქვთ

რუსთავის მერია შემოსავლების მინისტრს მიხეილ მაჭავარიანს რუსთავში საგანგებო ლეგიონის შემოყვანას სთხოვს ადგილობრივი საოლქო საგადასახადო ინსპექციისათვის გადასახადების ამოღებაში დახმარების გასაწევად.

მერიაში იმედი აქვთ, რომ საგანგებო ლეგიონის ქალაქში შემოსვლით ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

### თურქეთმა მილიონი დოლარი გამოყო

მარნეულის სამხედრო აეროდრომის მოდერნიზაციის სამუშაოები თურქეთის დახმარებით ამ კვირაში დაიწყება.

როგორც პრაიმ-ნიუსს თავდაცვის სამინისტროს სახელშეკრულებო და სამართლებრივი მთავარი სამმართველოს უფროსმა პაატა გაფრინდაშვილმა უთხრა, აეროდრომის ინფრასტრუქტურის ნატოს სტანდარტების დონეზე მოყვანაში თურქეთმა თავდაპირველად 750 ათასი აშშ დოლარი, ხოლო შემდეგ ერთი მილიონი დოლარი გამოყო. გრანტის გამოყოფა დაემთხვა თურქეთში თავდაცვის მინისტრის დავით თევზაძის ვიზიტს.

### მორიგი შეხვედრა იალტაში გაიმართება

ნდობის განმტკიცებისაკენ მიმართული ქართულ-აფხაზური მხარეების მორიგი შეხვედრა ნოემბრის ბოლოს იალტაში გაიმართება.

ანალოგიური შეხვედრები ადრე გაიმართა თურქეთსა და საბერძნეთში.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**

**ამინდი დღეს**

**დასავლეთ საქართველოში**
დაბლობში: ღამით +8+13; დღისით +13+18.
მთაში: ღამით +3+8; დღისით +10+15.

**აღმოსავლეთ საქართველოში**
ბარში: ღამით +3+8; დღისით +6+11.
მთაში: ღამით +1+6; დღისით +3+8.

**თბილისში**
ღრუბლიანი ამინდი, წვიმა, სუსტი ქარი.
ღამით +6+8; დღისით +9+11.

**საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.**

**ლარის კურსი**

*24 ოქტომბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| გირვანქა სტერლ. | 1 | 2.8646 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.8458 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9700 ლარი |
| ევრო | 1 | 1.6542 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0705 ლარი |

**უკანასკნელ საათს**

6-ბალიანი შტორმის გამო გუშინ შეწყდა ბარენცის ზღვაში ჩაძირული ატომური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ სამაშველო სამუშაოები.





გუშინ აშშ სახელმწიფო მდივანი მადლენ ოლბრაიტი შეხვდა ჩრდილოეთ კორეის ლიდერს კიმ ჩენ ირს. ეს არის ამ ორი სახელმწიფოს ლიდერების პირველი შეხვედრა ასეთ მაღალ დონეზე.

მოლაპარაკებებზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ესტუმრება თუ არა ფხენიანს პრეზიდენტი კლინტონი.

**გვირეკავენ, გვეკითხებიან...**

რა შეღავათია დაწესებული დღეისათვის კომუნალურ გადასახადებზე პერსონალური პენსიონერებისა და შრომის მეორე ჯგუფის ინვალიდების ოჯახებისათვის?

**ილია რუხაძე.**

– მოქმედი კანონმდებლობით, პერსონალური პენსიონერები სარგებლობენ 50 პროცენტიანი შეღავათით კომუნალური გადასახადების გადახდისას, გარდა ელექტროენერგიისა. მიმდინარე წლის იანვრიდან მათ უფლება აქვთ ყოველთვიურად უფასოდ მოიხმარონ მხოლოდ 30 კვ.სთ ღირებულების ელექტროენერგია.

**ირინე ღლონტი.**

**დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90, 93-28-54.**

**ინტერპანორამა**



გუშინ აშშ ფლორიდის შტატიდან მოვიდა ცნობა, რომლის მიხედვითაც, მძიმე ავადმყოფ ლაიზა მინელის ხელოვნური სუნთქვის აპარატით აცოცხლებენ.



მოსკოვში მყოფმა ისრაელის ექსპრემიერმა შიმონ პერესმა ორრტეთი გუშინდელი გამოსვლისას განაცხადა, რომ მთავარია ძალადობას ბოლო მოეღოს და მხარეები კვლავ დაუბრუნდნენ მოლაპარაკებებს.



გუშინ კვლავ განახლდა ისრაელის არმიასა და პალესტინელების შეტაკება. ათობით პალესტინელი დაშავდა, 4 დაიღუპა.

გუშინ ბრიტანელმა მებაჟეებმა კოკაინის ყველაზე დიდი პარტია აღმოაჩინეს – 3 ბრიტანელ ქალს და 4 უცხოეთის მოქალაქე მამაკაცს 500 კგ. ნარკოტიკი (60 მლნ. დოლარის) ჩამოართვეს.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 282. სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2000 წელი

# „ევროპის საბჭომ არაერთგზის განაცხადა, რომ აღიარებს და ცნობს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესს"

(პირველი გვერდიდან)

— მიმაჩნია, რომ ქართველ მწერალთა თავყრილობა, საქართველოს მწერალთა საერთო ეროვნული კავშირის ყრილობა, 2000 წლის, ანუ საუკუნის დამაგვირგვინებელი წლის, ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენად იქცა.

შეიკრიბა ჩვენი ერის სულიერი არისტოკრატია (ხშირად ვხმარობ ამ გამოთქმას), რათა ემსჯელა თანადროულობის ავ-კარგზე, ქვეყნის აწმყოსა და მყოფადზე. ეს ხომ მწერლის, ინტელიგენტის უპირველესი დანიშნულება და მოვალეობაა. უფრო მეტიც, მე ვიტყოდი, რომ მწერალს ქვეყნის ბედისათვის არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე პოლიტიკოსსა და თვით სახელმწიფო მოღვაწესაც კი.

ძალიან ვწუხვარ, რომ ასას ხეობაში შექმნილი მეტად შემაშფოთებელი და სახიფათო ვითარების გამო, პირადად ვერ მივიღე მონაწილეობა ყრილობის მუშაობაში. თუმცა ღონისძიების მსვლელობისას რეგულარულად ვიღებდი ინფორმაციას ჩემი კოლეგებისაგან.

გულწრფელად გავიხარე, რომ ამ ყრილობაზე მწერალთა დიდმა ოჯახმა კვლავ დაადასტურა ერთგულება ქართული მწერლობის დიდი ტრადიციებისა და ნათელი იდეალებისადმი. თვალსაჩინო იყო ქვეყნისადმი ქართველი მწერლების ერთგულება, თავდადება და პატრიოტული სულისკვეთება, კეთილშობილება და ინტელექტი, რაც ძალუმად გამოსჭვიოდა თითოეულ გამოსვლაში.

არც ის არის შემთხვევითი და ნაკლებ საგულისხმო, რომ მწერლები ერთსულოვანნი იყვნენ თავიანთი ლიდერის არჩევისას. ვსარგებლობ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ვულოცავ ბატონ თამაზ წივწივაძეს ამ უდიდეს ნდობასა და მხარდაჭერას.

დღევანდელი განსაცდელისა და გამოწვევათა გათვალისწინებით, ასეთ დონეზე ამ ყრილობის წარმატებით გამართვა, ესოდენ თავისთავადი, ყოვლისმძლე ნიჭით ძალმოსილი სიტყვის დიდოსტატთა ერთსულოვნების, მაგრამ არა ერთაზროვნების, დადასტურება, აგრეთვე, თვით მწერალთა ორგანიზაციის გადარჩენა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მე, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, საერთოეროვნულ გამარჯვებად მიმაჩნია!

მივესალმები ყრილობის ყველა მონაწილეს და წარმატებას ვუსურვებ ქართული სიტყვის ტაძრის შენარჩუნებასა და მშენებლობაში.

**— გასულ კვირას საქართველოში მუშაობდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია. რამდენად დაგვეხმარება ფონდი სიღატაკის დაძლევის პროგრამის შემუშავებაში? გარდა ამისა, როგორია თქვენი კომენტარი გასული კვირის ორ მოვლენასთან, უწინარეს ყოვლისა, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის ინვესტორ კომპანიებთან საბოლოო ხელშეკრულების გაფორმებასა და მთავრობის სხდომაზე მცირე ბიზნესის მხარდაჭერის სპეციალური პროგრამის განხილვასთან დაკავშირებით?**

— საქართველოში 1994 წლიდან დღემდე სოციალური ტრანსფორმაციის, აგრეთვე, ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნის ძალზე ღრმა და მრავალგანზომილებიანი პროცესი განხორციელდა.

ამჟამად ქვეყნის ხელისუფლების და, მე ვიტყოდი, მთელი საზოგადოების უმთავრესი, საარსებო ამოცანაა სიღარიბის დაძლევა და კორუფციის აღმოფხვრა, რაც ეკონომიკური აღმავლობის ბაზაზე შეიძლება მოხდეს.

სწორედ ამ კონტექსტით ვითარდება დღეს ჩვენი თანამშრომლობა საერთაშორისო ფინანსურ ორგანიზაციებთან. მაგალითად, მსოფლიო ბანკის კავკასიის რეგიონულ დირექტორთან ქალბატონ ჯუდი ო'კონორთან შეხვედრისას შევთანხმდით, რომ 2001 წლის ბიუჯეტის გაზრდილი შემოსავალი, უპირველეს ყოვლისა, დაცული მუხლებისა და სიღატაკის დაძლევის პროგრამათა დაფინანსებას უნდა მოხმარდეს. მსოფლიო ბანკი აქტიურად განიხილავს სოციალური ინვესტიციების ფონდის განვითარების პერსპექტივასაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამ ფონდიდან დახმარებას მიიღებს საქართველოს ყველა რეგიონი, მათ შორის, შესაძლოა, ცხინვალის რეგიონიც. ქალბატონი ო'კონორი, ჩვენს წარმომადგენლებთან ერთად სპეციალურად იმყოფებოდა ცხინვალში, შეხვდა ხელმძღვანელებს და ძალიან საინტერესო საუბარიც გაიმართა.

იმავდროულად, უკვე რამდენიმე დღეა საქართველოში აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია ბატონ დევიდ ოუენის ხელმძღვანელობით. მისიის უმთავრესი მიზანია ახალი პროგრამის მომზადება. ანუ საქართველოს უკვე ყველა წინაპირობა აქვს საიმისოდ, რათა განაახლოს სრულფასოვანი თანამშრომლობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან.

ახალი პროგრამის ძირითადი შინაარსი და მიზანი კი კვლავ და კვლავ სიღარიბის დაძლევა იქნება. ამ თვალსაზრისით ოპტიმიზმის საკმაოდ მყარი საფუძველი გვაქვს, ვინაიდან ქვეყანა გამოდის მძიმე ფინანსური კრიზისიდან (ჩვენი უცხოელი პარტნიორების დახმარებით) და საქართველოსადმი ნდობაც თვისებრივად ამაღლდა.

ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ მიერ შემუშავებულ დოკუმენტებში მკაფიოდ აისახა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ნება და კონკრეტული ღონისძიებების გეგმაც. ამ ცოტა ხანში, ალბათ, ყველა ეს დოკუმენტი იხილავს დღის სინათლეს.

მეგახსენებთ, რომ ნაყოფიერად იმუშავა ჩემი ბრძანებულებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას ხელმძღვანელობით. ჩასწორებული დოკუმენტი უკვე ჩემს მაგიდაზე დევს. წუხელ კიდევ ემუშაობდი და, ვფიქრობ, რომ ეს უკვე საბოლოო ვარიანტია. ალბათ, კიდევ რამდენიმე დღეა საჭირო მისი სრულყოფისათვის. შემდგომ იგი საფუძვლად დაედება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიულ პროგრამას. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენს ინიციატივას აქტიურად მიესალმა ყველა საზღვარგარეთელი მეგობარი. მათ გულწრფელად ახარებთ საქართველოს ყოველი წარმატება, ვინაიდან დღეს ეს უკვე მხოლოდ ჩვენი წარმატება აღარ არის.

**— თქვენი აზრით, ამ პროგრამიდან გამომდინარე, რამდენად ეფექტიანი იქნება კორუფციასთან ბრძოლა და მისი შედეგები? ძალიან მძიმეა ის სურათი, რომელიც კომისიამ ასახა...**

— აქ, როგორც იტყვიან, ეს პრობლემა გამიშვლებულია და იმდენად მწარე სიმართლეა ნათქვამი, რომ ხანდახან შეიძლება შეგეშინდეს კიდეც. შეიძლება ამ პროგრამას ჩვენი საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი არცთუ მოწონებით შეხვდეს, რადგან, სამწუხაროდ, კორუფციაში, ამა თუ იმ ფორმით, არა ერთი და ორი, არამედ ძალიან ბევრი ადამიანია ჩართული, ათიათასობით და ასიათასობითაც. ჩვენ ვხმარობთ გამოთქმას, რომ ეს ძალიან დიდ პოლიტიკურ რისკთანაც არის დაკავშირებული. მაგრამ, როდესაც რისკი ქვეყნის ინტერესებისათვის არის საჭირო, მისი არ უნდა გვეშინოდეს.

გასულ კვირას უდიდეს ნავთობკომპანიათა წარმომადგენლებმა თბილისში ხელი მოაწერეს დოკუმენტს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის თაობაზე. მომდევნო დღეს იმავე ხელშეკრულებას საზეიმო ვითარებაში, თითქმის მთელი პარლამენტისა და მთავრობის მონაწილეობით, ხელი მოაწერეს თურქეთის დედაქალაქ ანკარაშიც.

ანუ, თანდათან ხორცს ისხამს იდეა, რომელიც ექვსი-შვიდი წლის წინათ მხოლოდ ოცნება იყო. დავუმატებ, რომ ამ მოვლენას მიესალმა ბატონი კლინტონი, რომელიც თავიდანვე მონაწილეობდა ამ პროცესში.

ყველაფერთან ერთად, ამ პროექტის განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება, აგრეთვე, საქართველოს საინჟინრო პოტენციალის შენარჩუნების, შესაბამისი სამეცნიერო დარგების განვითარებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვისათვის. რაც მთავარია, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა მთელ ამ უზარმაზარ რეგიონში ათიათასობით ადამიანს დაასაქმებს.

საბოლოოდ გაქარწყლდა პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული ეჭვი და სკეპტიციზმი. კიდევ უფრო განმტკიცდა „დიდი აბრეშუმის გზის" აღდგენისა და ევრაზიის დერეფნის ფორმირების კონცეფცია.

აქვე კვლავ განსაკუთრებით აღვნიშნავ აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის, ჩემი და ჩვენი ხალხის დიდი მეგობრის ბატონ ჰეიდარ ალიევის დიდ ღვაწლსა და დამსახურებას.

ყველა ეს პროექტი განუყოფლად უკავშირდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან პერსპექტივებს, მაგრამ ამ განვითარების მტკიცე სოციალური საფუძვლის შექმნა დღევანდელობის ამოცანაა.

სიღარიბის დაძლევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ არა მარტო საბიუჯეტო სუბსიდირებას (ეს არ იქნება იმ მოცულობის, როგორიც საჭიროა) და სათანადო სახსრების გამოყოფას ბიუჯეტიდან, არამედ ინტენსიური სოციალური თერაპიის მეთოდებს, ასპარეზის გაფართოებას ადამიანის ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გამოსავლენად, მათ შორის, მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, სალიზინგო პროექტებს, მიკროსაინვესტიციო პროგრამებს, მიკროკრედიტებს, საკრედიტო კავშირების შემდგომ განვითარებას და სხვა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყურადღებას მოვაკლებთ მასშტაბურ ბიზნესს, მსხვილ წარმოებას და, მით უმეტეს, მას თუ წვრილ მეწარმეებსა და მცირე ბიზნესს დავუპირისპირებთ. ეს წარმოუდგენელია.

ჩვენი პროექტი გულისხმობს არა დაპირისპირებას, რაც თვისებრივად შეუძლებელიცაა, ვინაიდან ორივე სეგმენტს თავისთავადი ფუნქცია და ადგილი აქვს, არამედ საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე ჰარმონიული, თვითრეგულირებადი სისტემის ჩამოყალიბებას, რაც მასშტაბურ ბიზნესსაც დაეხმარება და წვრილ მეწარმესაც ახალ სამოქმედო ასპარეზს შეუქმნის. მით უმეტეს, რომ დამაიმედებელია დაფინანსების პერსპექტივები, მათ შორის, უცხოური გრანტების მეშვეობითაც.

როცა მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე ვლაპარაკობ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს საგადასახადო პოლიტიკა. მე ასე წარმომიდგენია, რომ, თუ მცირე მეწარმის მიერ შექმნილი პროდუქციის ბრუნვა 20 ათასი ლარის ფარგლებში იქნება, იგი არ უნდა დაიბეგროს.

ყველაფერთან ერთად, მცირე ბიზნესის განვითარება წარმატებით მოაგვარებს სოციალური ტრანსფორმაციის პროცესში წარმოშობილ ზოგიერთ პრობლემას, მაგალითად, საშუალო ფენის მომრავლებისა და გაძლიერების აუცილებლობას. ეს სოციალური ფენა კი ნებისმიერი დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს უმთავრესი საყრდენია.

თუ ძალიან არ გამიგრძელდა, აქვე მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო: მთავრობის სხდომაზე მწვავე შეფასება დაიმსახურა ზოგიერთმა გახმაურებულმა ფაქტმა უცხოური ინვესტიციების შედეგად ფეხზე დამდგარი და აღორძინებული საწარმოების ფუნქციონირების გამო.

რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, ზოგიერთები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში მუშაობის ყოველგვარი ხალისი დაუკარგონ: როგორც კი საწარმო ამუშავდება, იწყება გაუთავებელი სირბილი სასამართლოებში, ჩივილი, ზოგჯერ მუქარა, ზემოქმედება, შანტაჟი და ასე შემდეგ.

ამას ჩვენ ვერ შევურიგდებით და უახლოეს მომავალში ყველაფერს ვიღონებთ, საკანონმდებლო ბაზის განმტკიცების ჩათვლით, რათა უცხოელ ინვესტორებს დამატებითი გარანტიები შევუქმნათ. დაუშვებელია, რომ საქართველოს იცნობდნენ, როგორც ველური ბიზნესის ქვეყანას. სხვათა შორის, მთავრობის სხდომაზე, კერძოდ, შამპანური ღვინოების ქარხანასთან დაკავშირებული ერთი საკითხი განვიხილეთ. ამერიკელმა ბიზნესმენებმა რამდენიმე მილიონი დოლარი დააბანდეს, ქარხანა აამუშავეს, პროდუქციის გამოშვება დაიწყეს, ბაზრები მოიძიეს. ეს პროდუქცია იყიდებოდა და ჯერ კიდევ იყიდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპასა და ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. აი, ამ ხალხს შეუქმნეს ისეთი პირობები, რომ მუშაობის გაგრძელება პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა. სასტიკი მსჯელობა იყო და ზომებიც ძალიან მკაცრი მივიღეთ.

**—უკვე გასაგებია, რას უშვრებიან ქართველ მეწარმეებს, რომლებიც ვერ ახერხებენ თავიანთი სატკივარი პრეზიდენტამდე ისე მიიტანონ, როგორც ეს შეუძლიათ უცხოელ ინვესტორებს...**

**გასულ კვირას, თბილისში გაიმართა რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მორიგი რაუნდი სამხედრო თანამშრომლობის საკითხებზე. საკმაოდ საინტერესო იყო რუსეთის ვიცეპრემიერის ილია კლებანოვის ვიზიტი. როგორ დაახასიათებდით ამ მოლაპარაკების შედეგებს?**

— ძალიან მოკლედ მოგახსენებთ: ეს იყო საქმიანი, კეთილგანწყობილი და, რაც მთავარია, შედეგიანი და იმედისმომცემი მოლაპარაკება.

კიდევ უფრო განმტკიცდა რწმენა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა განვითარდება ამაღლებული გეზით, თანასწორუფლებიანობისა და ინტერესთა თანხვედრის საფუძველზე.

მრავალი სირთულის მიუხედავად, რუსეთსა და საქართველოს შორის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას ალტერნატივა არ გააჩნია.

ეჭვი არ მეპარება, რომ სავსებით გულწრფელი იყო პრეზიდენტი პუტინი, როდესაც ჩემთან საუბრისას ისურვა, იხილოს გაერთიანებული, ტერიტორიულად მთლიანი და აყვავებული, ძლიერი საქართველო.

**— მსოფლიო რეზონანსი მოჰყვა იტალიელი ჟურნალისტის, რადიო „რადიკალეს" კორესპონდენტისა და იტალიის რადიკალური პარტიის ერთ-ერთი აქტივისტის ანტონიო რუსოს მკვლელობას, რომელიც ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა. თქვენი აზრით, ვის ინტერესებს შეესაბამებოდა ასეთი დანაშაულის ჩადენა სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე?**

— მინდა გითხრათ, რომ ისევე, როგორც საქართველოს ყველა მოქალაქე და მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, მეც უკიდურესად შემაშფოთა ამ საზარელმა დანაშაულმა — იტალიელი ჟურნალისტის მკვლელობამ.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ, რომ საქართველოში შევქმენით ყველა პირობა სიტყვის ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ჟურნალისტური საქმიანობისათვის. ამიტომაც ყველა განსაკუთრებით შეგვაძრწუნა ძალიან უცნაურ და საეჭვო გარემოებაში უცხოელი ჟურნალისტის დაღუპვამ.

მე სამძიმარი შევუთვალე დაღუპულის ოჯახსა და კოლეგებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის საქმის გამოძიებას პირადად ვაკონტროლებ.

იტალიელი ჟურნალისტის მკვლელი საქართველოს მტერია. ასეთი დანაშაულის ჩადენა შეეძლო მხოლოდ ჩვენი ქვეყნისათვის ავის მოსურნეს, განურჩევლად იმისა, საქართველოს მოქალაქეა იგი თუ რომელიმე სხვა ქვეყნისა. არც ერთი ვერსიის გამორიცხვა არ შეიძლება.

**— ასევე ძალიან უცნაურად მუსირებდა გასულ კვირას აზრი ევროპის საბჭოდან საქართველოს გარიცხვის შესახებ. თქვენი აზრით, რა მოტივები აქვს ამ ჭორებს? მით უმეტეს, რომ ყველა კომპეტენტურმა ოფიციალურმა ფიგურამ, მართალია, ზოგმა საკმაოდ მოგვიანებით, მაგრამ მაინც კატეგორიულად უარყო ასეთი ალბათობა? საიდან მოდის ამგვარი ჭორი?**

— მე სპეციალურად დავინტერესდი ამ პრობლემით, ამ ჭორების გავრცელებით და ვთხოვე ქალბატონ რუსუდან ბერიძეს, რომელიც ეროვნული უშიშროების საბჭოს შესაბამის მიმართულებას კურირებს ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, მეესწავლა ეს საკითხი.

როგორც მოსალოდნელი იყო, დადასტურდა, რომ არავითარი საფუძველი ამ ჭორებს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს. როგორ შეიძლება ასეთ საფრთხეს გრძნობდეს ვიღაც ჭორიკანა, საქართველოს პრეზიდენტი კი ვერ გრძნობდეს და უმალავდეს თავის ხალხს?!

ჯერ ერთი, თუ ლაპარაკია ევროკავშირზე (სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ ევროკავშირიდან გარიცხავენო), საქართველო, ჯერჯერობით, სამწუხაროდ, ამ ორგანიზაციის წევრი არ არის, ანუ ნებისმიერი სურვილი თუ შენიშვნა სამომავლო ურთიერთობის გაღრმავებისა და თანამშრომლობის დონის შემდგომი ამაღლების სურვილის გამოხატულებაა მხოლოდ.

ევროპის საბჭომ კი არაერთგზის განაცხადა, რომ აღიარებს და ცნობს საქართველოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მიღწეულ პროგრესს.

ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პრობლემები აღარ გვაქვს, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოს. ჩვენც ვგრძნობთ და განვიცდით, რომ არის მოუგვარებელი პრობლემები. მაგრამ არასდროს არაფერი ამ სფეროში არ მიგვიჩქმალავს და კვლავაც ასეთივე გულწრფელი და ტრანსპარენტული ვიქნებით ყველა ეტაპზე. ჩვენ ვიკისრეთ ვალდებულებანი, რომელთაც პირნათლად შევასრულებთ, ვინაიდან ეს არის ვალდებულებანი არა მარტო ევროპის საბჭოს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს კონსტიტუციისა და ჩვენი ხალხის წინაშე.

**— შაბათს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგუშეთის მონაკვეთზე რუსეთ-საქართველოს საზღვარი, რომელიც რუსეთის არაერთგზის მტკიცებით, ძალიან კარგად კონტროლდებოდა, რუსეთის მხრიდან გადმოლახა შეიარაღებულ ჩეჩენთა სამოცდაათკაციანმა ჯგუფმა. რა ბოლო ინფორმაციას ფლობთ, როგორც ქვეყნის პირველი პირი — როგორი ვითარებაა ამჟამად?**

— მე მართლაც უკიდურესად შემაშფოთა ამ ინციდენტმა და, როგორც გითხარით, სწორედ ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ვერ დავესწარი საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ყრილობას.

ყოველი ასეთი შემთხვევისადმი გაიოლებული და გაუბრალოებული დამოკიდებულება, ჩემი აზრით, არა მარტო დიდი შეცდომა, არამედ დიდი დანაშაულიც იქნებოდა, მით უმეტეს, იმ რთული ვითარების გათვალისწინებით, რომელიც, სამწუხაროდ, დამკვიდრდა კავკასიაში. მე კონფლიქტები მაქვს მხედველობაში.

ქართულმა საზოგადოებამ უკვე იცის, რომ შეიარაღებული ფორმირება, რომელმაც დაარღვია საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, დროულად იქნა ბლოკირებული და ლოკალიზებული. შესაბამისი ღონისძიებები განხორციელდა პირველივე დღეს რამდენიმე საათის განმავლობაში, რის შედეგადაც შეიარაღებულ ჯგუფს აღარ მიეცა საქართველოს სიღრმეში შემდგომი გადაადგილების საშუალება.

აქტიურად მუშაობენ ჩვენი ძალოვანი სტრუქტურები. ჩემი პირადი დავალებით ადგილზე იმყოფებიან გენერალური შტაბის უფროსი ჯონი ფირცხალაიშვილი და სხვა ძალოვან სამინისტროთა ხელმძღვანელები. აქვე აღვნიშნავ ქართველი მესაზღვრეების სიფხიზლეს — მათ დროულად აღმოაჩინეს „დაუპატიჟებელი სტუმრების" შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე. რა თქმა უნდა, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუყოვნებლივ მიმართა სათანადო კითხვებით რუსეთის ფედერალურ სასაზღვრო სამსახურს და ეს ორი უწყება ამჟამად აქტიურად თანამშრომლობს.

ამ დილისათვის ვითარება ასეთია: გაიმართა მოლაპარაკება უცხოური შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენლებთან. ქართულმა მხარემ, ჩემი კატეგორიული მოთხოვნის შესაბამისად, ყველაფერი იღონა, რათა ინციდენტი უსისხლოდ და შეიარაღებული შეტაკების გარეშე ამოწურულიყო. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ რეგიონში მოხერხდა საკმარისი ძალების მობილიზება და იგი ყველაფრისათვის ყოველმხრივ მზად იყო.

შეიარაღებული ფორმირების ძირითადმა ნაწილმა ჩააბარა იარაღი და დანებდა ჩვენს ძალოვანებს. სხვათა შორის, ბევრი მათგანის ფიზიკური მდგომარეობა, ჯანმრთელობა ნამდვილად საგანგაშოა.

**— დაჭრილები არიან მათ შორის?**

— არა. არიან დაუძლურებულები მრავალი დღის, შეიძლება ერთი ან ორი კვირის შიმშილის გამო. განხორციელებულია სათანადო ღონისძიებანი მათთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად და ამისათვის ისინი მოთავსებული არიან იქ, სადაც საჭიროა. არის კიდევ პატარა ჯგუფი, რომელთანაც მუშაობენ და ვფიქრობ, რომ დღეს-ხვალ, ამ ორ დღეში ყველაფერი უნდა დამთავრდეს.

მოლაპარაკებითა და განხორციელებული ღონისძიებებით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, ორსამ დღეში, როგორც გითხარით, ეს ეპიზოდი ისტორიის კუთვნილებად იქცევა, ე.ი. ყველაფერი დამთავრდება ისე, როგორც საჭიროა.

ახლა აუცილებელია რუსეთისა და საქართველოს მესაზღვრეთა საქმიან ურთიერთობას შედეგად მოჰყვეს საზღვრის ყველა მონაკვეთის, ვიმეორებ, ყველა მონაკვეთის საიმედოდ გამაგრება, რათა შემდგომში გამოირიცხოს მსგავსი ინციდენტების განმეორების შესაძლებლობა. არ შემიძლია არ აღვნიშნო პანკისის ხეობის ქისტი მოსახლეობის თავდაჭერილი და გონივრული ქცევა ამ რთული სიტუაციის ფონზე. ეს ძალიან თვალში საცემი იყო. მეც მქონდა მათთან გარკვეული კავშირი და ისინი იღებენ მუდმივ ინფორმაციას არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

---

### შესაძლოა, ნოემბერში ამოქმედდეს

სასაზღვრო კომისრების ინსტიტუტი რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, რომელიც მიზნად ისახავს ორი ქვეყნის სასაზღვრო უწყებებს შორის მუდმივი კონტაქტების დამყარებას, შესაძლოა, უკვე ნოემბერში ამოქმედდეს.

### ჯერ არ დაუკითხავთ

სათბობ-ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი, დავით ზუბიტაშვილი, რომელიც დაუდგენელმა ნიღბიანმა პირებმა პარასკევს დაჭრეს, გუშინ რეანიმაციული განყოფილებიდან უროლოგიის განყოფილებაში გადაიყვანეს.

ექიმების ინფორმაციით, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, თუმცა მისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა მაინც მძიმეა.

როგორც პრაიმ-ნიუსს ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა მერაბ გელოვანმა განუცხადა, გამოძიებას დაზარალებული მძიმე მდგომარეობის გამო ჯერ არ დაუკითხავს, ამიტომ გამოძიებისათვის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი უცნობია.

### „ოცნებათა სასაფლაო" – ამჯერად მონპელიეში

რეჟისორ გიორგი ხაინდრავას სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ოცნებათა სასაფლაო", რომელიც აფხაზეთში ომის დროს არის გადაღებული, 1 ნოემბერს წარდგენილი იქნება მონპელიეს კინოფესტივალზე. როგორც პრაიმ-ნიუსს გიორგი ხაინდრავამ აცნობა, „ოცნებათა სასაფლაომ" თექვსმეტ კინოფესტივალში მიიღო მონაწილეობა და მრავალი პრიზი აქვს მოპოვებული. მათ შორის, ტოკიოში — „ოქროს არწივი", სან-ფრანცისკოში — ჟიურის სპეციალური პრიზი, საერთაშორისო კინოფესტივალზე „ჰამბურგის ლურსმანი" კი ფილმმა გრან-პრი მოიპოვა.

### ფრანგული დიპლომებით

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საფრანგეთის საელჩო საქართველოში 26 ოქტომბერს საზეიმოდ გახსნიან ფრანგული ენის სპეციალობის განყოფილებას, რომელიც შეიქმნა უნივერსიტეტ მონპელიე III-თან თანამშრომლობით შეიქმნა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოში საფრანგეთის საელჩოში აცნობეს, საქართველოს სტუდენტებს საშუალება ექნებათ 4 წლის სწავლების შემდეგ მიიღონ ფრანგული უნივერსიტეტის დიპლომები, რომელთაც ევროპაში აღიარებენ.

### გურიის მხარე – „თბილისობას"

გურიის მხარე ტრადიციულად ხელდამშვენებული ეწვევა წლევანდელ „თბილისობას". საშემოდგომო ბაზრობაზე გურიის მხარის რაიონები გამოგზავნიან 15 ტონა ციტრუსს, 25 ტონა სუბტროპიკულ ხურმას, კოროლიოკს, ვაშლს, მსხალს, 15 ტონა საქონლის ხორცს, 3 ტონამდე სამარცვლე სიმინდსა და სიმინდის ფქვილს, 10 ათას ბოთლ მინერალურ წყალ „ნაბეღლავს".

### სამცხე-ჯავახეთი ემზადება

გვალვით მიყენებული მძიმე ზარალის მიუხედავად სამცხე-ჯავახეთი თბილისობის დღესასწაულისთვის აქტიურად ემზადება.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრეს სამხარეო ადმინისტრაციის პრესცენტრში, 28 ოქტომბერს თბილისელები მხარიდან გაგზავნილი საშემოდგომო ნობათის სახით 250 ტონაზე მეტ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას მიიღებენ, მათ შორის 90 ტონა კარტოფილს, 35 ტონა კომბოსტოს, 20 ტონა ვაშლს, 25 ტონა ყველს, 4 ტონა თევზს და და სხვა პროდუქტს.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.**



— თბილისობაზე რაიონებიდან სურსათი იაფად ჩამოაქვთო.
ვახტანგ კუციას ნახატი.

---

ხელისუფლება და პრესა

# „საქართველოში თუ რაიმე პრიორიტეტი არსებობს, ერთ-ერთი სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხია"

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 23 ოქტომბრის ბრიფინგი

(პირველი გვერდიდან)

მან მადლობა გადაუხადა პანკისის ხეობის მოსახლეობას იმისათვის, რომ მათ რთულ ვითარებაში გამოიჩინეს სიმტკიცე, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინციდენტის ლოკალიზებაში.

— საქართველოსა და რუსეთის მესაზღვრეებს აქვთ საქმიანი და კონსტრუქციული ურთიერთობა, მაგრამ ორივე მხარემ უნდა მიიღოს ზომები საიმისოდ, რომ ასეთი ინციდენტი აღარ განმეორდეს, — მიაჩნია ედუარდ შევარდნაძეს.



საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების შესაძლებლობაზე საუბრისას, პრეზიდენტმა აღნიშნა: „ვფიქრობ, საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმის შემოღება შეასუსტებს არა მარტო ორმხრივ ურთიერთობას, არამედ თვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობასაც. საქართველოში არ ესმით, თუ ასეთი თვალსაზრისით რატომ სვამს რუსეთის ხელმძღვანელობა სავიზო რეჟიმის შემოღების საკითხს",— დასძინა მან.

ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სავიზო რეჟიმის შემოღების „უვარგის პერსპექტივას" „მტკივნეულად განიცდიან როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მოქალაქეები". მან დაადასტურა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება ორი ქვეყნის ოფიციალური მოლაპარაკება ამ საკითხზე.

გასულ კვირას თბილისში გამართულ საქართველო-რუსეთის სამხედრო მოლაპარაკების მეოთხე რაუნდს ქვეყნის მეთაურმა საკმაოდ საქმიანი და ეფექტიანი უწოდა. აღსანიშნავია, რომ ამ მოლაპარაკების ფარგლებში განიხილეს რუსეთის სამხედრო ტექნიკის გატანის შემდეგ გუდაუთის ბაზის ინფრასტრუქტურის სამომავლო პერსპექტივა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, გუდაუთის ბაზის სარეაბილიტაციო ცენტრად გადაკეთების საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი და ამის თაობაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკება.

— ასეთი იყო რუსეთის თხოვნა; და არა მოთხოვნა: თუ აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალები დარჩებიან, მათ, ბუნებრივია, დასჭირდებათ რაღაც გარკვეული ბაზა რეაბილიტაციისათვის. თვით სიტყვა რეაბილიტაცია ქართული მხარის ინიციატივით გახლდათ წარმოდგენილი მოლაპარაკებაზე, საერთოდ კი საუბარი იყო მომზადებისა და გადამზადების ცენტრზე, — ხაზგასმით აღნიშნა ქვეყნის მეთაურმა ბრიფინგზე.

ედუარდ შევარდნაძე საფუძვლიანად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სანამ აფხაზეთში იქნებიან რუსეთის სამშვიდობო ძალები, მათთვის გამოიყოს ბაზა სარეაბილიტაციოდ თუ სავარჯიშოდ.

იმის მიუხედავად, რომ ბატონ არაფატთან კარგი პირადი ურთიერთობა მაქვს, ჩემი შესაძლებლობა ახლო აღმოსავლეთის ამჟამინდელ ინციდენტთან დაკავშირებით საკმაოდ შეზღუდულია. ჯერ არძინბა უნდა გადავარწმუნო და შემდეგ უკვე შეიძლება არაფატზეც ვიფიქრო, — უპასუხა საქართველოს პრეზიდენტმა ერთ-ერთი ჟურნალისტის კითხვას, რომ ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ისრაელის პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ბარაკის წერილი, რომელშიც იგი სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს დაითანხმოს პალესტინის ლიდერი არაფატი სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე.

რაც შეეხება აფხაზეთის მომავალი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტის განხილვას, ედუარდ შევარდნაძის აზრით, უფრო მომგებიანი და სასურველი იქნება, რომ საქართველოს ხელისუფლება დაელოდოს აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ შემუშავებულ და მიღებულ ვარიანტს. „აღსანიშნავია, რომ ეუთოც ამზადებს ამგვარ დოკუმენტს და უპრიანია, რომ ჩვენი მოსაზრებანი შევაჯეროთ საერთაშორისო ორგანიზაციების წინადადებებთან," — აღნიშნა ედუარდ შევარდნაძემ.

ჟურნალისტის კითხვას, რომელიც ეხებოდა ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში დაგეგმილ ევროპის საბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტს და საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთან დაკავშირებით მათ მოსალოდნელ მკაცრ შეფასებებს, ქვეყნის მეთაურმა უპასუხა, რომ ევროპის საბჭო ზოგადად კრიტიკულად განწყობილი ორგანიზაციაა, რაც, ერთი მხრივ, მისასალმებელია. ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ იგი ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის ალვარო ხილ რობლესის მოხსენებაშიც ვერანაირ საფუძველს ვერ ხედავს ევროპის საბჭოდან საქართველოს გარიცხვის შესახებ ბოლო დროს საკმაოდ გახმაურებული ვერსიის დასადასტურებლად.

— ჩვენზე უკეთ არავინ იცის ჩვენივე ნაკლოვანებანი და სირთულენი. საქართველოში, მას შემდეგ რაც ქვეყანამ შედარებით ნორმალური ცხოვრება დაიწყო, თუ რაიმე პრიორიტეტი არსებობს, ერთ-ერთი სწორედ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხია. ამ სფეროში საქმიანობა ყოველთვის როდი შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და სტანდარტებს, მაგრამ ხელისუფლება ქვეყანაში მოქალაქეთა უფლებების დასაცავად ძალისხმევას არ იშურებს, — განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ.

**საქინფორმი.**

---

## რეაგირება

### სასტუმროს პროექტი შეიცვალა

თბილისის მერიაში გამართულ სხდომაზე განიხილეს აბანოთუბანში მშენებარე სასტუმროს კომპლექსის პროექტში შესატანი მნიშვნელოვანი ცვლილებები. როგორც მთავარმა არქიტექტორმა მამუკა ჩხეიძემ განაცხადა, შენობის სახურავი მთლიანად შეიცვლება, ასევე, საგრძნობლად იცვლის სახეს შენობის ფასადი და იგი, ფაქტობრივად, ამ უბანში ისტორიულად ჩამოყალიბებულ არქიტექტურულ სახესთან იქნება შერწყმული. **ასეთია პრესის, მათ შორის, „საქართველოს რესპუბლიკის" კრიტიკაზე თბილისის მერიის საქმიანი რეაგირება.**

**საქინფორმი.**

## უიკენდი

# დევიდ ოუენს ოცნება საქართველოში აუხდა

(პირველი გვერდიდან)

2000 წელი ყველაზე უხვი გამოდგა ინვესტიციებით — ნავთობზე ფასების ზრდას უხვი ინვესტიციები მოჰყვა. „კანარგომ“ ნორვეგიის ბირჟიდან უკვე მოიზიდა დაახლოებით 30 მილიონი დოლარი, აქედან საძიებო სამუშაოებისათვის დაიხარჯება 18 მილიონამდე, 7 — საბადოს განვითარებაზე, 8 მილიონი — გადამუშავებისა და სადისტრიბუციო ქსელის გახსნისთვის. ასეთია ერთი წლის პროგრამის მდიდარი დაფინანსება.



„კანარგო“ სულ ერთი კვირაა, ოსლოს ბირჟის წევრი გახდა, რაც იმის მაუწყებელია, რომ გაიზრდება მათი აქციების ფასი და ინვესტიციების მოზიდვა კიდევ უფრო გაიოლდება.

**წლევანდელ გაზაფხულზე აქ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამოვიდა. ვთქვათ ეს პირობით მიჯნად, და ვკითხოთ ნიკოს, რა გაკეთდა მას აქეთ საბადოზე?**

— კომპლექსში შევასრულეთ როგორც საბადოს განვითარების პროექტი (ჰორიზონტული ჭაბურღილების ბურღვა), ასევე, საძიებო პროექტი (სეისმური შესწავლა და საძიებო ჭაბურღილის ამუშავება).

ჰორიზონტული ბურღვა კავკასიაში პირველად ჩვენთან განხორციელდა.

**— რას ნიშნავს ეს?**

— თუ ვერტიკალური ლულით მოიპოვება 18 ტონა ნავთობი, ჰორიზონტულმა 50-ზე მეტი მოგვეცა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ მეთოდით ნავთობის მოპოვების ზრდა 2-3-ჯერ შეიძლება. ესე იგი, საბადოს განვითარებაში სწორი ელემენტი შევიტანეთ. ამით ბურღვა ეკონომიკურად უაღრესად მიმზიდველი ხდება.

**საბადომ „ეი-ეს-თელასთან“ ხელშეკრულება გააფორმა, მიიღო დამატებითი სახსრები, გაფართოვდა ბურღვის არეალი — გაზის მოპოვების პერსპექტივა აღმასვლის ნიშნითაა.**

**გაზის სტრუქტურის და საბადოს შეფასება, როგორც ნიკო თევზაძემ თქვა, მონტეკარლოს პრინციპით შეასრულეს. რას ნიშნავს ეს? დავინტერესდი, და ზუსტად იმას ნიშნავს, რაც თქვენ იფიქრეთ — „რულეტკის“, ალბათობის მეთოდს. რაც სურთ, ის უწოდონ, შედეგი კი კარგია — 20 მილიარდი კუბური მეტრი გაზი, უკეთეს ვარიანტში — 120 მილიარდი.**

— ეს კი ნიშნავს საქართველოს მოთხოვნის დაკმაყოფილებას ხანგრძლივი პერიოდით. თითო ჭიდან ველოდებით 500-დან, უფრო რეალურად კი, მილიონი კუბური მეტრის მოპოვებას.

**— როდისთვის?**

— თუ ელექტროენერგიის უქონლობამ ხელი არ შეგვიშალა (აქამდე ასეთი რამ არ ყოფილა), ალბათ, ახალ წლამდე ცარცის ფენებამდე ჩავალთ და, მერწმუნეთ, ერთმა ჭაბურღილმაც რომ გაამართლოს, საერთო გეგმაც რეალურად განხორციელდება.

**დამისაბუთა: საქნავთობი 1974 წელს მოიპოვებდა 30 ათას ტონა ნავთობს, 81-ში 3 მილიონ 500 ათასს, ანუ ექვს წელიწადში ასჯერ გაიზარდა მოპოვება. ამ სტატისტიკაზე დაყრდნობით, თუ 500 ათასი კუბური მეტრი გაზი მივიღეთ დასაწყისში, ეს მთლიანად შეცვლის კონცეფციას.**

აი, ასე!

ამას მოუყვება ნიკო თევზაძე სავალუტო ფონდის საქართველოს მისიის ხელმძღვანელს, დაანახებს, რომ საქართველო აქტიურად იყენებს დიდ ინვესტიციებს ადგილობრივი ეკონომიკის განსავითარებლად, და ხელგაწვდილის პოზა სულაც არ არის მისი ბუნებრივი მდგომარეობა.

რას იტყვის ამაზე დევიდ ოუენი?

სანამ ის იტყვის, აგერ თენგიზ ოქროცვარიძეს ვკითხოთ, — რა მისცა ნინოწმინდის ამოქმედებამ რაიონს?

**— ძველ თაობას ახსოვს, რომ საგარეჯო ერთი ყველაზე ღარიბი რაიონი იყო საქართველოში. ახლა ნავთობი შეელისო, ამბობენ.**

— ჯერ იმას ვიტყვი, რომ ყველა შემოსავალი შემოგვედის. ნავთობიდან დამატებითმა შემოსავლებმა კი იმის შესაძლებლობა მოგვეცა, რომ უკვე სამი სკოლა ავაშენეთ და მოვაწყვეთ თითქმის თბილისის პირველი გიმნაზიის დონეზე, ხიდი საგარეჯოსი, სათავე ნაგებობებს გიორგიწმინდაში „სიფის“ პროგრამის თანადაფინანსებით ვაკეთებთ — მარიამჯვარი და გიორგიწმინდა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი წყლით. ახლა იორმუღანლოს მივადექით. აქ წყალი ძალიან ნაკლებია, მაგრამ ისე ვაკეთებთ, რომ აქაურებსაც — 9 ათასი ოჯახია დაახლოებით — მოვუხსნით წყლის პრობლემას. კაკაბეთის გზა მოვაწესრიგეთ თავიდან ბოლომდე, თოხლიაურის გზაც. ამ საქმეში ნიკო თევზაძე ძალიან გვეხმარება — საწვავით, სახსრებით.

ნავთობი რომ არ იყოს, 15-20 პროცენტი დამაკლდებოდა ამ ხარჯებისათვის, მაგრამ არც ხელფასებს და არც პენსიებს ვალად არ დავიდებდით. ახლა არც დაცულ მუხლებში და არც საერთოდ არავითარი დავალიანება არა გვაქვს.

ამასობაში **უკვე მივსულვართ ჭაბურღილზე და ნიკო თევზაძე დევიდ ოუენს უყვება, რომ ეს საბადო მთლიანად აღჭურვილია როგორც საბურღი, სეისმო, ასევე, კაპიტალური სამუშაოებისთვის აუცილებელი დანადგარებით, ყველა იმ საშუალებით, რომლებითაც ოპერატიულად წყვეტენ დროდადრო წამოჭრილ ყველა პრობლემას.**

— ნინოწმინდის საბადო გასულია თავის საბოლოო საექსპლუატაციო ეტაპზე. აქ კიდევ დარჩენილია 18 მილიონი ბარელი ნავთობი (რაც დაზუსტებული გვაქვს) და სავსებით შესაძლებელია, რომ ახალი ბლოკების ხარჯზე (მაგალითად, მანავის) 58 მილიონამდე გაიზარდოს. ეს შუაეოცენურ ფენებზე ვლაპარაკობთ. ცარცული და ზედაეოცენური — საძიებო პერსპექტივა, უახლოესი 10 წლის პროგრამა გახლავთ.

მასპინძელთა კახურ სიდინჯეს დევიდ ოუენის საქმიანი დაინტერესება დაემატა და ამ გადაუღებელ წვიმასა და ტალახში ჭაბურღილიდან ჭაბურღილზე გადასვლის და თითოეულთან კარგა ხნის ყოფნას დღის პირველი ნახევარი შეეწირა. ცოტა მეტიც.

მერე რაც იყო, იმაზე სტუმარი ბოლოს იტყვის: — რომ გაიგო, რას ნიშნავს ქართული სუფრის თამადა, ქალაქიდან უნდა გახვიდეო.

თენგიზ ოქროცვარიძემ კიდევ ერთი პლუსი ჩაიწერა.

**ხოლო მანამდე, საქმიან ვითარებაში, ჩემს შეკითხვაზე, როგორი საქართველო დახვდა მას იმ ოთხი თვის შემდეგ, რაც იგი ჩვენთან არ ყოფილა? — მიპასუხა:**

— ოთხი თვის წინათ ძალიან რთული მდგომარეობა დავტოვეთ. ახლა კი დავინახეთ, რომ ამ ოთხ თვეში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, მიღწეულია დადებითი შედეგები გადასახადების აკრეფის სფეროში, იმ ბიუჯეტის გადახედვის საქმეში, რომელიც 2000 წლისთვის იყო მიღებული ჩვენი ვიზიტის კვალზე. ეს გააკეთა მთელმა იმ ეკონომიკურმა ჯგუფმა, რომელსაც ბატონი არსენიშვილი ხელმძღვანელობს და რომელშიც შედიან აქ წარმოდგენილი ადამიანები, უწინარესად, ბატონი ნოღაიდელი.

საბიუჯეტო სიტუაციის გაუმჯობესების ძირითადი მომენტი არის საგადასახადო შემოსავლების ზრდა. ბოლო 3-4 თვის განმავლობაში სწორედ ასეთ გაუმჯობესებას ვხედავთ. ამაში ბატონი მაჭავარიანის უდიდესი წვლილია. გაიზარდა საბაჟო მოსაკრებლების რაოდენობა და ესეც დადებითი მომენტია.

ძალიან დიდ შედეგს მიაღწიეთ სავალუტო ბაზარზეც. ეროვნულმა ბანკმა შეძლო ვალუტით შეევსო რეზერვები, რომლებიც ძალიან დაბალ დონეზე იყო აქამდე: ამის წყალობით შენარჩუნებული იქნა ინფლაციის დაბალი დონე. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა მაკროეკონომიკურ სფეროში.

ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს იძლევა საფუძველს, განვაგრძოთ იმ ახალი ეკონომიკური პროგრამის განხილვა, რომელსაც მხარს დაუჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდი.

ჯერ კიდევ დიდი და მძიმე სამუშაო გაქვთ შესასრულებელი, მაგრამ ამ მომენტისთვის დადებითი ძვრები უკვე რეალობაა.

დევიდ ოუენმა თქვა, რომ დონორ ქვეყნებთან საქართველოს საკითხის განხილვა ფრიად წარმატებული იყო, რომ, ამასთან ერთად, იგი ანტიკორუფციული პროგრამის ხელმძღვანელს შეხვდა და შესანიშნავი შთაბეჭდილება დარჩა. მას განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად მიაჩნია, რომ ამ მოძრაობას სათავეში უდგას პრეზიდენტი შევარდნაძე. მისი აზრით, ეს, შეიძლება, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკური სტრატეგიისა და პროგრამის მომავალი წარმატებისათვის.

**— ესე იგი, თქვენი ოთხი თვის წინანდელი დასკვნა დღევანდელი შთაბეჭდილებებისგან რადიკალურად განსხვავდება?**

— რა თქმა უნდა. სიტუაცია მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. არ მინდა შეგვექმნათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ არავითარი პრობლემა აღარ არსებობს. ამ თვალსაზრისით უარყოფითი მოვლენა იყო გვალვა. თქვენ იცით, რა პრობლემები შექმნა მან ეკონომიკაში.

ხალხმა უკვე იგრძნო და ჩვენც დავაფიქსირეთ, რომ შემცირდა ხელფასებისა და პენსიების დავალიანება. ბოლო თვეებში ხელფასები დროზე გაიცემა. პროგრამა, რომელიც არსებობს, ამ ტენდენციის გაგრძელების შესაძლებლობას იძლევა: ყველა დამატებითი შემოსავალი გამოიყენება დაგროვებული დავალიანების დასაფარავად.

**— შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი სტუმრის ემოციური განწყობა დადებითია?**

— დიახ, რა თქმა უნდა. როგორც კი ვნახეთ სიტუაციის გაუმჯობესების კონკრეტული საქმეები, კარგ ხასიათზე დავდექით. ყველა ყოველთვის ამბობდა, რომ აუცილებელია რეფორმები, მაგრამ ამას კონკრეტული შედეგი რომ მოჰყვა, სასიხარულოა. ახლა გაუმჯობესების ტენდენციის შესანარჩუნებლად უნდა ვიღვაწოთ ყველამ.

* * *

ჩვენმა სტუმარმა გიორგი არსენიშვილს წამოსვლის წინ უთხრა, რომ მისი ოცნება იყო ნავთობსარეწზე მოხვედრა რამენაირად. სად არ იმუშავა, აზერბაიჯანშიც კი, მაგრამ იქ მხოლოდ შორიდან დაანახეს საბურღი დაზგები.

გასულ კვირას მას ეს ოცნება შეუსრულდა.

**არმაზ სანებლიძე.**

**სურათებზე: ნინოწმინდის საბადოზე.**

**ავტორის ფოტო, საქინფორმის ფოტოქრონიკის ტექნიკური უზრუნველყოფით.**





## ღირსეული

# ორიენტალისტი მეცნიერი



პროფესორი მზია ანდრონიკაშვილი 1937 წელს გავიცანი, როდესაც ჩვენ ორივე თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები გავხდით. ჩვენთან ერთად იყო ჩემი სკოლის ამხანაგი, შემდეგში ცნობილი არაბისტი ალექსი ლეკიაშვილი. ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაწყებული სწავლა ჩვენ სამივემ II კურსიდან კავკასიურ-აღმოსავლურ ენათა განყოფილებაზე გავაგრძელეთ. 1941 წლის ნოემბერში დავამთავრეთ უნივერსიტეტი და ჩვენი მასწავლებლების წინადადებით ჩავირიცხეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში აღმოსავლეთმცოდნეობის დარგში. ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოში ორიენტალისტების მომზადებისა, რის საჭიროებაც განსაკუთრებით იგრძნობოდა (ჩვენმა მასწავლებლებმა ორიენტალისტური მომზადება რუსეთში მიიღეს).

მზია ანდრონიკაშვილმა ინდურ-ირანული ფილოლოგია აირჩია და აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ხელმძღვანელობით გადიოდა სათანადო კურსს, მე და ალექსი ლეკიაშვილი კი აკადემიკოს გიორგი წერეთელთან შევუდექით მუშაობას სემიტურ ენათმეცნიერებაში. მის შემდგომ კარგა დრომ განვლო. ალექსი ლეკიაშვილი თვალსაჩინო არაბისტი გახდა და გიორგი წერეთლის შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრას ჩაუდგა სათავეში, მე დღესაც ვმუშაობ სემიტოლოგიაში, მზია კი დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტია, თბილისის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის პროფესორი და სარგებლობს კოლეგებში საყოველთაო ავტორიტეტით როგორც შესანიშნავი სპეციალისტი საშუალო ირანულისა და ძველი ინდურისა (სანსკრიტის).

მისი შრომები გამოირჩევა მასალის სიუხვით და ამ მასალის ღრმა ლინგვისტური ანალიზით, რომელიც მეცნიერების მაღალ დონესა და ფართო ერუდიციას ავლენს. მის მრავალ შრომათაგან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სოლიდური მონოგრაფია „ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან“ ორ ტომად, რომელსაც ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ შრომამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველოლოგიასა და ირანისტიკაში და, უდავოდ, ქართული ენათმეცნიერების დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

მზია ანდრონიკაშვილი შესანიშნავი პედაგოგია. იგი ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც თბილისის უნივერსიტეტში მოღვაწეობს და კითხულობს ინდო-ირანული ენათმეცნიერების ძირითად კურსებს.

მზია ანდრონიკაშვილის ლინგვისტურ მომზადებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით გამოჩენილ ქართველ მეცნიერებს: არნოლდ ჩიქობავას, გიორგი ახვლედიანს, გიორგი წერეთელს. ასპირანტურაში სწავლის დროს ქალბატონი მზია მეცადინეობდა ირანისტიკაში ცნობილ ავტორიტეტთან, პროფესორ ვასილ აბაევთან, რომელიც ომის წლებში თბილისში ცხოვრობდა. ევროპული ენების ცოდნამ და ფართო განათლებამ მეცნიერს კვლევითი მუშაობისათვის ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა, ხოლო მისმა ნიჭმა და დიდმა პასუხისმგებლობის გრძნობამ იგი მაღალკვალიფიციურ და ანგარიშგასაწევ მეცნიერად ჩამოაყალიბა.

ქალბატონი მზია უაღრესად მოკრძალებული და პოეტური პიროვნებაა, ერთგული მეგობარი და საყვარელი ადამიანი, ამასთანავე, კარგი მეუღლე და მზრუნველი დედა. მისი ოჯახიც გამორჩეულია. ბებია, რომელთანაც იგი გაიზარდა, ყველასათვის საყვარელი მწერალი ეკატერინე გაბაშვილია, მამა — ცნობილი რეჟისორი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი, ძმა ოთარ ანდრონიკაშვილი — მხატვარი და რეჟისორი, რომელიც, სამწუხაროდ, ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან, მეუღლე — ბრწყინვალე მეცნიერ-მათემატიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ჭოღოშვილი, შვილებიდან ერთი, არჩილი, პროფესორია ბიოლოგიის დარგში, ხოლო მეორე ვაჟი ლევანი დღეს უკვე სახელგანთქმული მხატვარია.

დრო საოცრად სწრაფად გარბის. უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებ, რომ ცხოვრების ათეული წლები უკან რჩება. დღეს კი ქალბატონ მზიას თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი მშობლიური ხალხისა და ქვეყნის წინაშე პირნათელია.

და მე, მისი ძველი მეგობარი და კოლეგა გულით ვულოცავ მას ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს და ვუსურვებ ჩვეულ საქმიანობას მრავალი წლის განმავლობაში.

**კოტე წერეთელი.**

# სიკეთისათვის მოწოდებული

(პირველი გვერდიდან)

ორიოდე მისალოცი სიტყვა ბატონმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა დაუზარებლად შემოგვაშველა:

„გაკვირვებული ვარ, რომ ასე გვიან იღებს ამ ჯილდოს გივი, ნამდვილად ღირსეული კაცი. იგი მისი თაობის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი, არაჩვეულებრივი არტისტი და უსაყვარლესი ადამიანია.

ძალიან ბევრი სიკეთე აქვს ამქვეყნად დათესილი, იმდენი, ნეტა მე მომცეს ღმერთმა. ძალიან მწყინს, რომ დღეს რეჟისორები ისეთ პიესებს ირჩევენ დასადგმელად, რომლებშიც გივის შესაფერისი როლები არა ჩანს. მაგრამ ნუგეშად ისა მაქვს, რომ ძალზე ბევრს აკეთებს ესტრადაზე, საბედნიეროდ, კარგად მუშაობს კინოში.

გივის შესანიშნავი ოჯახი აქვს, კარგი შვილები ჰყავს, ბიჭიც და გოგოც.

ღმერთმა ამრავლოს“.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**



თემურ ჩხეიძე, ევგენი მაჭავარიანი და გივი ბერიკაშვილი.



## გერმანიისა და საქართველოს მთავრობათა კონსულტაციებზე

საქართველოსა და გერმანიის მთავრობათა კონსულტაციები ყოველწლიურად იმართება და მათი მიზანია ორი ქვეყნის ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების მიმდინარეობის განხილვა.

როგორც გუშინ გამართულ კონსულტაციაზე აღინიშნა, საქართველომ ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში გერმანიის მთავრობისაგან დახმარების სახით 360 მილიონი გერმანული მარკა, ხოლო ტექნიკური დახმარების სახით 1992 წლიდან — 50 მილიონი გერმანული მარკის გრანტები მიიღო.

სწორედ აღნიშნული თანხებით გახდა შესაძლებელი ჩვენს ქვეყანაში ისეთი მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელება, როგორიც არის ფოთისა და ბათუმის ნავსადგურების ოპტიმიზაცია, გარდაბნის თბოელექტროსადგურის მეცხრე და მეათე ბლოკების, ვარციხეჰესისა და სხვა ჰესების რეაბილიტაცია, ასევე ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის რეკონსტრუქცია, მიწის კადასტრის პროგრამა. გარდა ამისა, გერმანიის დაფინანსებით დაარსდა „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკი“, რომლის უმთავრესი ამოცანა ჩვენს ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაა. 2000-2001 წლებში გერმანია „საქართველოს მიკროსაფინანსო ბანკს“ საქართველოში კვების მრეწველობის გადამმუშავებელ სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობის მიზნით 5 მილიონი გერმანული მარკის ოდენობის საკრედიტო ხაზს გამოუყოფს.

გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალექსანდრ [illegible]ზერმა აღნიშნა, რომ გერმანია მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს მთელ რიგ სფეროთა განვითარების ხელშეწყობასა და კიდევ სხვა საინტერესო პროექტთა დაფინანსების შესაძლებლობასაც განიხილავს.

## საკოორდინაციო საბჭოს სესია განიხილავს

დღეს თბილისში გაიმართება ჟენევის მოლაპარაკების პროცესის ფარგლებში მოქმედი აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭოს სესია, რომელზეც საქართველოს დელეგაციას უხელმძღვანელებს ქვეყნის სახელმწიფო მინისტრი გიორგი არსენიშვილი, აფხაზეთისას — სეპარატისტთა მთავრობის ხელმძღვანელი ვიაჩესლავ ცუგბა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ „საქართველოს საკითხებში გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა“ ჯგუფის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი საქართველოში დიტერ ბოდენი და აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო კოლექტიური ძალების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი სერგეი კორობკო.

საკოორდინაციო საბჭოს წინა სესია 11 ივლისს გაიმართა სოხუმში. დღევანდელ სესიაზე კი კონფლიქტის ზონაში უშიშროების უზრუნველყოფის, გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნების და ეკონომიკურ საკითხებს განიხილავენ.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## მუსიკა

# ჭეშმარიტი ჰარმონია

(პირველი გვერდიდან)

კვარტეტის მაღალ რენომეზე მეტყველებდა მისი დისკოგრაფიაც — მოცარტის კვარტეტები, მენდელსონის კვარტეტები და საკვარტეტო პიესები, ფორეს კვარტეტი და კვინტეტი (რომელშიც „იზაისთან“ ერთად საფორტეპიანო პარტიას ცნობილი მუსიკოსი პასკალ როჟე ასრულებს). მამინდელი საკონცერტო პროგრამაც მიმზიდველი იყო — შოსონის, დებიუსის, ბეთჰოვენის (№16) კვარტეტები. და ამდენად, ჩვენი აუდიტორია დიდი ინტერესით ელოდა „იზაის“ გაცნობას. კარგად მახსოვს ის აღფრთოვანებული ოვაციებიც, რომლითაც დააჯილდოვეს კვარტეტის გამოსვლა მსმენელებმა და სრულიად სამართლიანადაც, რადგან, ვფიქრობ, ყველამ ირწმუნა, რომ მევიოლინეები გიიომ სუტრი და ლუკ მარი აგერა, ალტისტი მიგელ და სილვა და ვიოლონჩელისტი მარკ კოპეი (ამჯერად, მისი ადგილი არანაკლებად საინტერესო მუსიკოსს ფრანსუა სალკის ეკავა) არა მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის მუსიკოსები არიან, რომელთაც თავისუფლად ძალუძთ სოლისტის ამპლუაში ყოფნა, არამედ ხელწერათა ინდივიდუალობის მიუხედავად, ასევე წარმატებით შეუძლიათ ანსამბლური მუსიცირება და ამიტომაც ჟღერდა „იზაი“ მწყობრი ინსტრუმენტივით, ამიტომაც დაისადგურა იმ კონცერტზე სრულმა ჰარმონიამ, ამიტომაც მოხიბლა ესოდენ მომთხოვნი და მკაცრი შემფასებელი — ქართველი პუბლიკა ამ კვარტეტის ნატიფი ხელოვნებით.

და აი, კვარტეტი, რომელიც თავისი შემოქმედებით ასახელებს და უკვდავყოფს გამოჩენილი მევიოლინის, ცნობილი კომპოზიტორისა და კვარტეტისტის ეჟენ იზაის (1858-1931) სახელს, კვლავაც ეწვია ჩვენს ქვეყანას, ისევ და ისევ საქართველოში საფრანგეთის საელჩოსა და საფრანგეთის კულტურის განვითარების ასოციაციის „AFAA“-ს თანადგომით. ამჯერად, 22 ოქტომბერს „იზაის“ კონცერტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ესტუმრნენ არა მარტო დაინტერესებული მსმენელები, არამედ უკვე ამ კვარტეტის ქართველი თაყვანისმცემლებიც. აქვე ვიტყვი, რომ მათ იმედი, მოლოდინი გაუმართლდათ, „იზაისთან“ შეხვედრა კვლავაც, მომნუსხავი გამოდგა.

ძალზე ნიშნეული და ხატოვნად მეტყველია ერთი ფრაზა, რომლითაც დახასიათებულია კვარტეტ „იზაის“ ხელწერა — „ამ სამოთხის მუსიკოსებს აქვთ დიდი ინსტრუმენტალისტების დახვეწილობა და გამორჩეულად ბრწყინავენ კვარტეტების სამყაროში. „იზაის“ ყოველ წევრს შეეძლო აერჩია უბადლო სოლისტის კარიერა, მაგრამ მათ ერთ სივრცეში შერწყმა არჩიეს. ამგვარი ჰარმონია იძლევა განუმეორებლად წმინდა ჰანგს და ისეთ ტემბრს, მხოლოდ ამ კვარტეტისთვის რომ არის დამახასიათებელი“. და ალბათ, ყველამ, ვინც „იზაის“ კონცერტს დაესწრო, ირწმუნა, რომ ეს ლიტონი სიტყვები კი არ არის, არამედ ზედმიწევნით ზუსტი შეფასებაა.

სწორედ „განუმეორებლად წმინდა ჰანგით“ აჟღერა „იზაიმ“ ჰაიდნის პირველი კვარტეტის კლასიკური ზეაწეულობა, წარმტაცი მელოდიურობა. გვეტაცებდა აზრის გადმოცემის უბრალოება შერწყმული კომპოზიტორისეულ ჩანაფიქრთა ხედვის სიღრმესთან და გაუყალბებელ ემოციურ მუხტთან. საერთოდ, ვფიქრობ, აზრობრივი და ტექნიკური სრულყოფილება და ემოციური სტაბილურობა „იზაის“ ხელწერის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, რომლებმაც თავი იჩინეს კონცერტზე შესრულებულ სხვა ნაწარმოებებშიც, თუმცა, არანაკლებად მნიშვნელოვანია მისთვის სახასიათო შესრულების სინქრონულობა, ინტონაციური სიზუსტე, ფორმათა გააზრების სიმწყობრე, ტემბრული დრამატურგიის მძლავრი ლოგიკა. ამ თვისებათა ჰარმონიული ერთიანობა კი, კვარტეტ „იზაის“ ხელოვნებას განუმეორებლობის, ორიგინალურობის, სრულქმნილი თვითმყოფადობის წარუვალ ხიბლს სძენს. ამიტომაც, საოცრად სახიერად იგრძნობოდა კლასიციზმის ეპოქის ჰაიდნისეული მაჯისცემა, ატმოსფერო.

სრულიად განსხვავებული იერსახით წარმოჩნდა „იზაი“ სეზარ ფრანკის კვარტეტის შესრულებისას. მუსიკოსებს ჩინებულად ჰქონდათ გააზრებული კომპოზიტორის თვალსაწიერის სიღრმე და მრავალწახნაგოვნება, ამ ულამაზესი და იმავდროულად, შესასრულებლად ურთულესი ტილოს საოცრად კონტრასტული სახეობრივ-ემოციური სფერო. შესაბამისად, მათი ვირტუოზული შემსრულებლობა აქცენტირებული იყო ფსიქოლოგიური ნიუანსების სიმდიდრის სრულყოფილ და ზედმიწევნით ფერადოვან ასახვაზე. კვარტეტმა რომანტიკული სწრაფვით, ზოგჯერ ექსტაზური გზნებით გააცისკროვნა განწყობათა ფართო სპექტრი და იმავდროულად, მიაღწია ნაწილების ხატოვანი დრამატურგიული ერთიანობის სრულ ჰარმონიას. „არ არსებობს სახელი უფრო წმინდა, ვიდრე სახელი ამ დიადი, გულუბრყვილო სულისა, უმანკოებით აღსავსე და სილამაზის შუქმფინარი სულისა“, — ასე ახასიათებდა რომენ როლანი სეზარ ფრანკს. და თუ ამ სიტყვებს კომპოზიტორის ერთ-ერთ შედევრს — კვარტეტს დაეუკავშირებთ და „იზაის“ შესრულებას გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ „სილამაზის შუქმფინარი“ გახლდათ მის მიერ ხელდასხმული ეს ქმნილება.



კონცერტის მეორე განყოფილებაში „ამ სამოთხის მუსიკოსებს“ კიდევ ერთი ბრწყინვალე ხელოვანი შეემატა, — მანანა დოიჯაშვილი, — რათა ერთად აჟღერებინათ წარუშლელი მომხიბვლელობით ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი და რათა შესანიშნავი ინტერპრეტაცია სამუდამოდ ჩაებეჭდათ აუდიტორიის აზრსა და გრძნობაში. დიახ, საყოველთაოდ ცნობილი ქმნილების, რომელზეც ვლადიმერ სტასოვს უთქვამს „ჭეშმარიტად გენიალურიო“, სწორედ შესანიშნავი ინტერპრეტაცია მოვისმინეთ იმ საღამოს. სცენაზე მყოფი ყოველი მუსიკოსი შინაგანად განიცდიდა იმ სულიერ დრამას, რომელიც ასახა ბრამსმა თავის კვინტეტში, ამიტომაც სრულიად ბუნებრივად მიაღწიეს მათ ჭეშმარიტი ტრაგიზმის მწვერვალს შესრულებაში, — ძალზე ექსპრესიული იყო მათი ემოციურ-აზრობრივი სამყარო. კამერულ შემადგენლობაში ცოტა რთულია ლიდერის გამორჩევა, რადგან, ამ შემთხვევაში კვინტეტის ყოველი წევრი თანასწორუფლებიანი მოქმედი გმირია, რომელთა ერთად სწრაფვის შედეგად არის შესაძლებელი მიზნის მიღწევა და მაინც, ლიდერი ვირტუოზ მუსიკოსებს შორისაც გამოიკვეთა — შესანიშნავი პიანისტი, საოცრად რაფინირებული მუსიკოსი მანანა დოიჯაშვილი. ვფიქრობ, შესრულებისას სწორედ იგი აძლევდა ტონს, მუხტს ელვარე არტისტიზმის განსხეულებულ რომანტიკულ აღმაფრენებს და ფარული სულიერი ტკივილით აღსავსე ლირიკულ-პოეტურ ჩაღრმავებებს, თუმცა, როგორც ყოველთვის, მას ამჯერადაც არ ღალატობდა ზომიერების გრძნობა გულწრფელ ემოციათა ნაკადის მართვისას. კარგა ხნის წინათ ჩინებულმა პიანისტმა დიმიტრი ბაშკიროვმა ასე შეაფასა მანანა დოიჯაშვილის ხელოვნება: „მის შემსრულებლობაში გვატყვევებს მშვენიერი, სისხლსავსე პიანიზმისა და ბუნებრივი მუსიკალურობის ჰარმონია“. ეს თვისებები დღესაც გვატყვევებს, ისევე როგორც მისი ინტელექტის სიღრმე, სულის სინატიფე, დაკვრის კეთილშობილური მანერა, საშემსრულებლო ტემპერამენტი, მისეული სტილის დახვეწილობა და საერთოდ, ოსტატობის არტისტული სრულქმნილება. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, პირადად მე, ქალბატონი მანანას ენერგიულობა და მიზანსწრაფვა, შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმიც (ცხადია, ფართო გაგებით) მატყვევებს, — მისი ხელდასხმით ყველაფერი, ყოველი წამოწყება შესანიშნავად გვირგვინდება, იგი მოღვაწეობის ყოველ სფეროში მოწოდების სიმაღლეზეა. აქვე, ვსარგებლობ შემთხვევით და ვულოცავ მანანა დოიჯაშვილს კიდევ ერთ აღიარებას — თბილისის კონსერვატორიის რექტორის თანამდებობაზე არჩევას და ვიმედოვნებ, რომ მისი მოღვაწეობა ამ ამპლუაშიც წარმატებული იქნება.

სიტყვა ცოტა გამექცა და ისევ კონცერტს მივუბრუნდები: მანანა დოიჯაშვილისა და კვარტეტ „იზაის“ შერწყმა იმდენად ბუნებრივი იყო, თითქოს ისინი კარგა ხანია ერთად მუსიცირებენ, არადა, ანსამბლის ჭეშმარიტად არტისტულ აღმაფრენას და ბრამსის კვინტეტის სულის გაცოცხლების ეფექტს მათ მხოლოდ სამი ერთობლივი რეპეტიციის შედეგად მიაღწიეს. თუმცა, საოცარი არაფერია, — ეს მუსიკოსები ხომ უმაღლესი სინჯის ხელოვანნი არიან. შესაბამისად, არც ის იყო საოცარი, რომ მათ ესოდენ მომთხოვნი ქართველი მსმენელები ზეზეურად ღიღხანს უკრავდნენ ტაშს. გადაჭედილი დარბაზის ასეთ ოვაციას არაერთი ცნობილი მუსიკოსი შენატრებდა.

**ზურაბ ოიკაშვილი.**

პროკურატურა

# მოდი, ვნახოთ პენსია, ვინ შეჭამა პენსია...

**პენსიების გაუცემლობა და ამის კვალდაკვალ პენსიონერთა სრულიად სამართლიანი საპროტესტო გამოსვლები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ჩვენი მოხუცები თვეობით ვერ იღებენ იმ მიზერულ თანხასაც კი, რასაც სახელმწიფო უხდის მათ მრავალწლოვანი შრომისთვის. გაუცემელი პენსიების თემა არ ჩამოდის ტელეეკრანებიდან და გაზეთების ფურცლებიდან და გამუდმებით ხელისუფლების ლანძღვის საგანი ხდება.**

**მაგრამ ყოველთვის ყველაფერს ჩვენს მწირ ბიუჯეტს ნუ დავაბრალებთ. ხანდახან სახელმწიფოს ცდას პენსიონერებს დროულად მისცეს კუთვნილი თანხა, იმ ადამიანთა სიხარბე და ქვენა გრძნობები ელობება, რომლებსაც პენსიონერებამდე ფულის მიტანა ევალებათ.**

**საქართველოს გენერალურ პროკურატურას ვთხოვეთ მონაცემები „საპენსიო დანაშაულობათა" შესახებ, რათა მკითხველს საშუალება მიეცეს თვითონ გააანალიზოს, მართლა ყოველთვის ხელისუფლებაა დამნაშავე?**

**ამ ფაქტებიდან ზოგიერთი თავის დროზე ერთობ გახმაურდა, ნაწილი საერთოდ არ მოქცეულა საზოგადოებრიობის თვალთახედვის არეში.**

1998-2000 წლებში მაკონტროლებელი ორგანოებიდან მიღებული მასალების საფუძველზე, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურის ორგანოებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურების ინიციატივით გამოვლენილ საპენსიო თანხების გაფლანგვა-გატაცების და არამიზნობრივად გამოყენების ფაქტებზე არაერთი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ზოგი მათგანი უკვე წარიმართა სასამართლოებში, ზოგის გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს.

1999 წლის 17 ივნისს შიდა ქართლის ოლქის პროკურატურამ, ამავე ოლქის კონტროლის პალატიდან მიიღო სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორისა და კეხიჯვრის საფოსტო განყოფილებების შემოწმების მასალები, რომლითაც ფოსტის გამგეს დ. მეტრეველს 2227 ლარის საპენსიო თანხის მითვისების და 5129 ლარის დანაკლისის არსებობა გამოუვლინა. გამოძიების პროცესში ჩატარებული დამატებითი დოკუმენტური რევიზიით 5129 ლარის დანაკლისის ფაქტი არ დადასტურდა. ამასთან დადგინდა, რომ 2227 ლარის საპენსიო ფონდის თანხა გახარჯული იყო არამიზნობრივად: სოფ. კეხიჯვრის გამგებელმა დ. ლომიტაშვილმა იგი თავდაპირველად მიწის გადასახადის დასაფარავად შეიტანა, შემდგომში კი ნაწილ-ნაწილ გადასცა დ. მეტრეველს პენსიების გასაცემად, მაგრამ დ. მეტრეველმა თანხები მიითვისა და ხელმოწერების გაყალბებით მისი გაცემა 92 პენსიონერზე გააფორმა. დ. მეტრეველმა ზარალი ნაწილობრივ – 1400 ლარის ოდენობით აანაზღაურა, დ. მეტრეველსა და დ. ლომიტაშვილს ქარელის რაიონის სასამართლომ მსჯავრი დაადო.

1999 წლის 7 დეკემბერს გორის პროკურატურაში შიდა ქართლის კონტროლის პალატის ბიუროდან სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის განყოფილებაში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების მასალებზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებით დადგინდა, რომ სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდიდან გორის განყოფილებას ოფისის შესაძენად თანხა არ მიუღია, მიუხედავად ამისა, ოფისის შენობა კერძო პირისაგან სახელმწიფო საბიუჯეტო ფონდის კუთვნილი ფულადი სახსრებით არის შეძენილი 2000 ლარად. ამ ქმედებისათვის სოცუზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გორის განყოფილების გამგეს ტ. ნასყიდაშვილს გორის რაიონის სასამართლომ მსჯავრი დაადო.

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში 1998 წლის 20 ოქტომბრიდან წარმოებდა გამოძიება თბილისის ფოსტამტის და საქართველოს პენსიების, დახმარებისა და გაცემის ცენტრის თანამდებობის პირთა მიერ საპენსიო თანხების მითვისებასთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ 1995 წლის მაის-ივლისში თბილისის ფოსტამტის უფროსმა დ. ხვედელიძემ, მთავარმა ბუღალტერმა ნ. ქინქლაძემ და პენსიების დარიცხვისა და გაცემის ცენტრის მთავარმა ბუღალტერმა ე. ხორიაშვილმა, წინასწარი შეთანხმებით საპენსიო ფონდიდან დაიტაცეს პენსიონერებისათვის განკუთვნილი 292 მილიარდი კუპონი, ანუ 224.616 დოლარი. დ. ხვედელიძემ თავი აარიდა გამოძიებას, ამიტომ მის მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და ძებნა გამოცხადდა. ნ. ქინქლაძესა და კ. ხორიაშვილს კი სასჯელის ზომად 5-5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრათ. მათ, ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტში 30 ათასი ლარი შეიტანეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტმა მარშან სისხლის სამართლის საქმე აღძრა თ. ბიგვავას მიმართ. 1966 წლის სექტემბრის ჩათვლით ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმნის გამგეობის მოლარე-მოანგარიშედ მუშაობისას, სხვა პირებთან ერთად, მან გაიტაცა დევნილებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ფულადი დახმარება 9744 ლარის ოდენობით. სახელმწიფოზე მიყენებული ზარალი მთლიანად ანაზღაურებულია. სასამართლომ თ. ბიგვავას გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

1999 წლის 24 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონულ სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე კავშირგაბმულობის დმანისის განყოფილების ფოსტალიონის ი. გულიევის მიმართ 420 ლარი საპენსიო თანხის მითვისების ფაქტზე. დმანისის რაიონის სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. ზარალი ანაზღაურებულია.

საქართველოს შს საგამოძიებო დეპარტამენტში დამთავრდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ო. ცაავას, ნ. ხორავას, ბ. ყოლბაიას და სხვების მიმართ. გამოძიებით დადგენილია, რომ ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირის გამგებელმა ო. ცაავამ, ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ყოლბაიამ, ამავე კომიტეტის წევრებმა გ. ახალაიამ, მ. ჩერქეზიამ, მ. ლაგარიამ და სხვებმა, სულ 13 პირმა, წინასწარი შეთანხმებით, 1994-96 წლებში გაიტაცა დევნილებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო დახმარება – 15227 ლარი, მათ შორის საპენსიო თანხა 455 ლარის ოდენობით. საქმე წარმართულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში. მიყენებული ზარალიდან ანაზღაურებულია 10.240 ლარი.

2000 წლის 25 მაისს სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სენაკის ფოსტასა და საპენსიო ფონდში საპენსიო თანხების მითვისების ფაქტზე, დადგინდა, რომ 1998-2000 წლებში, შპს „საქართველოს ფოსტის" სენაკის ფილიალის და ამავე რაიონის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განყოფილების თანამშრომლებმა ე. აფაქიძემ, ლ. კვინიკაძე-სახოკიამ, ლ. კვირკველიამ, თ. ჭანტურიამ და სხვებმა, ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით, მიითვისეს 254.141 ლარის ოდენობის საპენსიო თანხები და გაინაწილეს. გარდა ამისა, ფოსტის თანამშრომლებმა ე. აფაქიძემ და ლ. კვინიკაძე-სახოკიამ ამავე პერიოდში დაუშვეს 40.203 ლარის საპენსიო თანხის არამიზნობრივად ხარჯვა.

გამოძიების პროცესში ბრალდებულებმა მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სახელმწიფო ბიუჯეტში 47 ათასი ლარი შეიტანეს. სენაკის ფოსტის უფროსს ე. აფაქიძეს აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული აქვს პატიმრობა. საქმეზე წინასწარი გამოძიება გრძელდება.

1995 წლის 1 სექტემბრიდან 1999 წლის 17 მაისამდე საქართველოს ფოსტის ლუშეთის ფილიალის უფროსად მუშაობდა ც. მჭედლიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, ყალბი საბუთების შედგენით, სისტემატურად არამიზნობრივად ხარჯავდა საპენსიო დანიშნულების თანხებს და ამ გზით მიითვისა 5828 ლარი. ც. მჭედლიშვილი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ლენტეხის ფოსტის ხელმძღვანელი მუშაკების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე. დადგენილია ლენტეხის ფოსტაში 1998-99 წლებში 18.674 ლარის საპენსიო თანხის არამიზნობრივად გამოყენების ფაქტი. გამოძიება გადაწყვეტს ფოსტის უფროსის თ. გაზდელიანის, მთავარი ბუღალტრის ზ. ქურასბედიანის, მოლარე-ოპერატორის ლ. გაზდელიანისა და სხვათა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხს.

სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ბიუჯეტის სახსრების (მათ შორის, საპენსიო თანხების) ხარჯვის კანონიერებაზე ჯეროვანი კონტროლი არ ხორციელდება, მაშინ, როცა ბიუჯეტის სახსრების ხარჯვაზე ეს კონტროლი უნდა იყოს ყოველდღიური და თანამიმდევრული, რეაგირება კი ოპერატიული, მკაცრი ზედამხედველობა უნდა დაწესდეს პენსიონერთა პირველად აღრიცხვაზე, რაც, თავის მხრივ, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას განაპირობებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებით უშუალოდ რევიზია-შემოწმების პერიოდში. ალბათ, უპრიანია მაკონტროლებელ ორგანოებს დამატებითი უფლებები მიეცეთ სამოქალაქო სასარჩელო წესით ზარალის ამოღებისა და ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა.

წარმოდგენილი ფაქტები მხოლოდ ერთი – „ხილული", უკვე დადასტურებული ნაწილია პენსიების „შეჭმისა", რამდენი ფაქტი მომავლისთვის ელის გამომზეურებას!..

**ალექსანდრე ალექსიძე.**

### ფაქტი

**ყალბი დოკუმენტების დამზადებისა და ცრუ მეწარმეობის ფაქტზე ამხილეს თბილისში მცხოვრები ლაშა მოდებაძე. მას ბრალად ედება ის, რომ საქართველოს შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის არაპირდაპირი გადასახადების სამმართველოს მთავარ ინსპექტორად მუშაობისას, 1999 წლის დეკემბერში, შექმნა შპს „ლაზიერი" (ფირმის დამფუძნებელი და იურიდიული მისამართი არარეალურია). შპს „ლაზიერის" წესდება და სასამართლოს დადგენილება მან რეგისტრაციაში გაატარა სასამართლოსა და ნოტარიუსის ყალბი ბეჭდით, რის შემდეგაც ფირმა აღრიცხვაზე დააყენა ვაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში.**

**ლაშა მოდებაძემ, შპს „ლაზიერის" სახელით, შემოსავლების სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის არაპირდაპირი გადასახადების სამმართველოდან, სადაც თვითონ მუშაობდა, ყალბი დოკუმენტებით გამოიტანა 100 წყვილი მკაცრი აღრიცხვის საგადასახადო სპეციალური ანგარიშ-ფაქტურები ნავთობის დისტილატებისათვის და გაყიდა.**

**შპს „ლაზიერის" სახელით რეალიზებული აღმოჩნდა 1 მილიონ 347 ათას 300 ლარის ღირებულების 1873 ტონა დიზელის საწვავი და 195 ტონა საავტომობილო ბენზინი.**

**ფირმას გადახდილი არა აქვს ბიუჯეტის გადასახადი.**

ყოფა

# „სტრატეგიული პარტნიორის" ეშმაკური მანევრები

**ტემპს იღებს პროგრამა „ეი-ი-ეს – თელასი", რომელიც ითვალისწინებს თბილისის საცხოვრებელი სახლების სადარბაზოებში ელექტრომრიცხველების გამოტანას და დაყენებას. ამით წარმატებით აითვისებენ 60 მილიონი დოლარის ბანკის კრედიტს, რომელიც კომპანიას ქონების საწინდრად მისცეს. ეს ის „თელასია", რომელიც უცხოელმა 25 მილიონ დოლარად შეიძინა და მერე დამოუკიდებელმა აუდიტმა რამდენიმე მილიარდ დოლარად შეაფასა. სხვათა მორის, საბაზრო ეკონომიკას, როგორც ხშირად იმეორებენ ხოლმე „ეი-ი-ეს – თელასში", საკუთარი პრინციპები აქვს, ხოლო ამ პრინციპებს, მოდით, ასე ვთქვათ, თავისი ეშმაკური მანევრები, რომლებსაც ჩვენ ძლივს ვითვისებთ. ასეა თუ ისე, 175 ათასი ელექტრომრიცხველი უკვე დადგმულია სადარბაზოებში. დასადგმელი დარჩა 200 ათასი. და საქმეც დაგვირგვინდება. თბილისი მტკიცედ ჩაირთვება მრიცხველზე, რომელიც გზას გადაუკეტავს ქურდბაცაცა მომხმარებელს. თუმცა ისმის კითხვა, როგორ მრიცხველზე?**

## ასანთის ყუთი სანთებელის ფასად

დავიწყოთ იმ დროიდან, როცა წამოიწყეს ლაპარაკი „თელასის" პრივატიზაციის აუცილებლობის შესახებ. სწორედ მაშინ თბილისის ქარხანა „ეკრანში", გადახედეს რა კონიუნქტურას, გადაწყვიტეს მაღალი კლასის ელექტრომრიცხველის შექმნა. ადრე თუ გვიან იგი დასჭირდებათ „თელასის" ახალ მეპატრონეებს. „ეი-ი-ეს – თელასის" ელექტრომრიცხველების გატანის პროგრამა მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა „ეკრანისათვის". მით უმეტეს, უკვე ჰქონდათ შესათავაზებელი. მისი ელექტრომრიცხველი უმნიშვნელოვანესი მახასიათებლებით საზღვარგარეთულ ანალოგებს აღემატება. ეს კომპანიის ტექნიკური პოლიტიკის მაშინდელმა ხელმძღვანელმა კოლინ დენიმაც აღიარა, რომელიც „ეი-ი-ეს – თელასმა" ქარხანაში გაგზავნა. ელექტრომრიცხველების სასინჯმა პარტიამ წარმატებით გაიარა გამოცდა და „ეკრანმა" მიიღო პირველი დიდი პარტიის შეკვეთა. მალე ელექტრომრიცხველების გამოტანას შეუდგა საიჯარო ფირმა „ბლექ ენდ ვიჩი" და მისმა ხელმძღვანელმა დევიდ რიტალიკმა განუცხადა დამამზადებლებს: „გაითვალისწინეთ, რომ უამრავი ელექტრომრიცხველი დაგვჭირდება. პირველ ხანებში 15-20 ათასი". და მართლაც, მოჰყვა ამას 15 ათასის შეკვეთა. შეასრულეს. თანაც „ეკრანი" ელექტრომრიცხველებს 22 დოლარად ჰყიდდა ყველა გადასახადის გათვალისწინებით. მსხვილი შეკვეთის შემთხვევაში კი ერთნახევარი დოლარის დაკლებისთვისაც მზად იყო. ამ ელექტრომრიცხველების ანალოგები, სულ ცოტა, 45 დოლარი ღირს, ხოლო ცნობილი ფირმების დამზადებული – არა ნაკლებ 60 დოლარისა.

და უცებ, ბატონი რიტალიკი აცხადებს, რომ მზად არიან განუსაზღვრელი ოდენობით შეიძინონ „ეკრანის" ელექტრომრიცხველები, მაგრამ არა უმეტეს 12 დოლარის ფასად. არადა, მარტო ელექტრომრიცხველის კომპლექტაცია ჯდება 12 დოლარი. ასეთი პირობა მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავდა, – პარტნიორის თავიდან მოშორებას.

და საქართველოში მასობრივი წესით დაიწყო კიდეც თურქული ინდუქციური (მექანიკური) ელექტრომრიცხველების შემოტანა. კომპანიის ტექნიკურ პოლიტიკაში ასეთმა ექსტრავაგანტურმა კლაკნილმა ყველა გააოცა, ვინაიდან ელექტრონულ და ინდუქციურ მრიცხველებს შორის სხვაობა სწორედ ისეთივეა, როგორც ფრანგულ სანთებელა „კრიკეტს" და ბალაბანოვის ფაბრიკის ასანთის ყუთს შორის. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ცუდი ასანთის ყუთს კარგი სანთებელის ფასად ყიდულობენ. „ეი-ი-ეს – თელასმა" და „ბლექ ენდ ვიჩმა" თურქული ელექტრომრიცხველების შესყიდვა დაიწყეს, თითოეულის 18,5 დოლარად. სხვათა შორის, ეს მექანიკური ანაქრონიზმი, მთელ მსოფლიოში რომ იხსნება ხმარებიდან, საინტერესო თავისებურებით ხასიათდება. თუნდაც ელექტროენერგია არ იხარჯებოდეს, ისე თავისთავად რიცხავს თვეში ხუთ-ექვს ლარამდე თანხას. 200 ათასი ასეთი „თვითმრიცხველი" ყოველთვიურად სულ ცოტა მილიონ ლარს, მოპარავს მომხმარებელს. მეტროლოგიურმა ლაბორატორიამ „სტანდარტმა", რომელმაც შეამოწმა თურქული ფირმის „კოხლერის" 26 ათასი ცალი ელექტრომრიცხველის ვარგისიანობა, დაახლოებით 25 პროცენტი დაიწუნა. თურქებმა არ დაიჯერეს ასეთი სკანდალური შედეგი. თბილისში სიმენსის აპარატურის სპეციალისტები გამოგზავნეს. მაჩვენებლები იგივე იყო. თავისთან შეამოწმეს და იქაც იგივე შედეგი მიიღეს. საინტერესოა, სად არის ახლა ეს ელექტრომრიცხველები? უკან არავის წაუღია.

მაგრამ, როგორც ჩანს, ინდუქციური ელექტრომრიცხველებისადმი „ეი-ი-ეს – თელასის" და „ბლექ ენდ ვიჩის" სიყვარულს ვერაფერი შეარყევს. ისინი განაგრძობენ ავანტიურას, შემოაქვთ ზუსტად ასეთივე მსოფლიოს უკვე სხვა კუთხიდან – ინდონეზიიდან. მარტო სატრანსპორტო ხარჯები რად ღირს. თავად ელექტრომრიცხველებიც თურქულზე უფრო ძვირი დაუჯდათ – ცალი 20,2 დოლარი, მეტროლოგიური ფირმა „ველის" მონაცემებით, ინდონეზიური წარმოების 35 ათასი ცალი ელექტრომრიცხველიდან დაახლოებით 15 პროცენტია დაწუნებული.

## ოთხმაგი ფასი კომბინაციის მომხიბვლელობისათვის

მაგრამ საქმე მარტო „ეი-ი-ეს – თელასის" და „ბლექ ენდ ვიჩის" მიერ შესყიდულ ცუდ ელექტრომრიცხველებს როდი ეხება. არანაკლებ ინტერესს იწვევს იმპორტული არალიკვიდური პროდუქციის ფასიც. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ასეთი ელექტრომრიცხველების ფასი მსოფლიო ბაზარზე დადგინდა სადღაც 6 დოლარის ფარგლებში. გამოდის, რომ „ეი-ი-ეს – თელასიც" და „ბლექ ენდ ვიჩიც" ფასში ძალიან მოტყუვდნენ. ისინი მაინც შეხმატკბილებულ დუეტად მოქმედებენ.

რა შეიძლება აქედან დავასკვნათ? 1. არც ერთი კომპანიის ექსპერტს არავითარი წარმოდგენა არა აქვს ინდუქციური ელექტრომრიცხველების მსოფლიო ფასებზე. მწარმოებლებმა ისინი თავხედურად მოატყუეს. შეიძლება ასეთი რამ მომხდარიყო? არა, არ შეიძლება. თუ ჩვენ გავერკვიეთ ფასების კონიუნქტურაში, ისინი რა, უფრო ვირტუოზულად არ ერკვევიან? რჩება მეორე საკითხი. საქონელი მართლაც იაფად შეიძინეს, მაგრამ დოკუმენტურად ოთხჯერ მეტ ფასადაა გაფორმებული. სწორედ ასე მოქმედებს სტანდარტული თაღლითობის სქემა, როცა რეალურ და ფიქციურ ფასს შორის სხვაობა გვერდს უვლის ოფიციალურ სალაროს და თანამზრახველთა შორის იყოფა. თუმცა ამ ვერსიას ერთი გარემოება ასუსტებს. რაც მეტია საბაჟოზე წარმოდგენილი იმპორტული საქონლის ფასი, მით მეტია გადასახადი. ამიტომ ფასის ხელოვნურად გაზრდა არახელსაყრელია. პირიქით, ხელსაყრელია შემცირება, რაც გამუდმებით ხდება კიდეც. სხვათა მორის, ოთხმაგი ფასი სიმტკიცის საკმარის მარაგს უზრუნველყოფს, რადგან მომხიბვლელობას უნარჩუნებს კომბინაციას.

როგორც აღმოჩნდა, ამ მწვავესიუჟეტიან ამბავს კიდევ ერთი ეპიზოდი აქვს. გაირკვა, რომ ჩვენმა კანონმდებლებმა იმპორტულ საყოფაცხოვრებო ელექტრომრიცხველებზე საბაჟო გადასახადი 12-დან 5 პროცენტამდე შეამცირეს, ხოლო დღგ საერთოდ მოხსნეს. ასეთ შემთხვევაში ფასებით მანიპულირება თავისუფლად შეიძლება.

## დაე, ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთ!

ჩვენი ჟურნალისტური გამოძიება წამგებიანი და ადვილად გასაბათილებელი იქნებოდა, განმარტებისათვის „ეი-ი-ეს – თელასის" და „ბლექ ენდ ვიჩის" ხელმძღვანელობისათვის რომ არ მიგვემართა. თანაც ჩვენი პოზიცია ემყარებოდა „თელასის" გაყიდვის შესახებ საქართველოს მთავრობასთან დადებულ „ეი-ი-ეს – თელასის" დიდი ხელშეკრულების 7.32 პუნქტს. ამ პუნქტში ნათქვამია: „საწარმოსათვის („ეი-ი-ეს – თელასი") საჭირო ხელსაწყოები უნდა შეიძინონ ქართული წარმოების, იმ შემთხვევაში, თუ ისინი კონკურენტუნარიანია ეკოლოგიური, ტექნიკური ღირებულებითი მახასიათებლებისა და მიწოდების თვალსაზრისით". როგორც ყოველთვის, შეუძლებელი აღმოჩნდა უშუალოდ კომპანიის პირველ პირებთან რამის გარკვევა. კითხვები ისევ კითხვებად დარჩა:

– რატომ მოხდა, რომ კომპანიამ შეამოწმა 50 ელექტრომრიცხველი, შემდეგ 500, იყიდა 5 ათასი, მერე 15 ათასი ცალი, ბოლოს კი გადაიფიქრა?

– რა ჯდება ერთი ელექტრომრიცხველის გამოტანა და რისგან შედგება იგი?

– რა ღირს ერთი იმპორტული ელექტრომრიცხველი, რომელსაც კომპანია ყიდულობს?

ესეც ვიკითხოთ, აქვს თუ არა „ეი-ი-ეს – თელასის" ასეთი კომერციის მეთოდებს რაიმე საერთო თანამედროვე ცივილიზებულ საბაზრო ეკონომიკასთან? რა უნდა გვასწავლოს საეჭვო ხერხებით მომუშავე „სტრატეგიულმა ინვესტორმა"?

აი, რას გვიამბობს საქართველოს სახელმწიფო სტანდარტების დეპარტამენტის ელექტროსაზომი ხელსაწყოების სახელმწიფო კონტროლის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ემზარ მაისაშვილი: „პარლამენტარ გია ბარამიძის წერილის საფუძველზე ოფიციალური დავალებით უნდა შეგვემოწმებინა მუსკომედიის თეატრის ელექტრომრიცხველები. წესის თანახმად, ამას უნდა დასწრებოდა „ეი-ი-ეს – თელასის" წარმომადგენელი. მაგრამ კომპანიის ელექტროქსელების განვითარების განყოფილების ხელმძღვანელის მაიკლ ჰიბერტის გარეშე, რომელიც შვებულებაში იმყოფებოდა, უარი თქვეს შემოწმებაში მონაწილეობაზე. ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი მოლაპარაკების და ხვეწნის შემდეგ მაიკლ ჰიბერტი დაგვეთანხმა მიღებაზე. ჩვენ წერილობით წარვუდგინეთ ჩვენი დავალება და იგი სრულიად არაადეკვატურად მოიქცა: მოურიდებელ ლანძღვა-გინებას მოჰყვა. ჩვენ მისი მოქმედება აქტით აღვწერეთ და გასაცნობად ბატონ ჰიბერტს წარვუდგინეთ. მან მიაფურთხა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, დაჭმუჭნა და ნაგვის ყუთში მოისროლა.

ასე გამოიყურება „სტრატეგიული ინვესტორის" პარტნიორობისა და საქმიანი ეთიკის ერთ-ერთი გაკვეთილი. თუმცა ამას სხვა რამ ჰქვია: დაე, ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთ!

**ამირან მგელაძე,**
**თენგიზ ჩხიკვაძე,**
საქინფორმის კორ.

განსჯა

# როცა კმაყოფილია ქრთამის მიმცემიც და ქრთამის ამღებიც

**კორუფცია მარტოოდენ საქართველოს კი არა, სხვა მრავალ ქვეყანასაც უმოწყალოდ ხრავს. ამიტომ ებრძვის მას მთელი მსოფლიო.**

**ახლახან ბუდაპეშტში, სამართალდამცავი ორგანოების საერთაშორისო აკადემიაში, აშშ იუსტიციის დეპარტამენტის ინიციატივით, გაიმართა რეგიონული სემინარი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და მოლდოვას დელეგაციები. საქართველოდან მიწვეული გახლდათ 9 კაცი, – გენერალური პროკურატურიდან, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროებიდან, სასამართლოდან, ინტერპოლიდან, პარლამენტიდან.**

**სემინარზე საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა გენერალური პროკურატურის უფროსი პროკურორი გიორგი ჯანაშია; კორუფციის მასშტაბებსა და მასთან ბრძოლის პრობლემებზე კი ისაუბრა სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდამჭერი სამმართველოს უფროსმა კახა კობერიძემ. მოდით, ჩვენც მოვუსმინოთ ბატონ კახა კობერიძეს.**

– სემინარმა ბევრი რამ შეგვძინა. გავეცანით მოწინავე ქვეყნების, ჩვენი უცხოელი კოლეგების გამოცდილებას კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, მოვისმინეთ მათი რჩევები, რეკომენდაციები, რომლებიც ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს ჩვენს ყოველდღიურ, პრაქტიკულ საქმიანობაში.

ათი დღის მანძილზე ლექციებს გვიკითხავდნენ აშშ სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორები, დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე პროკურორები და მოსამართლეები. მიდიოდა სისხლის სამართლის პროცესის სხვადასხვა სტადიების ინსცენირება, კონკრეტული კაზუსების განხილვა. ცხადია, ბევრი რამ ჩვენთვის უცხო იყო.

თურმე ხდება გარიგება ბრალდებულსა და პროკურორს შორის. პროკურორი ბრალდებულს „ევაჭრება". კერძოდ, პროკურორი ბრალდებულს წარუდგენს მესამის მტკიცებულებებს. ბრალდებული აღიარებს იმ დანაშაულს, რომლის გარშემოც შეკრებილია უტყუარი მტკიცებულებები. სამაგიეროდ, პროკურორი მას აღარ წარუდგენს იმ მტკიცებულებებს, თუნდაც უფრო მძიმე დანაშაულებისას, რომელიც შედარებით არამყარია. ამაზე თანხმდებიან, საქმე მიდის სასამართლოში, მოსამართლეც მას არსებითად აღარ იხილავს და პირდაპირ ადგენს განაჩენს;

უცხოელებს ძალზე გაუკვირდათ, რომ ჩვენ ბრალდების მთელ მტკიცებულებებს წინასწარ ვაცნობთ ბრალდებულებს, ადვოკატებს. მათი კანონმდებლობა მსგავს წესს არ ითვალისწინებს. ამას შეიძლება ბრალდებულის მხრიდან მოჰყვეს ზეწოლა მოწმეებსა და დაზარალებულებზე, ამან კი შეიძლება საქმეს დაუკარგოს სასამართლო პერსპექტივაო;.

საინტერესოა ნდობის ის ფაქტორიც, რომელსაც აშშ-ში იჩენენ სახელმწიფო მოხელეთა მიმართ. ჩვენი კანონმდებლობა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ითხოვს თანამოწმეთა სავალდებულო დასწრებას. ამერიკაში კი უყოყმანოდ ენდობიან თავიანთ მოხელეებს, არ აკონტროლებენ, – ამას პროკურორთა თუ გამომძიებელთა ღირსების შეურაცხყოფად მიიჩნევენ.

მუშაობის ასეთი ფორმები ჩვენ დღეს ყურსა გვჭრის, მაგრამ ხვალ ან ზეგ შეიძლება ისინი ჩვენთანაც დაინერგოს.

ჩემს მოხსენებაში ერთლად შევეხე იმ ინსტიტუციონალურ რეფორმებს, რომლებიც კარგა ხანია საქართველოს პროკურატურის ორგანოებში მიმდინარეობს. სამწუხაროდ, აქ ზოგიერთები საქართველოს პროკურატურას საბჭოურ პროკურატურას ეძახიან. უცხოელებმა კი თამამად განაცხადეს, რომ საქართველოს პროკურატურის დღევანდელი საქმიანობა პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და იგი გაცილებით უფრო დემოკრატიულია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისა. თუმცა ამ რეფორმების გაგრძელება და შემდგომი სრულყოფა აუცილებელია. ამას ჩვენი პროკურატურის თითოეული მუშაკიც ეთანხმება.

სემინარზე უფრო გაცხადდა, რომ კორუფცია მარტოოდენ ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ ყოფილა. ეს პრობლემა ერთობ მწვავედ დგას თვით აშშ-შიც. ამერიკის სისხლის სამართალს არა აქვს კორუფციის ცალსახა განმარტება. სხვადასხვა განმარტებებიდან უფრო ავტორიტეტულია ჯეიმს ბელენტაინის, ჰენრი ბლეკის და როლინ პერკინსის განმარტებები, რომლებიც დიდად არ განსხვავდება კორუფციის ჩვენეული განმარტებიდან. ისინი მიიჩნევენ, რომ კორუფცია არის თანამდებობის პირის მიერ თავისი მდგომარეობის უკანონოდ, არამართლზომიერად გამოყენება თავისთვის, ან სხვა პირისთვის რაიმე სახის უპირატესობის მოსაპოვებლად. აქ იგულისხმება ფულადი, ქონებრივი მოგება და ა. შ.

ამერიკული გაგებით, კორუფცია არის მწყობრი და ორგანიზებული სისტემა დანაშაულისა, რომლის სათავეშიც თანამდებობის პირები დგანან და ამ დანაშაულის ჯაჭვის ძირითად რგოლებს სწორედ თანამდებობის პირები წარმოადგენენ. ამერიკელი კოლეგები კორუფციას, კერძოდ, მექრთამეობას საკუთარი ქვეყნის მასშტაბით ასახელებენ ფედერალურ მთავრობაში, საარჩევნო სისტემაში, კომერციულ საქმიანობაში, პროფკავშირებში, სპორტში...

როგორც სემინარზე ითქვა, აშშ სამართალდამცავებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში პრობლემები არ აქვთ არც მატერიალურ-ტექნიკური, არც ფინანსური თვალსაზრისით. საამისოდ იხარჯება აუარებელი თანხები. დიდი ფული მიდის ფარულ თვალთვალზე, მოსმენებზე. სისტემატურად ხდება იმ პირთა როტაცია, რომლებიც ებრძვიან კორუფციას, – ეშინიათ მათი გათქვეფისა კორუმპირებულებთან. მიუხედავად ამისა, მათს მცდელობას მუდამ არ მოაქვს სასურველი შედეგები, რადგანაც ყოველთვის კმაყოფილია ქრთამის მიმცემიც და ქრთამის ამღებიც. ამის გამხელა არც ერთ მხარეს ხელს არ აძლევს.

ჩვენთან თითქოს კორუფცია ხელისგულზე დევს. საჭირო არაა ჩაღრმავება, ჩაძიება და მაინც, ხშირად კაცს დანაშაულს ვერ ვუმტკიცებთ. ასეთ დროს ის მაინც გავაკეთოთ, რასაც სხვა ქვეყნები აკეთებენ, – საეჭვო მოხელეები თანამდებობიდან გადავაყენოთ, საჯარო სამსახური ავუკრძალოთ. შეიძლება დავაყენოთ შემოსავლებთან შეუსაბამო ქონების ჩამორთმევის საკითხიც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კორუფციასთან ბრძოლა არ შეიძლება მარტოოდენ სისხლის სამართლის მეთოდებით. მხოლოდ ამ მეთოდებით მუშაობა, რეალური შედეგების მიღწევა განვითარებულ, ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოებსაც კი უჭირთ და ჩვენ ვინა ვართ მათთან, – ელემენტარულად, საარსებო ხელფასიც კი ვერ მიგვეცია პროკურორისთვის თუ გამომძიებლისთვის, რათა მან თავისი მოვალეობა უზადოდ შეასრულოს.

დაბოლოს, ცალკე უნდა გამოვყო ჩვენი მოსახლეობის მიდგომა კორუფციისადმი. სამწუხაროდ, საქართველოში გაუმაძღარი მოხელე, მოხვეჭელი ჩინოვნიკი ვერ გრძნობს საზოგადოების ზიზღს. პირიქით, ხალხი მას უფრო აფასებს, პატივს მიაგებს, ვიდრე რიყავს, თავიდან იცილებს. პარალელურად, ღარიბი და პატიოსანი კაცის ავტორიტეტი ეცემა; სინდისი და ნამუსი ფეხქვეშ ითელება, მორალი და ზნეობა კნინდება. და სახელმწიფოც აქედან იწყებს კვდომას, გადაშენებას.

ქართველი ხალხი ძლიერია, – სულითაც, სხეულითაც და მჯერა, რომ კორუფციასაც, – ამ ავთვისებიან სიმსივნესაც თავისებურად დაამარცხებს და დაასამარებს.

**ჩაიწერა ბონდო გულიაშვილმა.**

### ფაქტი

**ამხილეს ქუთაისის მერიის საფიჩხიის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე ხვიჩა დეისაძე. მან ოქტომბერში ყალბი საბუთებით მუნიციპალიტეტის სასათბურე მეურნეობიდან გაყიდა 8756 ლარის ღირებულების ფოლადის მილები და თანხა მიითვისა.**

### ფაქტი

**38 ათასი ლარის უკანონოდ მითვისებაში ამხილეს თბილისის შპს „სადეზინფექციო პროფილაქტიკური ცენტრის" ყოფილი დირექტორი ერეკლე ჯიქია.**

**როგორც პრაიმ-ნიუსს შსს პრესსამსახურში განუცხადეს, 1997 წლის აგვისტოდან 2000 წლის აგვისტომდე თბილისის სადეზინფექციო პროფილაქტიკური ცენტრის მიერ სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებაში შესრულებული სადეზინფექციო სამუშაოების ღირებულების უმეტეს ნაწილს პირადად იღებდა ხელზე და ითვისებდა.**

**დადგენილია, რომ ჯიქიას „თბილავიამშენიდან", შპს „ინტერსერვისიდან", თბილისის ინფექციური საავადმყოფოდან და ტექნიკური უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლებიდან მიღებული თანხებიდან მითვისებული აქვს 38 ათასი ლარი.**

**მიმდინარეობს დოკუმენტური რევიზია მითვისებული თანხების სრულად დადგენის მიზნით.**

საბაჟო

# დონის თამბაქო მწარე გამოდგა

**ერგნეთი კვლავ რჩება როგორც უაქციზო, ისე, საერთოდ, კონტრაბანდული ტვირთის ულევ საწყობად. დღე ერთია, დარღვევა კი ათი, ოცი... აგერ, ერთი ფაქტი.**

2000 წლის 26 ივნისს გორის რაიონის სოფელ თამარაშენში მცხოვრებ ზვიად ბუღლულაშვილის „გაზელის" მარკის ავტომანქანაში (№ ს 3751 RUS) დაუდგენელმა პიროვნებამ (მძღოლის განმარტებით ვინმე მამუკა გოგრიჭიანმა). ე. წ. „ერგნეთის ბაზრობაზე" ჩატვირთა უაქციზო იმპორტული სიგარეტი „Донской табак" და გადაწყვიტა მისი გადაზიდვა მარნეულის მიმართულებით, რისთვისაც მძღოლს გადაუხადა 100 ლარი.

ტვირთის გადაზიდვის პროცესში, დილის 6 საათზე, სოფელ თელეთის საგზაო საგუშაგო პუნქტთან ავტომანქანა შემოწმების მიზნით გააჩერეს საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებმა, რის შემდეგაც საქართველოს აქციზური მარკებით ნიშანდაუდებელი სიგარეტებით დატვირთული ავტომანქანა შეიყვანეს საბაჟო ტერმინალ „ლილო-I"-ში, შედგა სათანადო ოქმიც.

დამოუკიდებელი ექსპერტიზისა და სერტიფიკაციის ბიუროს შპს „ლეგი XXI"-ის 2000 წლის 26 ივნისის აქტის თანახმად, ჩამორთმეული სიგარეტის საერთო რაოდენობაა 44000 კოლოფი, მათი საბითუმო ღირებულება შეადგენს 22000 ლარს, რაც მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს განსაკუთრებით დიდ ოდენობას...

საქმის მასალებზე ზედამხედველობას ახორციელებდა საქართველოს გენერალური პროკურატურის საბაჟო და საგადასახადო სამსახურებში მოკვლევასა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის კანონიერებაზე ზედამხედველობის განყოფილება, რომელმაც დაამტკიცა საბაჟო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების კანონიერება და იგი ქვემდებარეობის გასარკვევად ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას გაუგზავნა. საბოლოო სიტყვასაც სწორედ იქ იტყვიან.

**ბადრი იაშვილი.**

### ფაქტი

**დანაშაულში ამხილეს თბილისში რეგისტრირებული შპს „მეტალინვესტის" დამფუძნებლები – ისრაელის მოქალაქე ბიგინიამინ ფინხასი (იგივე მალხაზ ბინიაშვილი), თბილისში მცხოვრები ალბერტ ზაზაშვილი და ალექსანდრე გოგიშვილი.**

**მათ, 1998 წელს, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში შეიტანეს 8123 ტონა შავი ლითონის ჯართი და სალაროდან ნაღდი ფულის სახით გაიტანეს მისი საფასური – 632639 ლარი. „მეტალინვესტის" დამფუძნებლებმა საგადასახადო ინსპექციაში არ წარადგინეს დეკლარაციები და გაანგარიშებები, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მხოლოდ დამატებული ღირებულების გადასახადის სახით დაუმალეს 66622 ლარი.**

№ 282. სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2000 წელი.

# საქართველოს კანონი

# მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ

ეს კანონი ადგენს საქართველოში მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების ერთიან სისტემას საქართველოს კანონმდებლობის და მეზღვაურთა დიპლომირების, მომზადებისა და ვახტის გაწევის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ეს კანონი არ ვრცელდება სამხედრო მეზღვაურთა მომზადებასა და დიპლომირებაზე.

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

### მუხლი 1. ტერმინების განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაცია – საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაცია;

ბ) საზღვაო დიპლომი (შემდგომში – დიპლომი) – კომპეტენტურობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაცემულია ან აღიარებულია საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს საზღვაო ადმინისტრაციის მიერ და უფლებას აძლევს მის მფლობელს დაიკავოს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული თანამდებობა;

გ) განათლების დიპლომი – მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გაიცემა საზღვაო სასწავლებლის მიერ „განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

დ) მოწმობა – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მეზღვაურის მიერ მომზადების სპეციალური კურსის გავლას;

ე) თეორიული მომზადების აღიარებული კურსი – შესაბამის საზღვაო სასწავლებელში, რომლის სასწავლო პროგრამა შეესაბამება როგორც საერთაშორისო სტანდარტებს, ისე საქართველოს კანონმდებლობას და დამტკიცებულია ადმინისტრაციის მიერ, სპეციალური საზღვაო განათლების შედეგად მიღებული თეორიული მომზადების დონე;

ვ) საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) – საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული მეზღვაურთა გადამზადების ცენტრი;

ზ) დაწყებითი საზღვაო განათლება – საზღვაო სკოლაში ერთწლიანი თეორიული მომზადების აღიარებული კურსი, რომლის გავლის შემდეგ გაიცემა გემზე დამხმარე დონის მუშა სპეციალისტის მოწმობა;

თ) საშუალო საზღვაო განათლება – საზღვაო სასწავლებელში სამწლიანი თეორიული მომზადების აღიარებული კურსი, რომლის გავლის შემდეგ გაიცემა განათლების დიპლომი, რომელიც იძლევა გემზე ექსპლუატაციის დონის თანამდებობის დაკავების უფლებას;

ი) უმაღლესი საზღვაო განათლება – უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში ოთხწლიანი თეორიული მომზადების აღიარებული კურსი, რომლის გავლის შემდეგ გაიცემა განათლების დიპლომი, რომელიც იძლევა გემზე მართვის დონის თანამდებობის დაკავების უფლებას;

კ) მართვის დონე (ადმინისტრაციული) – პასუხისმგებლობის დონე, რომელიც დაკავშირებულია გემის კაპიტნის, უფროსი თანაშემწის, უფროსი მექანიკოსის ან მეორე მექანიკოსის მიერ სათანადო თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებასთან;

ლ) ექსპლუატაციის დონე (ოპერატიული) – პასუხისმგებლობის დონე, რომელიც დაკავშირებულია გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწის, სავახტო მექანიკოსისა და რადიოოპერატორის მიერ თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებასთან, სათანადო პროცედურების შესაბამისად და რომელიც ხორციელდება კაპიტნის უფროსი თანაშემწის, უფროსი მექანიკოსის ხელმძღვანელობით;

მ) დამხმარე დონე – პასუხისმგებლობის დონე, რომელიც დაკავშირებულია გემზე რიგითი შემადგენლობის მიერ თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებასთან, ექსპლუატაციის ან მართვის დონეზე მომუშავე პირის ხელმძღვანელობით;

ნ) სანაპირო ნაოსნობა – ნაოსნობა საქართველოს ნავსადგურებს შორის და სანაპირო ზოლის გასწვრივ, ნაპირიდან არა უმეტეს 50 საზღვაო მილის დაშორებით;

ო) საერთაშორისო სტანდარტები – საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მიერ დაწესებული მეზღვაურთა მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტები;

პ) GMDSS - საზღვაო კავშირის გლობალური სისტემა, რომელიც გამოიყენება ძიებისა და უბედურების შემთხვევის დროს;

ჟ) სუპერინტენდანტი – საზღვაო მომზადების მქონე კომპანიის თანამდებობის პირი, რომელიც უშუალოდ აგებს პასუხს გემის ტექნიკურ ექსპლუატაციაზე ან/და ნაოსნობის უსაფრთხოებაზე;

რ) საერთო ტევადობა – საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული გემის ზომის პირობითი სიდიდე.

### მუხლი 2. მეზღვაურთა მომზადების სისტემა

1. მეზღვაურთა მომზადების სისტემის შემადგენელი ნაწილია დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი საზღვაო განათლება.

2. საშუალო საზღვაო განათლების მქონე მეზღვაურს უფლება აქვს უგამოცდოდ ჩაირიცხოს უმაღლეს საზღვაო სასწავლებელში და გაიაროს მხოლოდ ორწლიანი თეორიული მომზადების აღიარებული კურსი.

3. ნაოსნობაში მუშაობის მსურველს მიღებული საზღვაო განათლებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად გემზე პასუხისმგებლობის ყველა დონის თანამდებობის დაკავებისა და თანამდებობრივი გადაადგილება-მონაცვლეობის უფლებას აძლევს ადმინისტრაციის მიერ გაცემული დიპლომი და მოწმობა, რომელთა გაცემისა და მიღების წესი და პირობები რეგულირდება ამ კანონით.

4. მეზღვაურმა 5 წელიწადში ერთხელ შესაბამის საზღვაო სასწავლებელში ან ცენტრში უნდა გაიაროს გადამზადების კურსი, რომელსაც აფინანსებს გემთმფლობელი ან/და თვითონ მეზღვაური.

5. გემთმფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს გემზე მეზღვაურთა მომზადება საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

6. ეს კანონი აღიარებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის განსაკუთრებულ როლს მეზღვაურთა მომზადების და საზღვაო მეცნიერების დარგში.

### მუხლი 3. ადმინისტრაციის მიერ მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების სისტემის აღიარება

1. ადმინისტრაცია 2 წელიწადში ერთხელ ამოწმებს, რამდენად შეესაბამება საზღვაო სასწავლებლის და ცენტრის სპეციალური საზღვაო სასწავლო პროგრამები საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

2. საზღვაო სასწავლებელში ზოგადი განათლების მიღება ხდება „განათლების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

3. საზღვაო სასწავლებელი და ცენტრი უნდა იყოს აღიარებული ადმინისტრაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

4. ადმინისტრაცია ცნობს სხვა სახელმწიფოს საზღვაო ადმინისტრაციის მიერ გაცემულ დიპლომს, თუ ამ სახელმწიფოში მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების სისტემა აღიარებულია საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ ან არსებობს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება.

5. ადმინისტრაცია ვალდებულია მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების თაობაზე აცნობოს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციას და იმ სახელმწიფოთა ეროვნულ ადმინისტრაციებს, რომლებთანაც საქართველოს დადებული აქვს შეთანხმება.

### მუხლი 4. გემის უზრუნველყოფა ნორმატიული აქტებით

1. გემთმფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს გემზე საქართველოს საზღვაო სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო საზღვაო კონვენციების არსებობა.

2. ადმინისტრაცია ამოწმებს გემზე საქართველოს საზღვაო სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტებისა და საერთაშორისო საზღვაო კონვენციების არსებობას.

### მუხლი 5. პედაგოგის, ინსტრუქტორისა და გამომცდელის კვალიფიკაცია

პედაგოგს, ინსტრუქტორსა და გამომცდელს, რომლებიც ასწავლიან სპეციალურ სასწავლო დისციპლინებს, უნდა ჰქონდეთ მიღებული სათანადო უმაღლესი საზღვაო განათლება, ჰქონდეთ უფროს სამეთაურო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ან კომპანიის სუპერინტენდანტად მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი, ან სამეცნიერო ხარისხი სპეციალობის მიხედვით.

### მუხლი 6. კანდიდატისათვის დაწესებული ზოგადი მოთხოვნები

1. ადმინისტრაცია საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეს ანიჭებს გემის სამეთაურო შემადგენლობის პირის წოდებას, თუ:

ა) იგი არის არანაკლებ 18 წლისა;

ბ) ჯანმრთელობის მდგომარეობით აკმაყოფილებს ადმინისტრაციის მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად;

გ) მართვის დონის შესაბამისი თანამდებობის დაკავებისას აქვს სათანადო უმაღლესი საზღვაო განათლება;

დ) ექსპლუატაციის დონის შესაბამისი თანამდებობის დაკავებისას აქვს სათანადო საშუალო საზღვაო განათლება;

ე) აქვს შესაბამისი დიპლომი;

ვ) აქვს შესაბამისი მოწმობა;

ზ) აქვს გემზე მუშაობის შესაბამისი სტაჟი;

თ) თანამდებობრივი მოვალეობის მოთხოვნათა ფარგლებში ფლობს ინგლისურ ენას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდება გემის კაპიტანზე, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ 20 წლისა.

### მუხლი 7. გემთმფლობელისა და გემის კაპიტნის პასუხისმგებლობა

1. სათანადო დიპლომის ან მოწმობის არმქონე მეზღვაურის სამუშაოდ დაქირავება იწვევს გემთმფლობელისა და გემის კაპიტნის პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. გემთმფლობელი ვალდებულია დანიშნოს გემის მეზღვაურთა მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი.

3. გემთმფლობელი ვალდებულია გემის უფროსი სამეთაურო შემადგენლობიდან დანიშნოს გემზე მეზღვაურთა მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი.

4. გემთმფლობელი ვალდებულია გემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დააკომპლექტოს გემი მეზღვაურთა მინიმალური შემადგენლობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### მუხლი 8. საშეღავათო ნებართვები

1. მეზღვაურის სიკვდილის, ავადმყოფობის ან/და დაშავების შემთხვევაში, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნისას ადმინისტრაციას უფლება აქვს გასცეს სათანადო დიპლომის არმქონე მეზღვაურის განსაზღვრული ვადით თანამდებობაზე დანიშვნის ნებართვა, თუ მისი კვალიფიკაცია აკმაყოფილებს ადმინისტრაციის მოთხოვნებს.

2. საშეღავათო ნებართვით მუშაობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 თვეს.

3. საშეღავათო ნებართვებს გემის კაპიტნისა და უფროსი მექანიკოსის თანამდებობების დასაკავებლად ადმინისტრაცია გასცემს მხოლოდ მეზღვაურის სიკვდილის, ავადმყოფობის ან/და დაშავების შემთხვევაში, აგრეთვე სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნისას, არა უმეტეს ერთი თვის ვადით.

4. საშეღავათო ნებართვებს რადიოსპეციალისტისა და რადიოტელეფონისტის თანამდებობების დასაკავებლად ადმინისტრაცია გასცემს მხოლოდ რადიოკავშირის რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5. ნებისმიერი თანამდებობის დასაკავებელი საშეღავათო ნებართვა გაიცემა მხოლოდ იმ პირზე, რომელსაც აქვს ერთი საფეხურით ნაკლებ თანამდებობაზე დასანიშნი დიპლომი.

6. გემთმფლობელი ვალდებულია სათანადო დიპლომის არმქონე მეზღვაური უმოკლეს ვადაში შეცვალოს სათანადო დიპლომის მქონე სპეციალისტით.

### მუხლი 9. გემზე მეზღვაურთა მომზადება

1. გემის კაპიტანი წერილობითი ბრძანების საფუძველზე ნიშნავს მეზღვაურთა მომზადებაზე პასუხისმგებელ პირებს შემდეგ თანამდებობათა მიხედვით: კაპიტნის უფროს თანაშემწეს – შტურმანების, მატროსებისა და მომსახურე პერსონალის მოსამზადებლად, უფროს მექანიკოსს – მექანიკოსების მოსამზადებლად, მეორე მექანიკოსს – მოტორისტების მოსამზადებლად.

2. მეზღვაურთა მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები შეიმუშავებენ სასწავლო გეგმებს, რომლებსაც ამტკიცებს გემის კაპიტანი.

3. გემის კაპიტანი აკონტროლებს ეკიპაჟის მზადების პროცესს და სასწავლო გეგმების შესრულების შესახებ სამ თვეში ერთხელ აცნობებს გემთმფლობელს.

4. გემის კაპიტანი გემთმფლობელს ყოველწლიურად წარუდგენს წერილობით ანგარიშს ეკიპაჟის მომზადების შესახებ. ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს სასწავლო გეგმები, მეცადინეობათა პროგრამები და მეზღვაურთა სია, მათი ცოდნის შეფასების მითითებით.

5. გემთმფლობელის მიერ მეზღვაურთა მომზადებაზე დანიშნული პასუხისმგებელი პირი გემთმფლობელს წარუდგენს სრულ ანგარიშს მეზღვაურთა მომზადების შესახებ და მიუთითებს არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

### მუხლი 10. მეზღვაურთა რეგისტრაცია და აღრიცხვა

1. ადმინისტრაცია აწარმოებს დიპლომისა და მოწმობის მქონე მეზღვაურთა რეგისტრაციას.

2. გემთმფლობელი ვალდებულია აწარმოოს მეზღვაურთა საბუთებისა და მონაცემების აღრიცხვა-შენახვა და ოფიციალური მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს მათი საჯაროობა.

## თავი II

## სამეთაურო შემადგენლობის წოდებები

### მუხლი 11. გემთწამყვანების წოდებები

გემთწამყვანებს ენიჭებათ შემდეგი წოდებები:

ა) 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტანი;

ბ) 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტანი;

გ) 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტანი;

დ) 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე;

ე) 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე;

ვ) 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე;

ზ) 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე;

თ) 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე.

### მუხლი 12. გემთმექანიკოსების წოდებები

გემთმექანიკოსებს ენიჭებათ შემდეგი წოდებები:

ა) 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი;

ბ) 750 კვტ-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი;

გ) 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი;

დ) 750 კვტ-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი;

ე) 750 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი;

ვ) 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი.

### მუხლი 13. გემის ელექტრონინჟინრების წოდებები

გემის ელექტროინჟინრებს ენიჭებათ შემდეგი წოდებები:

ა) გემის პირველი თანრიგის ელექტროინჟინერი;

ბ) გემის მეორე თანრიგის ელექტროინჟინერი.

### მუხლი 14. გემის რადიოსპეციალისტების წოდებები

გემის რადიოსპეციალისტებს ენიჭებათ შემდეგი წოდებები:

ა) GMDSS ოპერატორი;

ბ) შეზღუდული რაიონის GMDSS ოპერატორი;

გ) ოპერატორ-რადიოტელეფონისტი;

დ) გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის პირველი კლასის ოპერატორი;

ე) გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის მეორე კლასის ოპერატორი.

### მუხლი 15. თანამდებობების განაწილება პასუხისმგებლობის დონის მიხედვით

1. გემის მართვის დონეზე პასუხისმგებელ უფროს სამეთაურო შემადგენლობას განეკუთვნებიან:

ა) გემის კაპიტანი;

ბ) გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე;

გ) უფროსი მექანიკოსი;

დ) მეორე მექანიკოსი.

2. გემის ექსპლუატაციის დონეზე პასუხისმგებელ საშუალო სამეთაურო შემადგენლობას განეკუთვნებიან:

ა) მეორე შტურმანი (მეორე თანაშემწე);

ბ) მესამე შტურმანი (მესამე თანაშემწე);

გ) მესამე მექანიკოსი;

დ) მეოთხე მექანიკოსი;

ე) ელექტროინჟინერი;

ვ) გემის რადიოსადგურის უფროსი;

ზ) რადიოოპერატორი;

თ) გემის ექიმი;

ი) ბოცმანი.

3. გემის დამხმარე დონის პასუხისმგებელ სპეციალისტებს (რიგითი შემადგენლობა) განეკუთვნებიან ეკიპაჟის ის წევრები, რომლებიც მითითებულნი არ არიან ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში.

4. ადმინისტრაცია ადგენს რიგითი შემადგენლობისადმი წაყენებულ მოთხოვნებს.

## თავი III

## სამეთაურო შემადგენლობისადმი წაყენებული მოთხოვნები

### მუხლი 16. 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე

1 სანაპირო ნაოსნობის 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) ჰქონდეს საგემბანო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, კაპიტნის ან კაპიტნის დიპლომირებული სავახტო თანაშემწის ხელმძღვანელობით ხიდურზე ვახტზე დგომის არანაკლებ 6 თვის სტაჟი;

ბ) აღნიშნული ტიპის გემზე მუშაობისათვის საჭირო პროფესიული ცოდნით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწეს, რომელიც მუშაობს სანაპირო ნაოსნობის გარეთ მცურავ 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემზე, უნდა ჰქონდეს 500 და მეტი საერთო ტევადობის გემზე მუშაობის შესაბამისი დიპლომი.

### მუხლი 17. 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე

1. 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწე ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) ჰქონდეს გემბანზე რიგით შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, კაპიტნის ან კაპიტნის სავახტო თანაშემწის ხელმძღვანელობით ხიდურზე ვახტზე დგომის არანაკლებ 6 თვის სტაჟი;

ბ) რადიოკავშირის სფეროში პროფესიული გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწეს შეუძლია დაიკავოს კაპიტნის სავახტო თანაშემწის თანამდებობა, მეორე თანაშემწის თანამდებობის ჩათვლით, სანაპირო და საერთაშორისო ნაოსნობის ნებისმიერ გემზე.

### მუხლი 18. 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე

1. 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე კაპიტნის სავახტო თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 2 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) ავადმყოფის მოვლის აღიარებული კურსის ცოდნითა და გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. კაპიტნის უფროს თანაშემწეს, რომელიც მუშაობს 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემზე და ასრულებს საერთაშორისო რეისებს, უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციის მიერ აღიარებული 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროს თანაშემწედ მუშაობის შესაბამისი დიპლომი.

### მუხლი 19. 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე

1. 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე კაპიტნის სავახტო თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 3 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) ავადმყოფის მოვლის აღიარებული კურსის ცოდნითა და გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. გემის კაპიტნის უფროს თანაშემწეს 3000-მდე საერთო ტევადობის გემზე შეუძლია დაიკავოს კაპიტნის უფროსი თანაშემწის თანამდებობა, ხოლო 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემზე – კაპიტნის სავახტო თანაშემწის თანამდებობა, კაპიტნის მეორე თანაშემწის თანამდებობის ჩათვლით.

### მუხლი 20. 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე

1. 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის თანაშემწისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე კაპიტნის სავახტო თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის აღიარებული კურსის ცოდნით და გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. გემის კაპიტნის უფროს თანაშემწეს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია დაიკავოს კაპიტნის უფროსი თანაშემწის თანამდებობა სანაპირო და საერთაშორისო ნაოსნობის ნებისმიერ გემზე, ხოლო კაპიტნის თანამდებობა – 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემზე.

### მუხლი 21. 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტანი

1. სანაპირო ნაოსნობის 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემის კაპიტანი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) ჰქონდეს გემზე კაპიტნის უფროს თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი და შესაბამისი დიპლომი;

ბ) აღნიშნული ტიპის გემზე მუშაობისათვის საჭირო პროფესიული ცოდნით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. კაპიტანს, რომელიც მუშაობს სანაპირო ნაოსნობის გარეთ მცურავ 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემზე და ასრულებს საერთაშორისო რეისებს, უნდა ჰქონდეს ადმინისტრაციის მიერ აღიარებული 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემზე კაპიტნად მუშაობის შესაბამისი დიპლომი.

### მუხლი 22. 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტანი

1. 500-დან 3000-მდე საერთო ტევადობის გემის კაპიტანი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწისადმი წაყენებულ მოთხოვნებს, ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი და ამ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 4 წლის აღიარებული სტაჟი;

ბ) ჰქონდეს კაპიტნის უფროსი თანაშემწის დიპლომი;

გ) ავადმყოფის მოვლის აღიარებული კურსის ცოდნითა და გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. გემის კაპიტანს სანაპირო და საერთაშორისო ნაოსნობის 3000-მდე საერთო ტევადობის გემზე შეუძლია დაიკავოს კაპიტნის თანამდებობა, ხოლო 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემზე – სამეთაურო თანამდებობა, გემის კაპიტნის მეორე თანაშემწის თანამდებობის ჩათვლით.

### მუხლი 23. 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტანი

1. 3000 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტანი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემის კაპიტნის უფროს თანაშემწედ მუშაობის არანაკლებ 4 წლის აღიარებული სტაჟი ან 3000-მდე საერთო ტევადობის გემზე კაპიტნად მუშაობის არანაკლებ 2 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) ავადმყოფის მოვლის აღიარებული კურსის ცოდნითა და გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით.

2. გემის კაპიტანს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია დაიკავოს კაპიტნის თანამდებობა სანაპირო და საერთაშორისო ნაოსნობის ნებისმიერ გემზე.

### მუხლი 24. 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი

1. 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) გაიაროს გემის მექანიკოსის სწავლების ან მომზადების კურსი, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს სამაშველო კანჯოების გამოყენების და პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სწავლებას;

ბ) ჰქონდეს გემის სამანქანო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 6 თვის აღიარებული სტაჟი;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების აღიარებული კურსი;

დ) იცოდეს შრომის უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

2. სავახტო მექანიკოსს 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემზე შეუძლია დაიკავოს თანამდებობა მეორე მექანიკოსის თანამდებობამდე, ხოლო იმავე გემზე მეორე მექანიკოსის თანამდებობის დასაკავებლად უნდა ჰქონდს ადმინისტრაციის მიერ აღიარებული 750 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსის დიპლომი.

### მუხლი 25. 750 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი

1. 750 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის სავახტო მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) გაიაროს გემის მექანიკოსის სწავლების ან მომზადების კურსი, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს სამაშველო კანჯოების გამოყენების და პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის სწავლებას;

ბ) ჰქონდეს გემის სამანქანო შემადგენლობაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების აღიარებული კურსი;

დ) იცოდეს შრომის უსაფრთხოების ტექნიკის წესები.

2. სავახტო მექანიკოსს 750 კვტ-ზე ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემზე შეუძლია დაიკავოს თანამდებობა მეორე მექანიკოსის თანამდებობის ჩათვლით, ხოლო 750 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემზე – თანამდებობა მესამე მექანიკოსის თანამდებობის ჩათვლით.

### მუხლი 26. 750 კვტ-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი

1. 750 კვტ-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს სავახტო მექანიკოსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემის სავახტო მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, მეოთხე მექანიკოსად და მესამე მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების აღიარებული კურსი.

2. მეორე მექანიკოსს გემზე, რომლის მთავარი ძალოვანი დანადგარის სიმძლავრე 750 კვტ-ზე ნაკლებია, შეუძლია დაიკავოს უფროსი მექანიკოსის თანამდებობა, ხოლო 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემზე – მესამე მექანიკოსის თანამდებობა.

### მუხლი 27. 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი

3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის მეორე მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს სავახტო მექანიკოსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს შესაბამისი დიპლომი;

ბ) ჰქონდეს სავახტო მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 2 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, მეოთხე მექანიკოსად და მესამე მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების აღიარებული კურსი;

დ) გემის მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობისას ჰქონდეს მექანიზმების ქარხნული წესით შეკეთების გამოცდილება.

### მუხლი 28. 750-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი

1. 750-დან 3000 კვტ-მდე სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს სავახტო მექანიკოსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს სათანადო დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე მუშაობის არანაკლებ 4 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, მეორე მექანიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების აღიარებული კურსი;

დ) თეორიული ცოდნით, გემის მექანიზმების ექსპლუატაციისა და მომსახურების გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით;

ე) მეორე მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობისას ჰქონდეს მექანიზმების ქარხნული წესით შეკეთების გამოცდილება.

2. უფროს მექანიკოსს შეუძლია დაიკავოს მეორე მექანიკოსის თანამდებობა გემზე, რომლის მთავარი ძალოვანი დანადგარის სიმძლავრე 3000 კვტ და მეტია.

ის მე-6 გვ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 282. სამშაბათი, 24 ოქტომბერი, 2000 წელი

(მეხუთე გვერდიდან)

**მუხლი 29. 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი**

1. 3000 კვტ და მეტი სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემის უფროსი მექანიკოსი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) აკმაყოფილებდეს სავახტო მექანიკოსისადმი წაყენებულ მოთხოვნებს და ჰქონდეს სათანადო დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე მუშაობის არანაკლებ 5 წლის აღიარებული სტაჟი, მათ შორის, მეორე მექანიკოსად მუშაობის 3 წლის გამოცდილება;

გ) გაიაროს პრაქტიკული ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების კურსი;

დ) თეორიული ცოდნით და გემის მექანიზმების ექსპლუატაციისა და მომსახურების გამოცდილებით აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს, რაც დასტურდება სათანადო მოწმობით;

ე) მეორე მექანიკოსის თანამდებობაზე მუშაობისას ჰქონდეს მექანიზმების ქარხნული წესით შეკეთების გამოცდილება.

2. უფროს მექანიკოსს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეუძლია დაიკავოს უფროსი მექანიკოსის თანამდებობა ნებისმიერ გემზე, გარდა ბირთვული ენერგეტიკის დანადგარების მქონე გემებისა.

**მუხლი 30. გემის პირველი თანრიგის ელექტრონიკოსი**

გემის პირველი თანრიგის ელექტრონიკოსის წოდების მისაღებად კანდიდატი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) ჰქონდეს უმაღლესი საზღვაო განათლება და გემის მეორე თანრიგის ელექტრონიკოსის დიპლომი;

ბ) გემზე, რომლის ელექტრომოწყობილობის სიმძლავრე 1500 კვტ და მეტია, ჰქონდეს ელექტრონიკოსად მუშაობის არანაკლებ 2 წლის აღიარებული სტაჟი.

**მუხლი 31. გემის მეორე თანრიგის ელექტრონიკოსი**

1. გემის მეორე თანრიგის ელექტრონიკოსის წოდების მისაღებად კანდიდატი ამ კანონის მე-6 მუხლში აღნიშნული ზოგადი მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა ვალდებულია:

ა) ჰქონდეს უმაღლესი განათლება;

ბ) გემზე, რომლის ელექტრომოწყობილობის სიმძლავრე 600 კვტ და მეტია, ჰქონდეს ელექტრონიკოსად მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი.

2. კანდიდატს შეუძლია დაიკავოს ელექტრონიკოსის თანამდებობა, უფროსი ელექტრონიკოსის თანამდებობის ჩათვლით, გემზე, რომლის წევის ელექტროძრავის საერთო სიმძლავრე 3000 კვტ-ზე ნაკლებია.

3. კანდიდატს შეუძლია დაიკავოს ელექტრონიკოსის თანამდებობა, უფროსი ელექტრონიკოსის თანამდებობის ჩათვლით, გემზე, რომელსაც არ გააჩნია წევის ელექტროძრავა, ხოლო მისი ელექტრომოწყობილობის სიმძლავრე (თევზის მოპოვების, გადამუშავებისა და საზღვაო რეწვის დანიშნულების ელექტრომოწყობილობათა სიმძლავრის გარეშე) არანაკლებ 5000 კვტ-ია.

4. კანდიდატს ნებისმიერ გემზე შეუძლია დაიკავოს ელექტრონიკოსის თანამდებობა, მეორე თანრიგის ელექტრონიკოსის თანამდებობის ჩათვლით.

**მუხლი 32. GMDSS ოპერატორი და შეზღუდული რაიონის GMDSS ოპერატორი**

1. რადიოკავშირზე პასუხისმგებელ ოპერატორს ან გემზე რადიოკავშირის განმახორციელებელ პირს, რომელსაც მოეთხოვება GMDSS-ში მონაწილეობა, უნდა ჰქონდეს სათანადო დიპლომი ან ადმინისტრაციის მიერ რადიოკავშირის რეგლამენტის შესაბამისად გაცემული დიპლომი.

2. ოპერატორი ვალდებულია:

ა) იყოს არანაკლებ 18 წლისა;

ბ) ჯანმრთელობით, განსაკუთრებით მხედველობის, სმენისა და მეტყველების მდგომარეობით, აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციის მოთხოვნებს;

გ) გაიაროს სწავლებისა და მომზადების აღიარებული კურსი და თავისი კომპეტენტურობით აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

**მუხლი 33. ოპერატორ-რადიოტელეფონისტი**

ოპერატორ-რადიოტელეფონისტი, რომელიც პასუხისმგებელია გემის რადიოკავშირზე ან/და ახორციელებს მას, ვალდებულია:

ა) ჰქონდეს ადმინისტრაციის მიერ რადიოკავშირის რეგლამენტის შესაბამისად გაცემული დიპლომი;

ბ) სასწავლო გეგმის შესაბამისად განახორციელოს პრაქტიკული მეცადინეობები;

გ) ჰქონდეს სპეციალობის მიხედვით გემზე მუშაობის 6 თვის აღიარებული სტაჟი, სასწავლო პრაქტიკის ჩათვლით.

**მუხლი 34. გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის პირველი კლასის ოპერატორი**

1. გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის პირველი კლასის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია რადიოკავშირზე, მის შეკეთებასა და მომსახურებაზე, ვალდებულია ჰქონდეს ადმინისტრაციის მიერ რადიოკავშირის რეგლამენტის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული დიპლომი.

2. უმაღლესი საზღვაო განათლების მქონე ოპერატორი ვალდებულია ჰქონდეს გემზე რადიოსპეციალისტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი, ხოლო საშუალო საზღვაო განათლების მქონე ოპერატორი – არანაკლებ 18 თვის აღიარებული სტაჟი.

**მუხლი 35. გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის მეორე კლასის ოპერატორი**

გემის რადიოელექტრონული მოწყობილობის მეორე კლასის ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია რადიოკავშირზე, მისი მოწყობილობის შეკეთებასა და მომსახურებაზე, ვალდებულია:

ა) ჰქონდეს ადმინისტრაციის მიერ რადიოკავშირის რეგლამენტის და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გაცემული დიპლომი;

ბ) ჰქონდეს გემზე რადიოსპეციალისტად მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟი.

**მუხლი 36. რადიოოპერატორისათვის დაწესებული შეღავათები**

1. ოპერატორ-ტელეფონისტს, რომელსაც მინიჭებული აქვს გემის რადიოსპეციალისტის წოდება, უფლება აქვს დაიკავოს ოპერატორ-რადიოტელეფონისტის თანამდებობა რადიოსატელეფონო დანადგარით აღჭურვილ გემზე.

2. რადიოტელეგრაფისტს, რომელსაც მინიჭებული აქვს გემის რადიოსპეციალისტის წოდება, უფლება აქვს დაიკავოს რადიოოპერატორის თანამდებობა სანაპირო და საერთაშორისო ნაოსნობის ნებისმიერ გემზე.

# საქართველოს კანონი

# მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ

## თავი IV

## მოწმობები

**მუხლი 37. მოწმობები**

1. ადმინისტრაციის მიერ აღიარებულია შემდეგი მოწმობები:

ა) სავალი ნავიგაციის ვახტზე მდგომი რიგითი შემადგენლობის პირის (I კლასის მატროსი) მოწმობა;

ბ) სავალ სამანქანო ვახტზე მდგომი რიგითი შემადგენლობის პირის (I კლასის მოტორისტი) მოწმობა;

გ) მტუმბავი მემანქანის (დონკერმანის) მოწმობა;

დ) ავტომატიზებული რადიოლოკაციური სისტემისა და რადიოლოკაციური წერტილის სპეციალისტის მოწმობა;

ე) გემზე ხანძრის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალისტის მოწმობა;

ვ) გემზე სამაშველო კანჯოებისა და ტივების სპეციალისტის მოწმობა;

ზ) ავადმყოფის მოვლის კომპეტენტურობის მოწმობა;

თ) პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კომპეტენტურობის მოწმობა;

ი) პირველადი ელემენტარული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის კომპეტენტურობის მომწობა;

კ) საშიში ტვირთების გადამზიდზე მუშაობის მოწმობა;

ლ) ნავთობმზიდზე მუშაობის მოწმობა;

მ) ქიმიურ ნივთიერებათმზიდზე მუშაობის მოწმობა;

ნ) აღრეული ნავთობით ტანკების რეცხვის სისტემასთან მუშაობის მოწმობა;

ო) ინერტული აირის სისტემასთან მუშაობის მოწმობა.

2. მოწმობების გაცემის წესს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრავს ადმინისტრაცია.

3. დასამვებია ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი მოწმობების გაერთიანება საზღვაო ადმინისტრაციის მიერ მიღებული ფორმით.

## თავი V

## დიპლომის მისაღებად და მისი მოქმედების ვადის დასადასტურებლად კანდიდატის ცოდნის შემოწმება

**მუხლი 38. დიპლომის მოქმედების ვადის დადასტურება**

1. დიპლომის მოქმედების ვადაა 5 წელი.

2. კანდიდატის პროფესიული კომპეტენტურობა მტკიცდება:

ა) ბოლო 5 წლის განმავლობაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის აღიარებული სტაჟით; ან

ბ) იმ ფუნქციების შესრულებით, რომლებიც გათანაბრებულია გემზე მუშაობის ამ სტაჟთან; ან

გ) კურსის წარმატებული დამთავრებით; ან

დ) გემის ზესაშტატო ერთეულის თანამდებობაზე დუბლიორად მუშაობის არანაკლებ 3 თვის აღიარებული სტაჟით.

**მუხლი 39. დიპლომის მისაღებად კანდიდატის ცოდნის შემოწმება**

1. დიპლომის მისაღებად კანდიდატის ცოდნა მოწმდება გამოცდების ჩაბარებით და ადმინისტრაციის მიერ აღიარებული შემოწმების გაელით, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2. კანდიდატის ცოდნას ამოწმებს ადმინისტრაციის მუდმივმოქმედი სახელმწიფო საზღვაო საკვალიფიკაციო კომისია, რომელსაც ნიშნავს ადმინისტრაცია.

3. სახელმწიფო საზღვაო საკვალიფიკაციო კომისიის წევრებად ინიშნებიან ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები.

4. სახელმწიფო საზღვაო საკვალიფიკაციო კომისიის წევრებს უფლება აქვთ საზღვაო სასწავლებლებსა და ცენტრებში დაესწრონ გამოცდებს.

5. ცოდნის შემოწმება ხდება 5 წელიწადში ერთხელ, ხოლო რიგგარეშე შემოწმება შეიძლება მოეწყოს ამ კანონის VII თავში აღნიშნულ შემთხვევებში.

**მუხლი 40. დიპლომის მისაღებად კანდიდატის ცოდნის შემოწმების ვადა**

1. კანდიდატის ცოდნის შემოწმების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს.

2. კანდიდატის ცოდნის შემოწმების შედეგებზე დგება ოქმი, რომლის ფორმას ამტკიცებს ადმინისტრაცია და რომელიც წარმოადგენს საფუძველს შესაბამისი დიპლომის მისაღებად და თანამდებობის დასაკავებლად.

3. კანდიდატი, რომლის ცოდნა არადამაკმაყოფილებელია, შესაბამის კომისიას 6 თვის ვადაში განმეორებით აბარებს გამოცდებს.

4. თუ კანდიდატის ცოდნა განმეორებითი შემოწმებისას კვლავ არადამაკმაყოფილებელი იქნება, კომისია ადმინისტრაციას წარუდგენს დასკვნას, რის საფუძველზეც ადმინისტრაცია 1 წლის ვადით აჩერებს დიპლომის მოქმედებას.

## თავი VI

## დიპლომისა და მოწმობის გაცემა

**მუხლი 41. დიპლომისა და მოწმობის მისაღებად საჭირო საბუთები**

დიპლომისა და მოწმობის მისაღებად საჭირო საბუთების ნუსხას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს ადმინისტრაცია.

**მუხლი 42. დიპლომის მისაღებად ნაოსნობის ვადების აღრიცხვა**

დიპლომის მისაღებად ნაოსნობის ვადაში არ ჩაითვლება:

ა) გემთწამყვანს:

ა.ა) ნაოსნობა სამუქირო გემზე;

ა.ბ) ნაოსნობა, რომლის დროსაც მას ეკავა ლოცმანის თანამდებობა;

ა.გ) ნაოსნობა სპორტულ გემზე;

ა.დ) ნაოსნობა 500-ზე ნაკლები საერთო ტევადობის გემზე, 500 და მეტი საერთო ტევადობის გემის კაპიტნის სავახტო თანაშემწის დიპლომის მისაღებად;

ა.ე) ნაოსნობა ნავსადგურის აკვატორიის ფარგლებში;

ა.ვ) ნაოსნობა მცურავ დოკზე, მცურავ ამწესა და გამწმენდ გემზე;

ა.ზ) შესაკეთებელი დგომა ერთ თვეზე მეტი ხნით;

ბ) გემის მექანიკოსს:

ბ.ა) ნაოსნობა სამუქირო გემზე;

ბ.ბ) ნაოსნობა სპორტულ გემზე;

ბ.გ) ნაოსნობა 750 კვტ და ნაკლები სიმძლავრის მთავარი ძალოვანი დანადგარის მქონე გემზე;

ბ.დ) ნაოსნობა მცურავ დოკსა და მცურავ ამწეზე;

გ) ელექტრონიკოსს:

გ.ა) ნაოსნობა არათვითმავალ გემზე, რომლის ელექტრომოწყობილობის სიმძლავრე 50 კვტ-ზე ნაკლებია;

გ.ბ) ნაოსნობა მცურავ დოკსა და მცურავ ამწეზე;

გ.გ) ნაოსნობა სპორტულ გემზე.

## თავი VII

## დიპლომის ან მოწმობის ჩამორთმევა და მოქმედების ვადის დროებითი შეჩერება

**მუხლი 43. დიპლომის ან მოწმობის ჩამორთმევა და მოქმედების ვადის დროებითი შეჩერება**

1. დიპლომის ჩამორთმევა ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. დიპლომის ან მოწმობის მოქმედების ვადის დროებით შეჩერებას „საზღვაო დისციპლინარული წესდების“ შესაბამისად ახდენს:

ა) ადმინისტრაცია;

ბ) გემის კაპიტანი;

გ) ნავსადგურის კაპიტანი ადმინისტრაციასთან შეთანხმებით.

3. დიპლომის ან მოწმობის მოქმედების ვადის დროებითი შეჩერება ხდება საზღვაო ინციდენტის მოკვლევის პერიოდში, ხოლო შემდგომი გადაწყვეტილება დიპლომის ან მოწმობის მოქმედების ვადის დროებითი შეჩერების შესახებ მიიღება მოკვლევის შედეგების გათვალისწინებით, არა უმეტეს ერთ წლამდე ვადით.

4. ადმინისტრაცია ყველა სახის დისციპლინარული გადაცდომის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს საზღვაო კოდექსით, დებულებით „საზღვაო ინციდენტების მოკვლევის შესახებ“, „საზღვაო დისციპლინარული წესდებითა“ და ამ კანონით.

5. დიპლომის მოქმედების ვადის განახლებამდე უნდა მოხდეს კანდიდატის ცოდნის შემოწმება ამ კანონის შესაბამისად.

## თავი VIII

## მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი წაყენებული სამედიცინო მოთხოვნები

**მუხლი 44. მეზღვაურთა ჯანმრთელობის მდგომარეობისადმი წაყენებული მოთხოვნები**

მეზღვაურის საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად თითოეულმა კანდიდატმა უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად.

**მუხლი 45. სამედიცინო შემოწმების ვადა**

1. თითოეულმა მეზღვაურმა (მამაკაცები 60 წლამდე, ქალები – 55 წლამდე) ორ წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს სამედიცინო შემოწმება, ხოლო მითითებული ასაკის ზემოთ – წელიწადში ერთხელ.

2. გარკვეული სახის ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში სამედიცინო კომისიას შეუძლია დაადგინოს სამედიცინო შემოწმების სხვა ვადები.

**მუხლი 46. სამედიცინო კომისია**

ადმინისტრაცია სპეციალიზებულ საზღვაო სამედიცინო ცენტრთან საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციათა გათვალისწინებით ქმნის სამედიცინო კომისიას.

## თავი IX

## დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 47. ძალადაკარგული ნორმატიული აქტი**

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საზღვაო გემების სამეთაურო შემადგენლობის პირთა წოდებების შესახებ“.

**მუხლი 48. კანონის ამოქმედება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი. 2000 წლის 26 სექტემბერი.

---

კონკურსი

# სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და მისი ტერიტორიული ორგანოები გიწვევთ აუქციონებსა და კონკურსებზე

| რაიონი | ობიექტი | საწყისი გასაყიდი ფასი (აშშ დოლარებში) |
|---|---|---|
| თბილისი | შ.პ.ს. „არქის“ საწესდ. კაპიტ. სახ. საკუთრებაში დარჩენილი 24,91% წილი | 62100 |
| | ვაზისუბნის მე-2 მ/რ, კორპ. №13-ში 101,6 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი | 1795,32 |
| | ფალიაშვილის ქ. №118-ში მდებარე 162,17 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი | 5665,98 |
| | ქავთარაძის ქ.№19-ში მდებარე მე-19 თბოსადგურის სამაზუთე მეურნეობა | 36629,11 |
| | დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №18-ში მდებარე 212,85 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 3501,5 |
| | დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №10-ში მდებარე 35,55 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 547 |
| | დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №18-ში მდებარე 76,42 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 1251 |
| | დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №18-ში მდებარე 84,54 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 1383,5 |
| | გიორგი ბრწყინვალეს ქ.№33-ში 170კვ.მ.(50კვ.მ.სარდაფი) არასაცხ. ფართი | 2976,5 |
| | დიდი დიღომი, IIIმ/რ, კორპ. №18-ში მდებარე 47,2 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 771,38 |
| | დიდი დიღომი, IVმ/რ, კორპ. №12-ში მდებარე 172 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 2589,5 |
| | ჯავახიშვილის ქ. №5-ში მდებარე 33,2 კვ.მ. სარდაფი | 450 |
| | ქინძმარაულის შესახვევი, IV და X კორპუსებს შორის ცალკე მდგომი არასაცხოვრებელი ფართი, ყოფილი „რძის პავილიონი“ (36კვ.მ.) | 454,2 |
| | ვარკეთილი-3, IV მ/რ, კორპ. №420-ში 144კვ.მ. ფართი პურის მაღაზია №61 | 1797,85 |
| | მოსკოვის გამზ. №18, კორპ. №1-ში მდებარე 78 კვ.მ. არასაცხ. ფართი | 713,3 |
| | ბოგდან ხმელნიცკის ქ. №1-ში მდებარე 146 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი | 1514,85 |
| | გორგასლის ქ. II ჩიხი №4-ში მდებარე შ.პ.ს. „ნადიკვარი“ | 21598,61 |
| | ვარკეთილი-3, II მ/რ, კორპ. №2-ში მდებარე 167,2კვ.მ. არასაცხ. ფართი | 2516 |
| | თემქა,Xკვ.-ში მდებარე მუნიციპ. საწ. „თბომეურნეობის“ თბოპუნქტი 68კვ.მ. | 1553 |
| | ქსნის ქ.12-ში მდებ. სავაჭრო-შემსყიდველი სარეალიზაციო ბაზა 310,47კვ.მ. | 5094 |
| | ვარკეთილი-3,IIIა მ/რ,კორპ. №337-ში მდებ. 236 კვ.მ. მ.შ. 76,7კვ.მ.სართული | 1923 |
| | გლდანის დას. VII-VIIIმ/რ-ების ს/ცენტრში მდებ.608,75კვ.მ.არასაცხ. ფართი | 4696,75 |
| | ჩოდრიშვილის და ხუდადოვის გადაკვეთაზე №4-ში მდებარე ამორტიზებული და გაძარცვული ცალკე მდგომი შენობა 453კვ.მ. | 3748,5 |
| | ვარკეთილის 3, IV მ/რ, კორპ. №413-ში მდებარე არასაცხ. ფართი 168 კვ.მ. | 3118,6 |
| | მე-3 მას.ზ/პლატოს სასაფლაოსა და №8კორპ. შორის ლითონის ფარდული | 7665,07 |
| | თემქის დას. IIIმ/რ, IIკვარტ. კორპ.№32ა-ში არასაცხ. ფართი 312,98 კვ.მ. | 12155 |
| | ვაზისუბნის IIმ/რ, კორპ. №1-ში არასაცხოვრებელი ფართი 105,83 კვ.მ. | 3259 |
| | ფაბრიციუსის ქ. №5/1-2-ში მდებარე მაღაზია №15 | 4011,56 |
| | თემქის დას.მე-11 მ/რ,IIIკვარტ. №49კორპ. თბილლიფტის სადისპეტ. სათავსი | 802,15 |
| | კახეთის გზატკ. №67-ში შ.პ.ს. მუნიც. საწ. „თბილტრანსის“ ა/გ სადგური | 27154 |
| | დაბა წყნეთში, რუსთაველის ქ.№3-ში არასაცხ. ფართი 286,53 კვ.მ. | 11419,22 |
| გორი | შ.პ.ს. „საქავტოგზის“ 100% სახელმწიფო წილი, მშვიდობის გამზ. №16 | 34620 |
| | შ.პ.ს. „მკურნალის“ (გორის სარაიონთაშ. ტუბდისპანსერი) 100% სახ. წილი | 3762 |
| | საჭიდაო დარბაზის დამწვარი შენობა გურამიშვილის ქუჩაზე | 12406 |
| | მშვიდობის გამზ. №13-ში მდებარე 32კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი | 1117 |
| ხაშური | ხაშურის სატყეო მეურნეობის ბალანსზე რიცხული სოფელ გომის ხის გადამამუშავებელი საამქროს საქმიანი ეზო | 16650 |
| | ხაშურის სატყეო მეურნეობის ბალანსზე რიცხული ავტოფარეხის საქმიანი ეზოს. სამრეწველო და სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებები | 10457 |
| | ს/ს „რექტიფიკატის“ საწესდებო კაპიტალში არშესული ყოფ. ჭარხლის მიმღები პუნქტის შენობა | 962 |
| | ს/ს „რექტიფიკატის“ საწესდებო კაპიტალში არშესული მაღაზიის შენობა | 438 |
| | ტაშისკარის სარწყავი სისტემის სამმართვ. მშენებარე ადმინისტ. შენობა | 2100 |
| | აგროფირმა „ბულაჩაურის“ ბალანსზე რიცხ. ადმინისტრაციული შენობა | 10419 |
| დუშეთი | დუშეთის რაიონის გამგეობის ბალანსზე რიცხული ფინური ტიპის ბინა | 667 |
| მარნეული | ს/ს „საქსოფლტექნიკის“ მარნეულის ფილ. კუთვნ. საწყობის შენობა №1 | 1243 |
| | ს/ს „საქსოფლტექნიკის“ მარნეულის ფილ. კუთვნ. საწყობის შენობა №2 | 1251 |
| | შულავერის საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლის შენობა | 421 |
| | ქეშალოს ყოფილი სახ. მეურნეობის ავტოპარკი | 3985 |
| | არაფლოს ყოფილი სახ. მეურნეობის სალორის შენობა | 736 |
| | ალგეთის ყოფ. სახ. მეურნ. თამბაქოს სახარისხებელი საწყობის შენობა | 5[illegible] |
| | ქეშალოს ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი პურის საცხობის შენობა | 610 |
| | ქეშალოს ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი სადისპეტჩეროს შენობა | 120 |
| | აზიზკენდის ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი სახბორის შენობა №1 | 321 |
| | აზიზკენდის ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი სახბორის შენობა №2 | 321 |
| | აზიზკენდის ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი საძროხის შენობა | 932 |
| | გამარჯვების ყოფილი სახ. მეურნეობის მარცვლის საწყობის შენობა | 586 |
| | დამია გეურარხის ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი მაღაზიის შენობა | 122 |
| | დამია გეურარხის ყოფ. სახ. მეურნ. კუთვნ. დაუმთავრ. საძროხის შენობა | 1013 |
| | დამია გეურარხის ყოფ. სახ. მეურნ. კუთვნილი ღორების სასუქი შენობა | 79 |
| | ქესალოს ყოფილი სახ. მეურნეობის კუთვნილი სასადილოს შენობა | 626 |
| | ქესალოს ყოფ.სახ.მეურნ.კუთვ. მწყემსების სახლი მეღორეობის ფერმასთან | 115 |
| | მარნეულის რძის ქ-ნა შულავერის რძის მიმღებ პუნქტთან ერთად | 6233 |
| | მელიორაციისა და წყალთა მეურნ. სამმართვ. ფიროსმანის დამხმ. მეურნ. | 39 |
| დედოფლისწყარო | შ.პ.ს. „TWS“-ს(ქვემოქედის ღვინის ქარხანა) 12,4% სახელმწიფო წილი | 4858 |
| ჭიათურა | საგზაო საწარმო „ჭიათურა-97“-ის ბალანსზე რიცხ. სასაწყობო მეურნეობა | 81868,6 |
| | მაღაზია №40 ფრანგიშვილის ქ. №40-ში | 331,3 |
| | თონის შენობა ჭავჭავაძის ქუჩაზე | 293,8 |
| | არასაცხ. ფართი თხელიძის ქ.№43-ში, ტაბიძის ქ.№7, №8 და №12-ში, გოგებაშვილის ქ.№31-ში, ბარათაშვილის ქ.№44-ში, ნიკოპოლის ქ.№12, ჭავჭავაძის ქ.№27 და №29-ში, ნინოშვილის ქ. №17-ში, სტალინის ქ.№69 და №100-ში, იაშვილის ქ.№2-ში და 9 აპრილის ქ.№30-ში | 172,8-დან 2346,2-მდე |
| წყალტუბო | საფირმო მაღაზია „მთის ბროლი“ სოფ. ქვიტირში | 20618,24 |
| | „საქყოფრემმონტაჟის“ სარემონტო სამშენებლო სამმართვ. საქმიანი ეზო | 1415,64 |
| | სასიმინდე საწყობის შენობა სოფ. მაღლაკში | 129,02 |
| | აფთიაქი სოფ. პატრიკეთში | 197,5 |
| | გარემოს დაბინძურების წყალტუბოს რეგ. კომპლექსური ლაბორატ. ქონება | 1583,51 |
| | ავტომომსახურების სადგური | 12430,86 |
| | ყოფ. კლუბ-კანტორის შენობა სოფ. მესხეთში | 1368,5 |
| | საწყობის შენობა სოფ. ფარცხანაყანებში | 904,89 |
| | წისქვილის შენობა სოფ. მესხეთში | 82,95 |
| | მაღაზიის შენობა სოფ. ტყაჩირში | 27,7 |
| | საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო | 180,91 |
| | „საქკომუნრემმშენის“ წყალტუბოს წარმომადგენლობა | 35495 |
| | სავაჭრო ჯიხური სოფ. გეგუთში | 242,75 |
| | სავაჭრო ჯიხური სოფ. გეგუთში | 242,75 |
| | სასადილო პავილიონი ვარციხეჰესების დასახლებაში | 199,74 |
| | მაღაზია პავილიონი ვარციხეჰესების დასახლებაში | 408,81 |
| | ყოფილი ადმინისტრაციული შენობა სოფ. გეგუთში | 2111 |
| | სახელოსნო-სახერხის შენობა სოფ. გეგუთში | 2964,35 |
| ტყიბული | ტყიბულის ხორცკომბინატის სათაო შენობა | 275 |
| | სახაზინო საწარმო „საქკომუნრემმშენის“ ტყიბულის წარმომადგენლობა | 2145 |
| | შ.პ.ს. „სოფლსერვისის“ ბალ. რიცხ. სახელოსნოს შენობა სოფ. ორპირში | 572 |

შენიშვნა: ნუსხაში მოყვანილი ობიექტების ღირებულების დაფარვა მოხდება ეროვნულ ვალუტაში შესაბამისი კურსით.

კონკურსისა და აუქციონის წესით პრივატიზებული იქნება თბილისში, წყალტუბოს, ჭიათურის, დედოფლისწყაროს, მარნეულის, ყვარლის და გორის რაიონებში განლაგებული სახელმწიფო ქონება.

აუქციონი ნულოვანი საწყისი ფასით, რომელზეც გამოტანილი იქნება ამორტიზებული და ფიზიკურად გაცვეთილი ობიექტები მოეწყობა ტყიბულში, ყვარელში და წყალტუბოში.

აღნიშნულ საპრივატიზებო ობიექტებზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 22 სექტემბრის №38-ში.

---

რეგიონი

# ჩვენი ჭიათურა ისევ ამღერდება

ოქტომბერი „ჭიათურობის“ სადღესასწაულო თვეა. წლევანდელი ზეიმი სიახლეებით აღინიშნა.

სტუმარ-მასპინძლებმა რაიონის „კულტურის ცენტრში“ დიდი საოპერო მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა გახსნეს. იმ ეზოში კი, სადაც ბავშვობის წლები გაუტარებია მომღერალს, საფუძველი ჩაუყარეს მისივე სახელობის მუზეუმს. პროექტის ავტორია იუნესკოს ახალგაზრდა მხატვარ-არქიტექტორთა კავშირის წევრი ილო ჩიქვილაძე.

ზურაბ ანჯაფარიძის შვილმა, პატარა ზურიკომ, რაიონის გამგებელ დავით ივანიშვილთან ერთად, საბურველი ჩამოხსნა მემორიალურ დაფას. ზეიმში მონაწილეობდნენ ზურაბ ანჯაფარიძის მეგობრები: ნოდარ ანდღულაძე, თენგიზ მუშკუდიანი, ელდარ გეწაძე, გივი წულუკიძე, კომპოზიტორი რუსუდან სებისკვერაძე, ქუთაისის კონსერვატორიის რექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე და სხვები.

გაიმართა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლის პრეზენტაცია. დაიბადა ახალი ანსამბლი „ჭიათურა XXI“.

ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ომისა და შრომის ვეტერანების, რაიონის საპატიო მოქალაქეების: პლატონ აბესაძისა და ვასილ სამხარაძის ხსოვნის უკვდავსაყოფად შთამბეჭდავი ღონისძიებები გაიმართა.

აირჩიეს რაიონის საპატიო მოქალაქეები, პროფესიაში 100 გამორჩეული ჭიათურელი გამგეობის გადაწყვეტილებით დააჯილდოვეს.

„ჭიათურობის“ დღესასწაულში მონაწილეობდნენ სამთავრობო და სამხარეო ადმინისტრაციის პასუხისმგებელი მუშაკები: მიხეილ მარი, გაიოზ ნოზაძე, ზურაბ ქაჯაია.

**სოზარ კუპატაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

---

## სახელმწიფო ქონების მართვის ონის რაიონული განყოფილება ატარებს აუქციონს

50 პროცენტი ფასდაკლებით

აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოტანილი იქნა შემდეგი ობიექტები

| № | ობიექტის დასახელება | საწყისი გასაყიდი ღირებულება აშშ დოლარი | დაკავებული მიწის ფართობი კვ. მეტრი | დაკავებული მიწის ფართობის საპრივატიზაციო ღირებულება ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1. | საქკომუნმშენობის ონის წარმომადგენლობა | 2077 | 1059 | 710 |
| 2. | „ონიგზა-99“ | 9833 | 3000 | 2010 |
| 3. | საქთბოენერგიის №2 ჯგუფური საქვაბე | 342 | 800 | 536 |

აუქციონში განცხადებები მიიღება 10 საათიდან 17 საათამდე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. აუქციონი გაიმართება ამ განცხადების გამოქვეყნებიდან 30-ე კალენდარულ დღეს სახელმწიფო ქონების მართვის ონის განყოფილებაში.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება და „ბე“-ს გადახდის ქვითარი. „ბე“-ს სიდიდე არ უნდა იყოს ობიექტის საპრივატიზაციო ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. განცხადებას თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. იურიდიულმა პირმა დამატებით უნდა წარმოადგინოს სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლი.

მისამართი: ქ. ონი დავით აღმაშენებლის მოედანი №1. ტელ: 2-04-74.

სახ. ქონების მართვის ონის განყოფილება.

---

## განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს აპარატის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

1. კანცელარიის გამგე (მთავარი სპეციალისტი) – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო – 105 ლარი).

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას.

კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია ქალებისათვის 21-დან 60 წლამდე, მამაკაცებისათვის 21-დან 65 წლამდე.

*საკვალიფიკაციო მოთხოვნა:*

კანცელარიის გამგის თანამდებობაზე:

უმაღლესი იურიდიული განათლება.

კონკურსს ატარებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია; 2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა; 3. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;

საბუთები მიიღება ორი კვირის ვადაში განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11 ქუთაისის საქალაქო სასამართლო, ტელ: 2-70-77.

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო სამსახურის ბიურო.**

# ბუშისა და გორის ფული — მილიონების ომი



1907 წლიდან ამერიკის კორპორაციებს აკრძალული აქვთ, უშუალოდ შეიტანონ ფული პრეზიდენტობის კანდიდატთა ფონდებში. მაგრამ კომპანიებს შეუძლიათ, გადასცენ თანხები დემოკრატთა და რესპუბლიკელთა ფონდებს... „პარტიული მშენებლობისათვის“. ასეთი „მშენებლობის“ სრულიად ლეგალური ნაირსახეობაა სატელევიზიო პოლიტიკური რეკლამა.

გარდა ამისა, კორპორაციებში შეიძლება ჩამოყალიბდეს „პოლიტიკური მოქმედების კომიტეტები“, რომლებიც შეწირულობებს აგროვებენ მათი თანამშრომლებისა და აქციონერებისაგან – არა უმეტეს 5 ათასი დოლარისა წელიწადში თითოეული ფირმისაგან.

„პოლიტიკა, ისევე როგორც ბევრი სხვა რამ ამ ქვეყანაზე, – ეს არის, საბოლოო ანგარიშით, ფული“, – აღნიშნავს სი-ენ-ენი და თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს მარქსიზმის კლასიკოსთა გამონათქვამებს. აშშ მომავალი პრეზიდენტის არჩევნების მიმართ ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ სი-ენ-ენი იყენებს საგულისხმო გამოკვლევის მასალას, რომელიც ონლაინის საინფორმაციო სამსახურმა MAX Funds.com-მა მოაწყო.

ამ გამოკვლევის ავტორები არჩევნებს ძალზე მარტივად, ის კი არა, ცინიკურადაც კი მიუდგნენ. ისინი პირობითს „ბუშის კორპორაციად“ აერთიანებენ იმ 20 საჯარო კომპანიას, რომლებმაც უმეტესი წვლილი შეიტანეს ჯორჯ ბუშის საარჩევნო ფონდში. ანალოგიურად აყალიბებენ „გორის კორპორაციას“. მერე კი განიხილავენ მთელ წინასაარჩევნო კამპანიას, როგორც ამ ორი ფონდის ბრძოლას მსოფლიო ბაზრისათვის.

„ბუშის კორპორაციის“ კრებსითი კაპიტალიზაცია შეადგენს 44,3 მილიარდ დოლარს, „გორის კორპორაციისა“ – 22,5 მილიარდს.

პირველის საფუძველს შეადგენს ნავთობის ბიზნესი, თამბაქო, ფარმაცევტიკა და, საერთოდ, დიდი კომპანიები, დემონოპოლიზაციის პოტენციური კანდიდატები. ვარაუდობენ, რომ ბუში გორზე უფრო ნაკლებად აიძულებს სათბობის კომპანიებს, ხარჯონ ფული გარემოს დასაცავად, გაატარებს უფრო მკაცრ პოლიტიკას ОПЕК გაერთიანების მიმართ, მაგრამ უფრო ლიბერალურს – თამბაქოს რეკლამის მიმართ, ვინაიდან მწეველთა ყველა დაავადებას არ აბრალებს სიგარეტის მწარმოებლებს. მისგან არ ელოდებიან წამლის ფასების გაუთავებელ რეგულირებას და გამძაფრებულ ბრძოლას მონოპოლიებთან. გორს მხარს უჭერენ მედია-კომპანიები, საინვესტიციო ბანკები, კვების მრეწველობა და საბიუჯეტო პროგრამების ათასგვარი „მთანთქმელები“.

მედია-ბიზნესმა დემოკრატებს არ შეუწყვიტა საფინანსო ინექციები მას შემდეგაც კი, რაც მათმა ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატმა ლიბერმანმა უზნეობა დასდო ბრალად ჰოლივუდს. საინვესტიციო ბანკები არ არიან დაინტერესებულნი რესპუბლიკელების „დერეგულირებით“, რომლებიც ინვესტიციების ბაზას უკეთავენ კომერციულ ბანკებს. რაც შეეხებათ საბიუჯეტო ფულის ისეთ ტრადიციულ მიმღებთ, როგორიც არის სადაზღვეო სამშენებლო კომპანია MBC INC. კორპორაცია და სახელმწიფო ნაგებობათა მენაშენე Mack-Cali Realty Group, ბუნებრივია, ისინი მხარს დაუჭერენ დემოკრატებს და არა ტრადიციულად უფრო მომჭირნე რესპუბლიკელებს.

ანგარიში მთავრდება ენერგიული მოწოდებით ამერიკელი ამომრჩევლებისადმი, ტყუილად არ გაცდნენ, და იყიდონ იმ კანდიდატის „მხარდამჭერი ჯგუფის აქციებიც“, რომლის გამარჯვებისაც სწამთ...



## უსამა ბენ ლადენის ბრალი დადგენილია

ნიუ-იორკში ამერიკის არმიის ყოფილმა სერჟანტმა ალი მოჰამედმა აღიარა, რომ 1998 წელს ამზადებდა აშშ კენიისა და ტანზანიის საელჩოების აფეთქებებს, რომლებმაც 224 კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ალი მოჰამედმა სასამართლოში თქვა, რომ ბრძანებებს იღებდა უშუალოდ უსამა ბენ ლადენისაგან. მოჰამედი ამერიკის არმიის პარაშუტისტთა ნაწილებში მსახურობდა და ავტორიტეტი ჰქონდა მოხვეჭილი სარდლობაში. იგი აგრეთვე, ითვლებოდა მუსლიმანური კულტურის სპეციალისტად, რომელიც ასწავლიდა აშშ შეიარაღებული ძალების საგანგებო ქვედანაყოფებში.

ამერიკის არმიაში მიღებული ცოდნა მას გამოადგა მოგვიანებით, როდესაც ტერორისტებს წვრთნიდა ბენ ლადენის რაზმებში. 1988 წელს, შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის შემდეგ, ალი მოჰამედი ინსტრუქტორად მუშაობდა საუდელი მილიარდერის ტერორისტულ ორგანიზაციაში, აგრეთვე, პირადად დაეხმარა ბენ ლადენს, ფარულად გადასულიყო პაკისტანიდან სუდანში.

ყოფილი ამერიკელი სერჟანტის ჩვენებები ნამდვილი გარღვევა გახდა კენიისა და ტანზანიის ტერაქტების კვლევაში. ამერიკის ხელისუფლებამ ამ აფეთქებათა მზადება ბრალად დასდეს 17 კაცს, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანი არ აღიარებს თავს დამნაშავედ. აშშ კანონის მიხედვით, ამ დანაშაულისათვის ალი მოჰამედს სულ ცოტა 25 წლის პატიმრობა ემუქრება.

# „ვალენბერგის საქმეში“ ცოცხალი მოწმე გამოჩნდა



უკრაინაში პირველად მისცა მოწმის ჩვენებანი კაცმა, რომელიც პირადად იყო გარეული „რაულ ვალენბერგის საქმეში“. იგი 55 წელიწადს სდუმდა, სანამ სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მოსკოვს მიმართვებს უგზავნიდნენ, უშკომის ორგანოები ყველაფერს უარყოფდნენ, ხოლო ჟურნალისტები თავიანთ გამოძიებას ეწეოდნენ. ბოლოს და ბოლოს, მან განაცხადა: „დიახ, სწორედ მე დავაპატიმრე რაულ ვალენბერგი“.

შვედი დიპლომატი რაულ ვალენბერგი, რომელმაც ათიათასობით ებრაელი იხსნა სიკვდილისაგან, ბუდაპეშტის მიდამოებში გაუჩინარდა 1945 წელს. მისი კვალი ქრება ლუბიანკის კართან მიყვანის შემდეგ. ბოგდან ტარნავსკი ამბობს, რომ სულ ბოლომ მან ნახა ვალენბერგი დაპატიმრებამდე და პირადად გადასცა იგი საბჭოთა დაზვერვას.

პარტიზანმა ტარნავსკიმ უცნობი იმიტომ დააკავას, რომ მას უჩვეულო ფორმის საარმიო ქვაბი ეკავა ხელში. „ჯიბეში სარკისა და სავარცხლის მეტი არაფერი ჰქონდა, – უთხრა ყოფილმა პარტიზანმა НТВ ტელევიზიის კორესპონდენტს, – მაგრამ შემდეგ სარჩულში ვუნახე საბუთები – შვედური და ბელგიური პასპორტები ერთსა და იგივე გვარზე, ვალენბერგზე.

რას იფიქრებდა ტარნავსკი, რომ კაცმა, რომელსაც მან კბილებში ფეხსაცმელი დააჭერინა (რომ არ გაქცეულიყო) და ისე წაიყვანა პარტიზანებთან, ჰიტლერელებისაგან იხსნა ათიათასობით კაცი. თვითმხილველნი იხსენებდნენ, რომ ვალენბერგს საკონცენტრაციო ბანაკებში მიმავალი ეშელონებიდანაც კი ჩამოუყვანია ებრაელები, იგი შაი აძლევდა შვედურ პასპორტებს, მალავდა ვითომდა შვედურ მისიებში. ზოგჯერ მოისყიდდა ხოლმე, ზოგჯერ კი გარდაუვალი მოახლოებული შურისგებით აშინებდა გერმანელ სამხედროებს. შვედი დიპლომატი ,პიერ ამჯერი თვლის, რომ ვალენბერგის წყალობით 100 ათასი ებრაელი გადარჩა.

1945 წლის იანვარში ბუდაპეშტი საბჭოთა ჯარის ნაწილებმა აიღეს. ტარნავსკი ამბობს, რომ მისი რაზმი უნგრეთში სლოვაკეთიდან შეიდა ლუჩინეცის რაიონში და ვალენბერგს გადააწყდა ბუდაპეშტიდან 60-80 კილომეტრზე. როგორც ყოფილი საბჭოთა მზვერავი პაველ სუდოპლატოვი წერდა, ვალენბერგი დააპატიმრეს ბულგანინის პირადი ბრძანებით, ხოლო მოკლეს მოლოტოვის მითითებით – 1947 წელს. მას მომაკვდინებელი ინექცია შეუმხაპუნეს უშიშროების სამინისტროს მოსკოვის შხამების ლაბორატორიაში, ვარსანაფიევის შესახვევში. ხოლო სხეული დაწვეს დონის მონასტრის კრემატორიუმში, რომელიც იმ დროს ქალაქში ერთადერთი იყო. ამის შემდეგ ბულგანინი და მოლოტოვი ძრავალი წლის მანძილზე იღებდნენ დასავლეთის მიმართვებს ვალენბერგის თაობაზე, და, ალბათ, სწორედ მათ გასცეს განკარგულება, გაენადგურებინათ მთელი არქივები.



## სკანდალი ამოტივტივდა

პარიზის აუქციონზე გამოფინეს ოპერის ერთ-ერთი უდიდესი პრიმადონის მარია კალასის პირადი ნივთები და ხელოვნების ნაწარმოებები. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ექსპონატია მეთვრამეტე საუკუნის პატარა ხატი, რომელიც მომღერალს აჩუქა ქმარმა ოპერაში დებიუტის წინ და ეს ხატი მისი თილისმა გახდა. კალასი უარს ამბობდა, სცენაზე გასულიყო, თუ ხატი მის საგრიმიოროში არ ეკიდა. ამ ნივთის საწყისი ფასია 50 ათასი გირვანქა სტერლინგი. გასაყიდად გამოტანილია მომღერლის სათვალეც: კალასი ახლომხედველი იყო და სცენაზე, როგორც თავად ამბობდა, ვერ ხედავდა პარტნიორებს, მით უმეტეს, დირიჟორს. სათვალის ფასია 9 ათასი გირვანქა. მაგრამ ყველაზე საინტერესოა პატარა ბარათი, რომელშიც ახსნილია, თუ რატომ ჩაშალა დიდმა მომღერალმა სპექტაკლი, რომელსაც ესწრებოდა იტალიის პრეზიდენტი, რატომ თქვა უარი, სცენაზე გასულიყო 1958 წელს ოპერის პირველი აქტის შემდეგ. ეს მაშინ აღიქვეს როგორც დემონსტრაციული უპატივცემლობა პრეზიდენტისადმი. მაგრამ ბარათში ეწერა, რომ მომღერალი გაციებდა და უცბად დაკარგა ხმა. ეს ამბავი არ გახმაურებულა არც მაშინ და არც მერე, და ეს შემთხვევა ოპერის ისტორიაში შევიდა, როგორც „რომის სკანდალი“. მაგრამ 1972 წელს 53 წლის მარია კალასის უდროოდ გარდაცვალების შემდეგ ამ ნივთების დიდი ნაწილი მეკრიბა მომღერლის ახლო მეგობარმა და მისმა მხურვალე თაყვანისმცემელმა ილარიო ტომასიმ. როგორც ამ უკანასკნელმა თქვა, ახლა მან გადაწყვიტა გაეცა ეს ნივთები, რადგან უსამართლობაა, რომ ასეთი რელიკვიები მის სახლში ინახებოდა.



# პედოფილს სამაგიერო ექვსი წლის შემდეგ მიეზღო

პარიზის მსაჯულთა სასამართლოში პირველად ირჩეოდა საქმე იმის თაობაზე, რომ მცირეწლოვანი გოგონას მიმართ გარყვნილი მოქმედება ჩაიდინა საზღვარგარეთ მყოფმა საფრანგეთის მოქალაქემ. ეს პირველი ასეთი შემთხვევაა საფრანგეთის იურიდიულ პრაქტიკაში მას შემდეგ, რაც 1994 წელს შემოიღეს კანონი, რომლის საფუძველზეც შეიძლება ქვეყნის მოქალაქის დევნა მის ფარგლებს გარეთ სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის, იუწყება როიტერი. პირველი განსასჯელი ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ გახდა ამნონ შემოილი, პარიზის საზოგადოებრივი ტრანსპორტის 47 წლის მუშაკი, რომელმაც 1994 წელს უკუღმართ სექსზე 21 ფრანკად დაიყოლია თერთმეტი წლის გოგონა ტაილანდის ერთ-ერთ კურორტზე „სექს არდადეგების“ დროს.

სასამართლოში დაზარალებულის ინტერესებს იცავენ ბავშვთა დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციები, მათ მორის გაეროს საბავშვო ფონდი. იუნისეფის წარმომადგენლებმა ტაილანდის პოლიციის მეშვეობით მოძებნეს დაზარალებული, რომელსაც უკვე 17 წელი შეუსრულდა, გადაუხადეს გზის ფული პარიზამდე, რათა მას სასამართლოსთვის მიეცა ჩვენება. შემოილი დააპატიმრეს 1997 წელს და 8 თვე გაატარა ციხეში, სანამ გამომძიებლები არკვევდნენ პედოფილიის ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულში მისი მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხს. შემოილის წინააღმდეგ მთავარი სამხილია მისთვის ჩამორთმეული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც იგი ტაილანდელ გოგონასთან ერთად არის აღბეჭდილი. ახლა კი, თუ საბრალდებო განაჩენს გამოიტანენ, მას 20 წლით პატიმრობა ემუქრება.

ბრალდებულის ადვოკატი ფრანსუა როზენბაუმი მიმობს რომ მისი კლიენტისაგან სურთ, შექმნან საფრთხობელა, აქციონ იგი სექს-ტურიზმის ყველა სამინელების განსახიერებად და ნაკლებად ფიქრობენ სამართლიანად განსაჯონ საქმე. როგორც მან თქვა, „შემოილი ძალზე წუხს, რომ სისუსტე გამოიჩინა და დროზე ვერ შეძლო ეთქვა „არა“, მაგრამ, ექსპერტთა დასკვნის თანახმად, იგი მაინც არ არის პედოფილი.

იუნისეფის საფრანგეთის განყოფილების მეთაურმა ჟაკ ჰენძიმ სასამართლოზე განაცხადა, რომ „მამაკაცის წუთიერ სისუსტეს შეუძლია ცხოვრება დაუნგრიოს ბავშვს“. იუნისეფის ინფორმაციით, დაახლოებით ორი მილიონი ბავშვი ეწევა მთელ მსოფლიოში პროსტიტუციას, თანაც აქედან 400 ათასი – მარტო ტაილანდში.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით უძღვებიან

***არჩილ მანჯგალაძე. ლევან ბოჭორიშვილი.***

## კალათბურთი

# პირველი შთაბეჭდილებები

კალათბურთელ ვაჟთა X ეროვნული ჩემპიონატი თანდათან ძალებს იკრებს, თუმცა მომავალი ფინალისტების განჭვრეტა, ალბათ, დღესვე შეიძლება. ძნელი საფიქრებელია, ქვეყნის ნაკრების საბაზო კლუბს – ბათუმის „ბასკოსა“ და რუსთავის „აზოტს“ დაწყებულ სეზონში ვინმემ სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიოს. ამ უკანასკნელს ტურაშვილისა და კოკოლიშვილის სახით დიდი ძალა შემატა, მთავარი სიახლე კი, კლუბიდან გამოჟონილი ინფორმაციის თანახმად, ახლო მომავალშია მოსალოდნელი. კერძოდ, ერთ თვეში დისკვალიფიკაციის მოხსნას უპირებენ თანამედროვე ქართული კალათბურთის უძლიერეს ცენტრალურ თავდამსხმელს ირაკლი ჯაფარიძეს, რომელიც ერთიორად გაზრდის ამ ამბიციური კლუბის პოტენციალს. სოლიდური ცვლილებებია ზღვისპირელთა შემადგენლობაშიც. ჭაბუკ ამერიკელ გამთამაშებელ როჯერსთან ერთად ჩრდილოეთის ლიგის მონაწილე ერთადერთი ქართული გუნდის ღირსებას (აღნიშნული ტურნირის წილისყრა 1 ნოემბერს მოეწყობა და ერთ-ერთ ქვეჯგუფს აჭარის დედაქალაქი უმასპინძლებს). ამიერიდან მრავალნაცადი ორმოცაძე, უსტიაშვილი და ძმები ნაცვლიშვილები, აგრეთვე ნიჭიერი ყმაწვილები – მ. მარკოიშვილი და საყვარელიძე დაიცავენ.

არანაკლები საკადრო ცვლილებებია დანარჩენ კლუბებშიც. ამჯერად იმ კოლექტივების ახალწვეულებს გაგაცნობთ, რომლებიც, პირობითად, „ბრინჯაოს“ მაძიებლებად შეგვიძლია მოვნათლოთ:

**სტუ:** ხომტარია, დავითულიანი.

**თსუ:** მაისურაძე, ტყუპი ძმები ბერიშვილები, ახალკაცი, მაჭარაძე და მთავარი მწვრთნელი ზაზა ზამთარაძე.

**„დინამო“:** თორთლაძე, შენგელია, კეიდია, ნოზაძე, ნინოშვილი, ლ. აბულაძე, პაპასკირი და მთავარი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი.

**„შევარდენი“:** ჩხაიძე, გიგაური, ქეეხიშვილი, გოგუა, სუხიშვილი.

**„მაქაბი“:** წოწელია, მანიძე.

გაუწყებთ ვერის ბაღის განახლებული საკალათბურთო დარბაზში კვირას და გუშინ გამართული მატჩების შედეგებს:

„ბასკო“ – თსუ 126:103, „შევარდენი“ – სსუ 114:96, „აზოტი“ – „მაქაბი“ 102:85, სტუ – „ვითა“ 98:89, „ბასკო“ – „დინამო“ 101:75.

28 ოქტომბრისთვის დანიშნულ მორიგი შეხვედრების განრიგი ასეთია: „ვითა“ – „აზოტი“ (12 საათზე), თსუ – სსუ (13 საათსა და 45 წუთზე) და „დინამო“ – „შევარდენი“ (15 საათსა და 30 წუთზე).

**გია პლატონიშვილი.**



**სურათზე:** ვახტანგ ნაცვლიშვილი (ბურთით) „ბასკოშიც“ შეუცვლელია.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

## ფეხბურთი

# შინ და გარეთ

„ლოკომოტივისა“ და „კოლხეთის“ მატჩით დასრულდა ფეხბურთელთა XII ეროვნული ჩემპიონატის IX ტური.

სტუმრებმა თავიდანვე დაცვითი ტაქტიკა აირჩიეს და შესვენებამდე მშრალადაც შეინახეს საკუთარი კარი. მეტიც – ერთ-ერთი იშვიათი კონტრშეტევისას ლალანიძემ შორიდან გარისკა რკინიგზელთა პერსპექტიული, მაგრამ არასტაბილურად მოასპარეზე გოლკიპერის ლომაიას მზადყოფნის შემოწმება და, როგორც აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძველოდ – ბურთი სველ გრუნტზე ახტა და... ანგარიშიც გაიხსნა – 1:0. ეს 39-ე წუთზე მოხდა. მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურდა მასპინძელთა ლიდერი გოგიჩაიშვილი, რომლის შეჩერებაც ფილიას გუნდს თანდათან სულ უფრო უჭირდა. სწორედ მის გარღვევას მოჰყვა 65-ე წუთზე ის კუთხური, რომელსაც მინდორზე ახალგამოსული ტანმაღალი პარამონოვის ძალისხმევით ჭიჭველიშვილის საპასუხო გოლი მოჰყვა, კვანძი კი 76-ე წუთზე საკმაოდ კურიოზულ ვითარებაში გაიხსნა: გოგიჩაიშვილის შორეული საჯარიმოს შემდეგ ბურთი „ცოცხალ კედელს“ მოხვდა, შეიცვალა მიმართულება და რიკოშეტით გვასალიას კარის ბადეში შეგორდა – 2:1.

სადღეისოდ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: „ტორპედო“ – 27, „ლოკომოტივი“ – 21, „ვიტ-ჯორჯია“ – 20, „დინამო“ – 16, „მერანი“ – 12, „გორდა“ – 11, „სიონი“, თსუ – 10-10, „კოლხეთი“, „ბათუმი“ – 9-9, „დილა“ – 8, „იბერია“ – 1 ქულა.

ხვალ და ზეგ X ტურში ითამაშებენ „გორდა“ – „სიონი“, „მერანი“ – „ბათუმი“, „იბერია“ – „დინამო“, თსუ – „ტორპედო“ (25 ოქტომბერი), „ვიტ-ჯორჯია“ – „კოლხეთი“ და „დილა“ – „ლოკომოტივი“ (26 ოქტომბერი).





იტალია. III ტური. „რომა“ – „ვიჩენცა“ 3:1, „უდინეზე“ – „ინტერი“ 3:0, „ბარი“ – „ატალანტა“ 0:2, „მილანი“ – „იუვენტუსი“ 2:2.

„რომა“ – 9, „უდინეზე“, „ატალანტა“, „იუვენტუსი“ – 7-7 ქულა.

ესპანეთი. VI ტური. „ვალენსია“ – „სარაგოსა“ 1:0, „რაიო ვალეკანო“ – „სოსიედადი“ 4:1, „ბარსელონა“ – „რეალი“ 2:0, „ალავესი“ – „ესპანიოლი“ 1:0.

„ვალენსია“ – 13, „რაიო ვალეკანო“, „ბარსელონა“ – 12-12, „რეალი“, „ალავესი“ – 11-11 ქულა.

გერმანია. IX ტური. „ბაიერნი“ – „მიუნხენი“ 3:1, „ჰერტა“ – „კოტბუსი“ 3:1, „ფრაიბურგი“ – „შალკე“ 3:1, „ლევერკუზენი“ – „ბორუსია“ 2:0.

„ბაიერნი“, „ჰერტა“ – 18-18, „შალკე“ – 17, „ბორუსია“ – 16 ქულა.

ინგლისი. X ტური. „მანჩესტერი“ – „ლიდსი“ 3:0, „ვესტ ჰემი“ – „არსენალი“ 1:2, „ლივერპული“ – „ლესტერი“ 1:0.

„მანჩესტერი“, „არსენალი“ – 21-21, „ლივერპული“ – 18 ქულა.

## ცხოვრების ჯანსაღი წესისთვის

# სპორტსაც არ ივიწყებენ

საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილ აფხაზეთის მოსახლეობას რომ არ ულხინს, ეს ცხადია. ზოგი სად არის შეფარებული და ზოგი – სად. ლუკმაპურის საშოვნელადაც მუხლჩაუხრელი გარჯა სჭირდებათ. ამის მიუხედავად, ისინი სიჯანსაღის უმთავრეს წყაროს – სპორტსაც არ ივიწყებენ.

გასულ უქმეებზეც თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის, აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თაოსნობით დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე მასობრივი ღონისძიებები გაიმართა სპორტის რამდენიმე სახეობაში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისთვის. ასპარეზობებში სხვადასხვა ასაკის 160-მდე ადამიანი მონაწილეობდა. ყველაზე მრავალრიცხოვანი მონარდეთა პაექრობა იყო. პირველი ადგილი ჯანო ხაჯეანმა დაიკავა. მეორე-მესამე ადგილებზე, შესაბამისად, ვალტერ შონია და ელიმერ ფარულავა გავიდნენ. სიმძიმეების აწევაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. მურად მაისურაძე, 2. მამუკა ჯიქია, 3. ბექან გოგია. მკლავჭიდშიც კვარცხლბეკის პირველ და მესამე საფეხურებზე მაისურაძე და გოგია ავიდნენ. მეორე იყო გურამ ლემონჯავა.

ცურვაში ყველას ნური თურლულაშვილმა აჯობა. მას მცირედით ჩამორჩნენ ბექან გოგია და ნური პაპავა, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს.

მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში მსუბუქი მრეწველობის საერთო საცხოვრებლის გუნდი „მელი“ იყო პირველი, ხოლო ბაგირის გადაძალვაში უშიშროების სამინისტროს საერთო საცხოვრებლის სპორტსმენებმა იმარჯვეს.

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსმა ელადიმერ კაკავამ, აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ამირან ზუხბაიამ, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის რეგიონული სამმართველოს უფროსმა ნარგიზა მესხმა შეჯიბრების გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს.

**ლეძსო ცინცაძე.**

## ჭადრაკი

# პრეტენდენტი კვლავ წინაა

ლონდონში პარტია პარტიას მისდევს, კრამნიკს კვლავ ინიციატივა უპყრია ხელთ, ჩემპიონი ჯერჯერობით ვერაფერს ხდება...

ყაიმი 11 სვლაში მეშვიდე მეხვედრაში, როცა კასპაროვი თეთრებით თამაშობდა, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავდა, რომ პრეტენდენტმა კვლავ აუღო ალღო მეთავაზებულ დებიუტს, გაათანაბრა პოზიცია და შემდგომი ბრძოლა ჩემპიონს უპირატესობას არ უქადდა.

სულ სხვაგვარი ყაიმი აღინიშნა მერვე პარტიაში, სადაც კასპაროვი, პირველად ამ მატჩში, შავებით მეტად აგრესიულად მოქმედებდა, მაგრამ კრამნიკი ფრთხილობდა, ფიგურას ფიგურაზე ცვლიდა და ალკვეთა მეტოქის ინიციატივა. კასპაროვი აქაც იძულებული გახდა, დასჯერებოდა ნახევარ ქულას.

და აი კვირას, მეცხრე პარტიაში, რახან თეთრებით დახურულმა სქემებმა – ინგლისურმა დასაწყისმა თუ ლაზიერის გამბიტმა არაფერი კარგი მოუტანეს, კასპაროვმა გადაწყვიტა კვლავ ესპანურ პარტიას დაბრუნებოდა, რომელიც საგულდაგულოდ აქვს მესწავლილი. ამას კრამნიკის შტაბი ჯერ კიდევ მატჩამდე ითვალისწინებდა. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ვისი რჩევით, მაგრამ კრამნიკმა საიდანღაც „გამოქექა“ ყველასაგან მივიწყებული ე. წ. „ბერლინური ვარიანტი“, რომელიც, თუ ამ მატჩის მიხედვით ვიმსჯელებთ, „ბერლინის კედელზე“ უფრო მყარი აღმოჩნდა. ასე იყო პირველ პარტიაში, როცა კრამნიკმა შავებით იოლად გაათანაბრა პოზიცია, იგივე განმეორდა მესამე შეხვედრაშიც.

შესაძლოა, კასპაროვმა და მისმა თანაშემწეებმა უკვე მონახეს წამალი, როგორ უნდა დაანგრიონ ეს „ბერლინის კედელი“. ამითაც იყო გამოწვეული ჩემპიონის მიერ კვლავ ესპანური პარტიის არჩევა, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოვიდა. საქმე ის არის, რომ უკვე დებიუტიდან გამოსვლისთანავე კრამნიკმა გვერდი აუარა აღრინდელ გაგრძელებებს, რითაც კასპაროვს თავისი სიახლის გამოყენების საშუალება არ მისცა. კასპაროვი ღრმად ჩაფიქრდა, ცხადი გახდა, რომ პრეტენდენტმა ამჯერადაც მოატყუა იგი და „ნაღმი“ თავიდან აიცილა. 30-ე სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ.

ამრიგად, ცხრა პარტიის შემდეგ ანგარიში გახდა 5:4 კრამნიკის სასარგებლოდ. დარჩა 7 პარტია. ცხადია, ძირითადი ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა.

მორიგი მეათე პარტია, რომელშიც თეთრებით კრამნიკი ითამაშებს, დღეს გაიმართება.

**გივი გამრეკელი.**

## ყოველი მხრიდან



### ვაი, სირცხვილო!

სხვა ვერაფერს იტყოდნენ კრივის გულშემატკივრები, როცა ნახეს ან შეიტყვეს, რომ დეტროიტში, ობერნ-ჰილზის სპორტდარბაზის რინგზე ანჯეი გოლოტამ მესამე რაუნდის წინ სამარცხვინოდ მიატოვა მაიკ ტაისონთან ორთაბრძოლა. გაცოფებულმა მაყურებლებმა, ისინი კი დარბაზში 20 ათასამდე იყვნენ, გასასვლელისკენ მიმავალ მოკრივეს ლიმონათის, კეტჩუპისა და ლუდის ბოთლები დაუშინეს.

გოლოტას კარიერაში „ბრძოლის ველის“ ასე სამარცხვინოდ მიტოვება პირველი შემთხვევა არ ყოფილა – თითქმის ერთი წლის წინათ ასეთივე გაქცევით დამთავრდა მისი შერკინება მაიკლ გრანტთან.

მართალია, ტაისონი მას განადგურებით ემუქრებოდა, მაგრამ მეხვედრის ორგანიზატორები ფიქრობდნენ, რომ ელემენტარული კაცური თავმოყვარეობა გოლოტას აღარ გადაადგმევინებდა ასეთ ნაბიჯს. ვაი, რომ შეცდნენ. მართალია, რკინის მაიკმა პირველი რაუნდი ისეთივე აქტიურობით დაიწყო, როგორც ამასწინანდელი შეხვედრა სავარეზასთან, როცა 12 წამში ნოკაუტში გაგზავნა მოწინააღმდეგე, მაგრამ გოლოტამ მოიგერია ეს შეტევა, თუმცა რაუნდის ბოლოს მაინც გამოეპარა ტაისონის კლასიკური მარჯვენა დარტყმა და ნოკდაუნით რინგის იატაკზე აღმოჩნდა. მეორე რაუნდშიც ყველაფერი თითქმის რიგზე იყო, თუ არ ჩავთვლით ტაისონის მცირე უპირატესობას. მაგრამ, როგორც ჩანს, მესამე რაუნდის წინ გოლოტას ნერვებმა უმტყუნა და სამარცხვინოდ მოკურცხლა.

**სურათზე:** მაიკ ტაისონის დარტყმამ ანჯეი გოლოტა დააფრთხო.

### ისევ შუმახერი

კვირას, კუალა-ლუმპურში, „მალაიზიის გრან-პრის“ გათამაშებაზე, რაც ავტორბოლაში 51-ე მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, მე-17 ეტაპი იყო, 80 ათასი მაყურებლის თვალწინ კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა უკვე მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმა. სეპანგის ავტოდრომზე 56-წრიან რბოლაში იგი წლეულს მეცხრედ იყო პირველი, რითაც „დაამხო“ თავისივე რეკორდი. საერთოდ, კარიერაში კი ეს 31 წლის პილოტის 44-ე გამარჯვებაა.

კონსტრუქტორთა თასზეც „ფერარიმ“ გაიმარჯვა. მან 170 ქულა დააგროვა და უახლოეს მდევარს – „მაკლარენს“ 18 ქულით გაუსწრო.

ახლა ავტორბოლის – ამ ვაჟკაცური სპორტის მოყვარულებს „დიდი შესვენება“ დაეწყოთ. ახალი, 52-ე მსოფლიო ჩემპიონატი სტარტს 2001 წლის 4 მარტს აიღებს ავსტრალიაში, მელბურნის ავტოდრომზე.



**სურათზე:** მიხაელ შუმახერი მეცხრედ ავიდა 2000 წლის სეზონის გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე, მას „ფერარის“ საფირმო წითელ კომბინეზონთან ერთად წითელი პარიკიც ამშვენებდა.

**სპორტის რედაქცია.**

ავიაკომპანია «აირზენა – საქართველოს ავიახაზები»

29 ოქტომბრიდან გთავაზობთ სიახლეს:



საქმიანი ადამიანებისთვის რეისები მოსკოვის მიმართულებით შესრულდება ყოველდღე დილის 9 საათსა და 35 წუთზე.

ყოველ სამშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს თეირანის გავლით შეგიძლიათ გაფრინდეთ შემდეგ ქალაქებში: დუბაი, ყარაჩი, პეკინი, ბომბეი, ტოკიო, დამასკო, ბაჰრეინი.

ყველა რეისი შესრულდება კომფორტული „ბოინგით".

მოქმედებს სხვა ძველი მარშრუტებიც.

დაგვირეკეთ: 94-70-14; 77-88-11; 77-88-33.

„აირზენა – საქართველოს ავიახაზები".





## ხსოვნა

### თემურ ნამიჭეიშვილი



მოულოდნელად გარდაიცვალა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი **თემურ დიმიტრის ძე ნამიჭეიშვილი.**

ყველაფერი იმდენად ელვის სისწრაფით მოხდა, რომ გამოთხოვებაც ვერ მოვასწარით. ხშირად გვინდოდა, კაცურად მოვეფერებოდით, მაგრამ სიცოცხლეში ამის საშუალებას არ გვაძლევდა, პირიქით, მუდამ აქეთ გვესიყვარულებოდა. მას ჰქონდა უდიდესი ნიჭი ნაცნობ-მეგობრებისადმი დიდი ყურადღებისა და კაცთმოყვარეობის.

იურისტის მძიმე ხვედრი აირჩია საგზლად და მართლაც რომ მისაბაძი იყო მისი ერთგულება პროფესიისადმი, უზადო პატიოსნება და გამძლეობა.

თემურ ნამიჭეიშვილი დაიბადა 1948 წლის 4 მარტს თბილისში. „კაცი და ქალაქი" – აქედან, ამ ურთიერთობიდან იწყებოდა მისთვის ყველაფერი, რომელთა მორის უმთავრესად – „კაცურ კაცობას" მიიჩნევდა. ასე იზრდებოდა დიდებულ ოჯახში ქალაქელად და მერეც ამ გადასახედიდან უყურებდა და ეფერებოდა საყვარელ ქალაქსა და ქალაქელებს.

ამ ქალაქს შეეზარდა, აქ დაამთავრა სკოლაც და უნივერსიტეტიც. აქვე მუშაობდა ჯერ მოსამართლედ, ხოლო მოგვიანებით სასამართლოს თავმჯდომარედ.

1987 წლიდან კი პროკურატურის სისტემაში მოვიდა სამუშაოდ. იყო ჩუღურეთის რაიონის პროკურორი, მერე მთაწმინდის, ვაკის, თბილისის რეგიონული ტრანსპორტის, ხოლო 1999 წლის 22 დეკემბრიდან დღემდე – დიდუბის რაიონის პროკურორი.

თემურაზ ნამიჭეიშვილი, გამოირჩეოდა, როგორც პროფესიონალი იურისტი და შესანიშნავი ორგანიზატორი. რთული, კრიტიკული საკითხების გადაწყვეტისას იგი პრინციპული და ობიექტური იყო, რისკიანიც. იშვიათად, სიფიცხეს რომ დაიოკებდა, ცდილობდა დამნაშავეშიც სიკეთისა და კაცობის მარცვალი ეპოვა, რომ არ ჰქონოდა, გამოიგონებდა და ცივი გონებით დაიწყებდა საქმის კვლევა-ძიებას.

თ. ნამიჭეიშვილის პროფესიონალიზმი არაერთი ჯილდოთი აღინიშნა, მაგრამ ყველაზე დიდი ჯილდო მისი კაცობა იყო. მართლაც შესაშური ცხოვრების წესით ცხოვრობდა. იგი ძმობის, მეგობრობისა და კაცობისთვის ბევრჯერ გადასდგომია სიკვდილს, ახლა კი ეს მზაკვარი, ჩანს, უჩუმრად შემოეპარა, დარწმუნებული, რომ ეს ალალკაცი ვერას გაუგებდა. შეძლო კიდეც ბავშურად მიამიტი კაცის მოტყუება. თუმცა, რა? მის კაცურ-კაცობას ვერაფერი დააკლო.

შარავდისობის გზაზე ფეხშემდგარს კოლეგების დიდი სიყვარული და ცრემლი მიაცილებს.

მსუბუქი იყოს მის სპეტაკ მკერდზე ძაყრილი მშობლიური თბილისის მიწა.

**თბილისის პროკურატურა.**

### თემურ ნამიჭეიშვილი



ფრთამოტეხილი დაგვტოვა თქვენმა მოულოდნელმა გარდაცვალებამ, გაოგნებულნი და თავზარდაცემულნი.

გვაკვირვებდა და სტიმულს გვაძლევდა თქვენი შემართება, საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, ურთიერთობისა და თანამშრომლობის საოცარი უნარი, პროფესიონალიზმი და ადამიანობა.

გულო, უნდა მიერთგულოო, – თქვენთვის უნდა გვენატრა თურმე, ... ვერ მოვასწარით...

ცრემლი გვდის და გეტკივა თქვენი წილი ტკივილიანი გული. ღმერთმა ნათელი დაგიმკვიდროთ, პირმართალო და ალალო, ყველასთვის ჩასახუტებელო, ჩვენო ბატონო **თემურ.**

**ქ. თბილისის დიდუბის რ-ნის პროკურატურის თანამშრომლები.**

---

მეუღლე თამარ შარაშიძე, შვილები მეია, ლიკა, და ნინო, დისწული სოფიკო, დეიდა ციალა, მამიდები თისა, ეთერი, ბიძები გოგი ხოჭოლავა, პალადი ჯინჯოლავა, ვახტანგ კვარაცხელია, სიდედრი ლიანა თევდორაძე, ცოლისძმა ბექან შარაშიძე, სიძე გიორგი წულუკიძე, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თემურ დიმიტრის ძე ნამიჭეიშვილი

პანაშვიდი 24, 25 X 4 სთ. გამოსვენება 26 X, 2 სთ. ოქროყანა, თბილისის ქ. №35.

---

საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი

თეიმურაზ ნამიჭეიშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ქ. თბილისის დიდუბის რაიონის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება დიდუბის რაიონის პროკურორის

თეიმურაზ ნამიჭეიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

---

ქ. თბილისის გლდანის რაიონის პროკურატურა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორის

თემურ ნამიჭეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნაძალადევის რაიონის პროკურატურის თანამშრომლები გამოხატავენ ღრმა მწუხარებას ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორის

თემურ ნამიჭეიშვილის

გარდაცვალების გამო.

---

თბილისის პროკურატურა მწუხარებით იუწყება, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა ღვაწლმოსილი იურისტი, ქ. თბილისის დიდუბის რაიონის პროკურორი

თეიმურაზ დიმიტრის ძე ნამიჭეიშვილი

და თანაუგრძნობს ოჯახის წევრებს დიდ მწუხარებაში.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სახელმწიფო და პ. მელიქიშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი პრობლემების საბჭოს თავმჯდომარე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ სალუქვაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

მინდია სალუქვაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ღირსეული მამულიშვილის

რევაზ სალუქვაძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 24, 25 X, 4 სთ. გამოსვენება: 26 X, 2 სთ. ყაზბეგის გამზ. 29 ა (ყოფილი პავლოვის ქ.) IV სადარბაზო, მე-7 სართული.

---

მარლენ ცაცუა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და კარგი მამულიშვილი

ბორის ესტატეს ძე ჩაჩავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

## ხსოვნა

### დიმიტრი ჭურღულია

სამშობლოსათვის წამებულ რაინდთა რიგებს აფხაზეთში დატრიალებულმა ტრაგედიამ არაერთი სახელი შემატა. მათ შორისაა **დიმიტრი ჭურღულია** – ჭეშმარიტი მამულიშვილი, ვინც საკუთარი სიცოცხლე უყოყმანოდ მიიტანა სამშობლოს სამსხვერპლოზე.

დიმიტრი ჭურღულია დაიბადა 1951 წლის 11 თებერვალს ქ. ოჩამჩირეში. 1967 წელს დაამთავრა სოხუმის II საშუალო სკოლა, 1972 წელს – სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი.

1973 წლიდან მუშაობდა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. იყო სოხუმის შინაგან საქმეთა ქალაქის სამმართველოს სისხლის სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებული, უფროსი ოპერრწმუნებული, ქვეგანყოფილების უფროსი, შემდეგ მუშაობდა სოხუმის თევზის ქარხანაში ცვლის უფროსად.

დიმიტრი ჭურღულია იყო შესანიშნავი სპორტსმენი – საქართველოს სამგზის ჩემპიონი კრივში, საკავშირო და ზონალური ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული, საკავშირო ჩემპიონატების პრიზიორი.

როდესაც სამშობლოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე დაემუქრა, დიმიტრი უყოყმანოდ ჩადგა მის დამცველთა რიგებში. საომარი მოქმედებების მთელ პერიოდში იგი იბრძოდა სპეცდანიშნულების რაზმის – „იუპიტერის" შემადგენლობაში, რომლის შექმნის ერთ-ერთი ორგანიზატორი და უფროსის მოადგილე იყო. დიმიტრი ჭურღულია ბატონ ჟიული შარტავას პირად დაცვაში იყო, როდესაც ქალაქში ბოევიკები შემოიჭრნენ და მინისტრთა საბჭოში დარჩენილი თანამშრომლები ალყაში მოიქციეს, დიმიტრი არ შეეპუა რიცხობრივად მრავალ მტერს, უშიშრად გამოიჭრა და ბოლო ვაზნამდე დაცალა მჭიდი. უკანასკნელ გზაზეც ვაჟკაცურად წავიდა.

წავიდა და დატოვა სახელი ჭეშმარიტი მამულიშვილისა, სახელი უკვდავებაში გადასული. დარჩა ერთი ვაჟი ტარიელი, რომელიც, ფიზიკურად მამის ალერსს მოკლებული, მისი გმირობის სითბოთი იზრდება.

დიმიტრი ჭურღულია საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.

დიმიტრი ჭურღულიას ნეშტი, რომელიც ახლა გადმოასვენეს აფხაზეთიდან, თავდადებულ ქართველ ვაჟკაცთა საძმო სასაფლაოზე მიებარება, მაგრამ ყველას – მის მიწას, ჭირისუფლებსა და მეგობრებს, აფხაზეთის მკვიდრ ქართველობას სწამს, რომ მალე დადგება ის დღე, როდესაც დიმიტრიც და მისი დაღუპული მეგობრებიც საუკუნო განსასვენებელს აფხაზეთის მშობლიურ მიწაში ჰპოვებენ.

ნათელში ამყოფოს ღმერთმა სამშობლოსათვის წამებული სული.

**თამაზ ნადარეიშვილი, ლონდერ ცაავა, ელგუჯა გვაზავა, ეთერ ასტემიროვა, დავით გვაძაბია, დავით ზულუა, რევაზ ბერზენლავა, მერაბ ლზებუაძე, აკაკი ზასვიანი, ვახტანგ ვეკუა, ანზორ ლაცუზბაია, ლავრენტი ნაჭყებია, ბესარიონ ნაყოფია, ლორიკ მარშანია, მამუკა მაისურაძე, რაისა ქარაია, ჰიმ ჯაჭვლიანი, ამირან გუხბაია, ოთარ ზარკვიანი, თამაზ ჩოჩია, გიორგი ჩიქოვანი.**

---

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გმირულად დაღუპული მამულიშვილის, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენის კავალერის (სიკვდილის შემდეგ)

დიმიტრი ჭურღულიას

ნეშტი ახლობლებთან და თანამებრძოლებთან გამოსათხოვებლად დასვენებულ იქნება ქაშვეთის ეკლესიაში სამშაბათს, 24 ოქტომბერს, 11-დან 14 საათამდე.

დაკრძალვა თბილისის ვაშლიჯვრის ძმათა სასაფლაოზე 24 ოქტომბერს, 15 საათზე.

**სამთავრობო დამკრძალავი კომისია**

### რეზო სალუქვაძე

მოულოდნელად გარდაიცვალა **რეზო სალუქვაძე,** კულტურის ფონდის პრეზიდიუმის წევრი, მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, მრავალი საპატიო პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველ ქართველში სიამაყისა და პატივისცემის გრძნობას აღძრავდა.

ღირსებითა და ზნეობით გამორჩეულმა ადამიანმა თავისი უნარი, ნიჭი, ენერგია და პროფესიონალიზმი ერის კეთილდღეობას შეალია. საყოველთაოდ ცნობილია მისი დიდი, მეცნიერული კვლევის თვალსაწიერი, რომელიც განსაკუთრებით გამოჩნდა მაშინ, როდესაც სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტს ჩაუდგა სათავეში და საერთაშორისო დონეზე აიყვანა.

ბატონი რეზო, ჩვენი საზოგადოების აქტიური წევრი, ყველა სასიკეთო საქმის თანამონაწილე და ხელშემწყობი იყო.

ქვეყნისათვის ყველაზე მძიმე წლებში, სამწუხაროდ, ბრძოლაში ჩაბმა მოუხდა მთელ ოჯახთან ერთად, ვაჟიშვილი წინა ხაზზე იბრძოდა და მხოლოდ ბოლო დღეებში დატოვეს ქალაქი. მისმა შეუპოვარმა ხასიათმა შეაძლებინა თბილისში ჩამოსვლისთანავე ინსტიტუტი კვლავ ფეხზე დაეყენებინა.

ბატონი რეზოს მთელი ცხოვრება იყო შეუჩერებელი ლტოლვა კეთილ საქმეთა განხორციელებისათვის – მან აღზარდა მეცნიერული კადრები, ილვაწა ადამიანური მაღალზნეობის – სიყვარულისა და მეგობრობის დასამკვიდრებლად, და, ამავდროს, სხვებსაც მაგალითს აძლევდა, თუ როგორი უნდა იყოს ქედდაუხრელი მამულიშვილი ჭაბუკობიდან სიცოცხლის მიწურულამდე.

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმის სახელით მერაბ ბერძენიშვილი.**

---

მეუღლე ქეთევანი, შვილები ალეკო და ნინო, დედა ლამარა, მამა ალექსანდრე, ძმა მერაბ ჯავახია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თეიმურაზ ალექსანდრეს ძე ჯავახია

პანაშვიდი 24, 25 X, 5 სთ. გამოსვენება 26 X, 2 სთ. ზემო ავჭალის დასახლება, ლიბანის ქ. №24, ბინა 24.

---

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო სამძიმარს უცხადებს ბატონ მერაბ ანთაძეს ძმისწულის

გიორგი დათუაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მინისტრთა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსს მეუფე დანიელს შვილის

გიორგი (გიგა) დათუაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

მეუღლე მზგული, შვილები გია, ლელა, შვილიშვილები სალომე, მარიამი, ძმა ვაჟა, ცოლისძმები ომარი, ზაზა ბურჯანაძეები ოჯახებით, რძლები მზია თოიძე, ნადია კვირკველია, მაია ძოწენიძე, ლამარა ხიდაშელი, ძმისწული მზია, დისწული მერი მანჯგალაძე, სიძეები ვალერიან ლებანიძე, ლევან ნაკაიძე, მაკა, გედი ლევალაძეები, ქეთო, ვლადიკა, შუშანა, კოტე, პავლე, ნუნუ, დათო, მაია ბებიაშვილები ოჯახებით, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნოდარ ვლადიმერის ძე ბებიაშვილი

დაკრძალვა ბაღდათის რაიონის სოფ. ობჩაში 26 X, 3 სთ.

---

მეუღლე მარიკო ჩხიკვაძე, შვილები ვახტანგ, ნიკა, და ნუცა, შვილიშვილები გიორგი, ელენე, ლუკა, ბექა მალაშხიები, რძლები ქეთი უტიაშვილი, ნესტან შონია, დისწულები დათო, ნინო კვარაცხელიები, მძახლები ელდინო, აკაკი უტიაშვილები, ნუნუ, გრიშა მონიები, ცოლისძმა ოთარ, ცოლისდა ლია ჩხიკვაძეები, ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

იური ამბერკის ძე მალაშხია

პანაშვიდი 24, 25 X, 4 სთ. გამოსვენება 26 X, 2 სთ. ყაზბეგის ქ. № 36 (ვერაზე).

---

გრიგოლ შონია, ნენუ სხირტლაძე ოჯახით იუწყებიან

იური მალაშხიას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

### საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

**მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე)**

**24 ოქტომბერი, 2000 წ.**

**ქ. თბილისში ნოდარ დუმბაძის გამზირზე გზის საფარის შეკეთების პროექტი**

1. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ბიდინგზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებებით ქ. თბილისში ნოდარ დუმბაძის გამზირზე გზის საფარის შეკეთების პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს ნოდარ დუმბაძის გამზირის მთელ სიგრძეზე (980 მ.) გზის საფარის კაპიტალურ შეკეთებას, სანიაღვრე და სხვა დანიშნულების ჭების აწევას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტის № TBILISI/NCB-006/00).

2. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიციპალური განვითარების ფონდში მისამართზე: თბილისი, 380077, ვაჟა ფშაველას გამზ. №41 ტელ: 94-32-40; 94-29-47 ფაქსი: 94-04-39. თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 50 ლარის გადახდისას. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.

3. საკონკურსო წინადადებები ძალაში უნდა იყოს 120 დღის განმავლობაში კონკურსის გახსნის დღიდან და მათ უნდა თან ახლდეს წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია 6.000 ლარის ოდენობით (ან ეკვივალენტურ თანხაზე კონვერტირებად ვალუტაში). საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე არაუგვიანეს 2000 წლის 29 ნოემბრის 12 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადება გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.

---

მეუღლე მერი ფირცხალავა, შვილები მაკა, ზაზა, შვილიშვილი გიორგი, და ლეილა, რძალი მაია ხუბუა, სიძეები ნოდარ ნებიერიძე, გია მათირიშვილი, დისწულები ელისო, კახა, გულიკო მჟავანაძე ოჯახით, დალი, გიული ფირცხალავები, ნუნუ, ჯემალ ხუბუები, ანჟელინა, დიმიტრი მათირიშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ გიორგის ძე სალუქვაძე

პანაშვიდი 24, 25 X, 4 სთ. გამოსვენება 26 X, 2 სთ. ალ. ყაზბეგის 29/2 IV სადარბაზო.

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი, ი. ვეკუას სახელობის სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი

რევაზ გიორგის ძე სალუქვაძე

და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

---

სოხუმის ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი

რევაზ სალუქვაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, ზურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ძოგულია, ბექა ჭელია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
გიორგი ლალიაშვილი.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება – ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.